

ვიოლი
ეოქოლაძევილი

ვათეა ჩვიძე

თამაზ ხმალიძე

ენა -
უღმობელია
მსახულია



დასლოიგება



საგითი მკვიჩვილი

ლოგან ბივიძე

გიორგი გოგოლაშვილი

ილუმინაცია და დეკორაცია



ენა და მწერალი

ენა – ულმოზელი მსაჯული

(დიალოგები)

თბილისი 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

„ენა – უღმობელი მსაჯული“ არის მე-9
წიგნი სერიისა „ენა და მწერალი“... მასში წარ-
მოდგენილია დიალოგები. თანამოსაუბრეებად
ცნობილი მწერლები ავირჩიე: მთარგმნელი **პაატა
ჩხეიძე**, პოეტი **დავით შემოქმედელი**, პროზაიკოსი
თამაზ ზმალაძე და კრიტიკოსი **ლევან ბრეგაძე**.
„დიალოგების“ საგაზეთო ვერსიები დაიბეჭდა
„ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 3-12,
2022 წ.)...

წიგნში წარმოდგენილი „დანართებით“ ამ
თემაზე ფიქრის ისტორიას გაგაცნობთ ჩემსას...
ვიმედოვნებ, ამ საუბრებითაც თემასთან დაკავ-
შირებულ მრავალ საინტერესო კითხვას გაეცემა
პასუხი.

რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	ლევან ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	რუსუდან გრიგოლიასი
გარეკანი	ნინო ებრალიძისა

შინაარსი

რედაქტორის წინასიტყვაობა (ივანე ამირხანაშვილი)	5
ავტორის წინათქმა	9
მშობლიური მნის თავანკარობის დასაცავად	
– საუბარი მთარგმნელ პაატა ჩხეიძესთან	11
მნა მრის სულის სარკმა	
– საუბარი პოეტ დავით შემოქმედელთან	35
მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა	
– საუბარი პროზაიკოს თამაზ ხმალაძესთან	62
მნა – უღმობელი მსაჯული	
– საუბარი კრიტიკოს ლევან ბრეგაძესთან	88
დანართი I. – „ბურჯი მროვნებისას“ ანკმტა	
1) შეკითხვებს უპასუხებენ მწერლები:	
ვ. ჯავახაძე, გ. ფანჯიკიძე, ე. კვიციანიშვილი,	
რ. მიშველაძე, ა. აღეიშვილი	114
2) შეკითხვებს უპასუხებს მწერალი ნ. შატაიძე	132
დანართი II. –	
„სად არიან მწმრლმზი, მწმრლმზი სად არიან“?	136
ღილოგების მონაწილენი	
გიორგი გოგოლაშვილი	141
პაატა ჩხეიძე	142
დავით შემოქმედელი	143
თამაზ ხმალაძე	144
ლევან ბრეგაძე	145

ენა და მწერალი

1. „შვენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე) – 2019,
2. „ქართული ქართველთ რწმენა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე) – 2019,
3. „ენა – ბედისწერა“ (ფიქრები ანა კალანდაძეზე) – 2019,
4. „ერი დედაა ენისა“ (ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე) – 2020,
5. „ენა მწერლის ბალავარია“ (ფიქრები მიხეილ ჯავახიშვილზე) – 2021,
6. „ენა ერის თავდაცვის იარაღია“ (ფიქრები კონსტანტინე გამსახურდიაზე) – 2021,
7. „მწერალი სტილია... სტილი არსებაა“... (ფიქრები ოთარ ჩხეიძეზე) – 2022
8. რა ფერისაა სიტყვა? – (ესეები) – 2022

გაგრძელება იქნება...

რელაქტორის წინასიტყვაობა

ენა და მწერალი – დიდი, ძველი და უსასრულო თემაა, რომელსაც რაც უფრო ჩაუღრმავდები, მით უფრო მეტი პრობლემა თუ საკითხი წამოიჭრება შენ თვალწინ.

ეს თემა უშუალოდ უკავშირდება ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეს, რომელსაც ჩვენში ბევრი მოამაგე ჰყოლია და ჰყავს.

ქართული სალიტერატურო ენის თანამედროვე დამცველთა შორის მოწინავე პოზიცია უკავია **გიორგი გოგოლაშვილს**. მისი წიგნები იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოთარ ჩხეიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანისა და სხვათა ენობრივ-შემოქმედებითი პრინციპების შესახებ – ეს არის ერთიანი, თვალსაჩინო სურათი იმ გზისა, რომელსაც ქართული სალიტერატურო ენა გადის მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე.

წინამდებარე წიგნი სწორედ ამ ფართოპლანიანი შრომის გაგრძელებაა. უდავოდ საინტერესო სურათს იძლევა ჩვენი ცნობილი მწერლების – ვახტანგ ჯავახაძის, გურამ ფანჯიკიძის, ემზარ კვიციანიშვილის, რევაზ მიშველაძის, ავთანდილ ადეიშვილისა და ნუგზარ შატაიძის – „ბურჯი ეროვნებისას“ ანკეტაზე (1995 – 2002 წწ) გაცემული საინტერესო პასუხებისა და ამ წიგნის ავტორის ოთხი საუბრის შერწყმა.

ეს ოთხი საუბარი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა მთელი სამი თვის განმავლობაში. სიმართლე უნდა ითქვას, თავიდან მას მიმდინარე პუბლიკაციების ჭრილში განვიხილავდი და მთლიანობაში, როგორც დიდი პრობლემის მრავალწახნაგოვანი, ერთიანი სურათი, მოგვიანებით გავიაზრე; მას შემდეგ, რაც დასრულდა საუბრების სერია და ნელ-ნელა დალაგდა, დაწმინდავდა, ჩამოყალიბდა, გაიმართა და გამოიკვეთა.

ამ თემაზე სჯა-ბაასი ჩვენს გაზეთში არაერთხელ გამართულა, მაგრამ ასეთი ფორმით, შინაარსითა და მიზანდასახულობით – არასოდეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობილი ენათმეცნიერი, მკვლევარი და ლინგვისტური იდეებით აღჭურვილი სპეციალისტი ქართული ენის თანამედროვე პრობლემებზე ესაუბრება ამ საკითხით სისხლხორცეულად დაინტერესებულ პრაქტიკოსებს – პროზაიკოსს, პოეტს, კრიტიკოსსა და მთარგმნელს:

პაატა ჩხეიძე თარგმანის ენაზე საუბრობს;

დავით შემოქმედელი – კლასიკური ქართული მწერლობის სტილზე;

თამაზ ხმალაძე – პროზის პერსონაჟებსა და მათ მეტყველებასზე;

ლევან ბრეგაძე – ენის ესთეტიკურ და ყოფით ფენომენზე...

დაალოგებში გამოიკვეთა საყურადღებო რეალობა – რომ გვეგონა, სალიტერატურო ენა სტაბილურია და, ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით, მდგრადობასა და სიმტკიცეს ინარჩუნებსო, არ ყოფილა მართალი. თურმე აქაც არსებობს სერიოზული პრობლემები და ეს, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე მწერლების პასუხისმგებლობაზე, მიმდინარე კულტურული პროცესის თავისებურებაზე მიგვანიშნებს.

რალა დასამალია, ინგლისური ენა დღითიდღე აგრესიული ხდება ქართული ენის მიმართ, რაც იმის ნიშანია, რომ მალე იგი დაიკავებს იმ ადგილს, თუ უკვე არ დაუკავებია, რაც ეკავა რუსულს საბჭოთა კავშირის დროს და გახდება ევრეთ წოდებული *lingua franca*.

ჩვენს მწერლობას, განსაკუთრებით ახალგაზრდულ პროზას, თვალდათვალ ეტყობა ინგლისური ენის გავლენა. მწერლები ინგლისური ენის გრამატიკის მიხედვით ალაგებენ წინადადებებს, აზრებს, ზმნის ფორმებს.

ეს მართო მწერლებს არ ეხებათ. ასე მეტყველებენ და წერენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, სტუდენტები, ლექტორები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, მოსამართლეები, პროკურორები, ვაჭრები, მძღოლები...

ქართული სიტყვიდან ნელ-ნელა ისე იპარება აზრი, როგორც ღვინო გაბზარული ღოჭიდან.

მცირეოდენი გამონაკლისი საქმეს ვერ შეველის.

სიტყვა და, საერთოდ, ენა გააუფასურა იმ გარემომ, სადაც ის ფასს უნდა იძენდეს. წერა, მეტყველება, დიალოგი – ეს არის მაგიური სამკუთხედი, რომელმაც მოაჯადოვა ქვეყანა, საზოგადოება, ადამიანები; მასად აქცია ხალხი; ეს არის გლობალური მიქსერი, რომელიც თქვეფს ჩვენს ტვინებს, წარმოსახვას, ფანტაზიას.

ენა სოციალური მოვლენაა და, რა გასაკვირია, თუ ის კრიზისს განიცდის ამ უაღრესად არეულ, უსისტემო, ქაოტურ დროში, როდესაც საზოგადოებას დაკარგული აქვს ბუნებრივი ორიენტირები და მიმართულებები. სანქციას, კანონს, წესს კოლექტივი იძლევა და არა ინდივიდი. ამიტომ არის კრიზისი ღრმა და უმართავი, გაუგებარი და ამოუხსნელი, გამორგუნველი და საგანგაშო.

კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა იყოს. ენა თუ სოციალური ინსტიტუციაა, მაშინ არსებული კრიზისი ენის ბუნებრივი მდგომარეობაა.

მე-20 საუკუნის დასაწყისშიც იყო ანარქია და დუდილის პროცესი ჩვენს ენაში. ეს იყო დაახლოებით ისეთი სიტუაცია, როგორც არის დღეს. მაშინ მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, მოდი, ამ ჩვენს ენობრივ დუდილს ერთი ათი წელი მაინც ვაცადოთ, დაველოდოთ და სიტყვას ყალიბი მერე მივცეთო; ჯავახიშვილს პრინციპულად არ ეთანხმებოდა კონსტანტინე გამსახურდია და, ლოკალური თვალსაზრისით, ალბათ არც ცდებოდა, მაგრამ, ენის ბუნებიდან გამომდინარე და ლინგვისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით, მიხეილ ჯავახიშვილი უფრო მართალი იყო, რადგან დუდილის დროს ენა ჩარევას ვერ იტანს, ამ დროს მასზე არ ჭრის ზემოქმედების არანაირი საშუალება, იმიტომ, რომ აქ ყველაფერი თვითდინების, სტიქიურობის, თავისთავადობის წესებს ემორჩილება და, გინდა არ გინდა, უნდა მოიცადო, დაელოდო, დაახანო.

ფერდინანდ დე სოსიური ამბობდა, ენის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ტოტალური კრიზისები და ის მდგომარეობები, რომლებიც ამავე კრიზისების მიერ ირღვევაო.

კრიზისი სიცოცხლის ნიშანია, ასეობის, თვითგადარჩენის, თვითდადგინების ნიშანი.

უარესი კრიზისი ჰქონდა ქართულ ენას XVII–XVIII საუკუნეებში. აღმოსავლურ ენათა განუწყვეტელმა შემოტევებმა გაანადგურა ლექსიკური ფენები, მოშალა მორფოლოგიური ზღუდეები, დაანგრია სინტაქსური სიმაგრეები. საკმარისია თვალი გადავაკოთ ეტიმოლოგიურ და სხვა ტიპის ლექსიკონებს, რომ დავინახავთ რამდენი დანაშრევი, რამდენი ისტორიული მოსაბრუნე, რამდენი ჭვირნიშანი მოჩანს ამ ლექსიკურ ოკეანეში. წესით და რიგით, ორიენტალისტურ აგრესიას ქართული ენა უნდა გადაეგვარებინა. თუ არ მოსპობდა, მნიშვნელოვნად უნდა შეეცვალა ან დაემახინჯებინა მისი საფუძვლები, მაგრამ ისეთი ვერაფერი დააკლო, რადგან ზმნაში ვერ შეაღწია, ვერ დაშალა ქართული ენის ეს უნიკალური ატომგული. დაუშლელი, განუყოფელი ბირთვი, სიცოცხლის მუხტი.

სრულიად ბუნებრივია, რომ იმ დიდი კრიზისის სულიდან დაიბადა სულხან-საბა ორბელიანის ფენომენი.

თუ კრიზისის არსებობას ვაღიარებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელი დავიკრიფოთ და ღვთის წყალობას დაველოდოთ. შესაძლოა ამ დროს კოლექტიური ძალისხმევა მართლაც არ იყოს შედეგის მომტანი, მაგრამ უთუოდ გამართლებულია ინდივიდუალური ბრძოლა და ცდა იმისათვის, რათა ენა არ წახდეს იქ, იმ სივრცეში, სადაც ის ყველაზე კარგად ინახება, ყოველ შემთხვევაში, უნდა ინახებოდეს – ლიტერატურაში, მწერლობის არეალში, სიტყვიერი შემოქმედების ცოცხალ სივრცეში...

როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზნით შექმნა პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა** თავისი საუნივერსიტეტო საგანი „**ენა და მწერალი**“, რომელსაც დიდი ხანია კითხულობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ამავე მიზნით გამოსცა არაერთი წიგნი და ამავე მიზანს ემსახურება წინამდებარე კრებულები, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თავის წვლილს შეიტანს ქართული სალიტერატურო ენის დაცვის საქმეში.

ივანე ამირხანაშვილი

აზტორის წინათქმა

„ენა – უღმობელი მსაჯული“ მე-9 წიგნია სერიისა „ენა და მწერალი“.

ადრეც მითქვამს, ეს თემა ჩემი ფილოლოგიური ცხოვრების თანამდევია: პირველი ნაშრომი 1981 წელს გამოვაქვეყნე („ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი“: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, 1981)... მერე შემოგვაქვს საუნივერსიტეტო კურსი „ენა და მწერალი“...

ხანგრძლივმა ფიქრმა, ქართველ მწერალთა ჯადოსნურ ენობრივ სივრცეში მუღმივმა ხეტიალმა შექმნა სერია წიგნებისა „ენა და მწერალი“... ორი მთავარი კითხვა იდგა ჩემ წინაშე:

– რა არის ენა მწერლისათვის და მწერალი ენისათვის?

– რას აძლევს ენა მწერალს და მწერალი ენას?

დავით კლდიაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყაროში შექმნილი შთაბეჭდილებებით ვცადეთ ამ კითხვებზე პასუხების გაცემა, მკითხველის დაინტერესება (იხილეთ სერიის პირველი – შვიდი წიგნი)...

იყო საკითხები, რომლებიც წიგნიდან წიგნში გადადიოდა; კითხვა, რომელზეც მხოლოდ ერთი მწერლის შემოქმედების მიხედვით ვერ გაეცემოდა პასუხი... (ვთქვათ: რას ნიშნავს სიტყვის „ფერი და გემო“; რა ჰქვია და რატომ ნაწარმოებსა და პერსონაჟს; რას გულისხმობს ცნება „მწერლის ენობრივი თავისუფლება“ და სხვა...). ასე გაჩნდა მე-8 წიგნი სერიისა „რა ფერისაა სიტყვა?“ – ესეების კრებული...

ენა და მწერალი – ეს სამყარო ამოუწურავია... თემას თემა მოჰყვება, კითხვას – კითხვა, აზრს – აზრი და ისევ ათასნაირი ინტერესი... და გაჩნდა იდეა „დიალოგებისა“... თანამედროვე მწერლო-

ბის ოთხ გამორჩეულ წარმომადგენელს ვთხოვე თანადგომა – დახმარება გაეწიათ ჩემთვის, გავრკვეულიყავ წინა წიგნებზე მუშაობისას თავჩენილ (ჩემი აზრით, მკითხველისათვისაც საინტერესო) საკითხებში; ერთად გვემსჯელა ამ პრობლემებზე...

უაღრესად საინტერესო, აქტუალურ საკითხებზე თავიანთ კომპეტენტურ აზრს გაგვიზიარებენ:

მთარგმნელი **პაატა ჩხეიძე**,
პოეტი **დავით შემოქმედელი**,
პროზაიკოსი **თამაზ ხმალაძე**,
კრიტიკოსი **ლევან ბრეგაძე**.

„დიალოგებში“ ბევრი ისეთი სკითხი წამოიჭრა (ლიტერატურის თეორიისა თუ ენათმეცნიერული სტილისტიკისა), მე რომ მკითხოს კაცმა, სიამოვნებით შევიტანდი შესაბამის სახელმძღვანელოებში... ამ საუბრებიდან ბევრი რამ საგულისხმო რჩევა შეიძლება მიიღოს ახალგაზრდა შემოქმედმა... არის ბევრი გულისტკივილიც ქართული ენის თუ ეროვნული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობის გამო...

წიგნის სათაურად გერმანელი პოეტის – იოჰანეს ბესერის – ფრაზა გამოვიტანე ლ. ბრეგაძესთან გამართული დიალოგიდან; „**ენა უღმობელი მსაჯულია, მის განაჩენს ვერ გავექცევით, თუკი მას უდიერად მოვექცევით**“, – გვაფრთხილებს პოეტი. ვფიქრობთ, ამ წიგნის მთავარი სათქმელიც ეს არის...

მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ (და ამ წიგნის) რედაქტორს **ივანე ამირხანაშვილს** იდეის მხარდაჭერისათვის: „დიალოგების“ საგაზეთო ვერსიების გამოქვეყნებისათვის (იხ.: „ლიტერატურული საქართველო“, № 3-12, 2022 წ.)...

თემაზე ფიქრი გრძელდება...

გიორგი გოგოლაშვილი

„მშობლიური მნის თავანგარობის დასაცავად“

საუბარი მთარგმნელ პაატა ჩხეიძესთან

გიორგი გოგოლაშვილი: ბატონო პაატა, ათეული წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობ სალექციო კურსს „ენა და მწერალი“. ამ სათაურით წიგნების სერიაც წამოვიწყე და უკვე გამოვეცი 7 წიგნი, რომლებიც მიეძღვნა ჩვენს კლასიკოსებს (დავით კლდიაშვილს, მუხრან მაჭავარიანს, ანა კალანდაძეს, ვაჟა-ფშაველს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიასა და ოთარ ჩხეიძეს)... ამ სფეროში სხვა გეგმებიც მაქვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ თემაზე ფიქრისას არაერთი კითხვა გამიჩნდა... გადავწყვიტე დიალოგები გამემართა მეგობარ შემოქმედებთან; მიზანი, ასე ვთქვათ, ზოგჯერ საკითხის გარკვევაა, ზოგჯერაც საკუთარი აზრის გადამოწმება... ჩემთვის საინტერესო კითხვები თემატიკის მიხედვით დავაჯგუფე (პროზა, პოეზია, თარგმანი და კრიტიკა)... ყველა თემას ადრესატი მიუჩინე; თარგმანისა და მთარგმნელის მისამართით გაჩენილ კითხვებზე პასუხის გასაცემად თქვენ მოგადექით – მთარგმნელსა და ლიტერატურის მკვლევარს – **პაატა ჩხეიძეს**. უნდა გთხოვოთ დახმარება. დიან, ვფიქრობ, თქვენ შეძლებთ ამას... მოკლედ, კითხვები ჩემი და პასუხები თქვენი!

* * *

გიორგი გოგოლაშვილი – მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია

საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული!“ დაამატებდი რამეს თუ... როგორ ფიქრობთ, დღეს ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე ხომ არ დაკარგა ძალა, აქტუალობა ამ შეგონებამ? თუ ეს მარადიული შეგონებაა?

პაატა ჩხეიძე – ვფიქრობ, მარადიული შეგონებაა, რადგან ჩვენ ყველა, ვისაც ქართულ ენასა და ლიტერატურასთან გვაქვს საქმე, ქართული ენის შენახვა-გადარჩენას ვცდილობთ; მწერალიც ამ საქმეს ემსახურება, მთარგმნელიც, ენათმეცნიერიც... თამაზ ჩხენკელს უთქვამს ჩემთვის, რომ დავფიქრდები იმაზე, ჩემს ნაწერებს მხოლოდ რამდენიმე კაცი წაიკითხავს, ლამისაა ხელი ავიღო წერაზეო; არ აუღია ხელი იმიტომ, რომ იცოდა, რასაც ემსახურებოდა. ქართველი მწერალი თუ მთარგმნელი შეუძლებელია სკეპტიკოსი არ იყოს, მაგრამ მოვალეობა არ მისცემს უფლებას, დააგდოს კალამი – მოვალეობა ქართული ენის წინაშე, მოვალეობა კარგი, სალიტერატურო ქართულის წინაშე!

გ. გ. – „მოვალეობა“ თუ „ბედისწერა“? ოთარ ჩხეიძე ამბობს: „მწერალს კალამს ბედისწერა აწვდის... ხოლო თუ როდის დებს – ესეც ბედისწერის საქმეაო“... თუ იმ „მოვალეობასაც“ ბედისწერა განსაზღვრავს?

პ. ჩ. – მოვალეობაც, ბედისწერაც, განგებაც... მწერლობა – კარგი მწერლობა - და მთარგმნელობაც მხოლოდ გონებით ვერ აიხსნება. მწერლისა და პოეტის მუზა, შთაგონება ირაციონალური მოვლენაა. ბიბლიისა და წმიდა წიგნების მთარგმნელები ღვთის მიერ იყვნენ შთაგონებულნი და აღძრულნი; სასწაული აღებინებდათ ხელში კალამს; სულიწმიდის ძალით ხელეწიფებოდათ „შემატებაცა და კლებაცა.“ ჩვენს უღვთო და ეგზალტარულ ყოფაში ცუდ ტონად იქცა ღმერთის, ერის ხსენება; რა უცნაურია, კომუნისტები გვიკრძალავდნენ და დღეს ცუდ ტონად გვითვლიან; პოეტი აღარ უნდა იყოს „ცის

დანიშნული“ და „ერის აღზრდილი“, ეს ხომ ყალბი პათეტიკააო, მაგრამ მაინც არის! და ბედისწერა აწვდის კალამს და ბედისწერა გააგდებინებს ხელიდან, მოვალეობა აშრომებს, არ მოასვენებს განგება.

* * *

გ. გ. – ანა კლანდაძის აზრით: „მთარგმნელობა რომ მოწოდებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, – მთარგმნელიც ისევე იბადება, როგორც იბადება პოეტი, მხატვარი, პროზაიკოსი... ამის ბრწყინვალე მაგალითია ივანე მაჩაბელი, რომელიც სწორედ ამ უდიდესი მისიით მოევლინა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.“ რას იტყვი დღევანდელ ვითარებაზე; მთარგმნელთა რიგებს ხომ არ შეერივენ „არამთარგმნელები“ (ერთგან წავიკითხე, ხელოვნებისა და ხელოსნობის აღრევა ხდება...): ანუ – თარგმნის ის, ვინც არ „დაბადებულა მთარგმნელად“.

პ. ჩ. – ანა კლანდაძის ეს მოსაზრება არ მახსოვდა, თვითონ არასოდეს გამომიყენებია; ჩემგან ქება რას შემატებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მეტად ზუსტი წიაღსვლაა. ვანო მაჩაბელი მათ შორისაა, ვინც ქართული ენა გადაარჩინა მეცხრამეტე საუკუნეში; ისინი ბევრი არ იყვნენ და არც ახლა არიან ბევრი, ვგულისხმობ მოწოდებით მთარგმნელებს, რომლებიც დაიბადნენ მთარგმნელებად. მათ გამოსარჩევად უნდა ითქვას, რომ ისინი შედეგებს თარგმნიან და თარგმნიან შედეგებად; ისინი ამდიდრებენ ქართულ ლიტერატურას, ქართულ ენას; ახალ ძალებს მატებენ მას, ახალ სიცოცხლეს შთაჰბერავენ.... დანარჩენები კი მაკულატურაა, თუნდაც გაიყიდოს; მთარგმნელობაც ბაზარმა ჩაყლაპა, ისევე როგორც მწერლობა. ბევრი არამწერალი წერს და ბევრი არაპოეტი პოეტობს; ბევრი არამთარგმნელი თარგმნის; ეს არაა ის რაოდენობა, რომელიც ხარისხში გადავა და ვერც იქნება რაოდენობა

ხარისხის განმსაზღვრელი. უცხო ენა დღეს ბევრმა იცის, საყველამო ქართული - კიდევ უფრო მეტმა, მაგრამ წერას და თარგმნას კიდევ რაღაც სჭირდება, სჭირდება ის, რაზეც ანა კალანდაძე მიაწინებს.

გ. გ. – ღვთიური მადლი... ერთმა ფიქრმაც იჩინა თავი: ჭეშმარიტებაა, „ვანო მაჩაბელი მათ შორისაა, ვინც ქართული ენა გადაარჩინა“; მაგრამ... აქამდე არ მიფიქრია: მთარგმნელობითი საქმის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის როლს ცოტა მეტი ყურადღება ხომ არ სჭირდება? არ ვგულისხმობ „მეფე ლირისა“ თუ ბუვიეს რომანის თარგმნას (ესეც საქმეა!..); რევაზ ერისთავის მიერ ნათარგმნი „შეშლილი“ რომ მიწასთან გაასწორა და „პროგრამული ტრაქტატი“ შექმნა, **რა უნდა ითარგმნოს ქართულად, რა მიზნით და როგორ...** ამ გახსენებაზე კიდევ ერთხელ ჩავიხედე ამ წერილში; ორიოდე ამონარიდს მოვიყვან: რომ „კარგი თარგმანი სასარგებლოა“... „თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა“... „თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს“... „ეს თარგმანი ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი“ და ა. შ. აი, ამას ვგულისხმობ... მეჩვენება, რომ ამაზე ყურადღება არ მახვილდება... თუმცა ნუ გავყვებით ამჯერად ამ საზს...

პ. ჩ. – კეთილი, ამჯერად ნუ გავყვებით, მაგრამ, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო ეს წერილი, შეუძლებელია არ განცვიფრდე ილიას სიბრძნითა და მარადიულობით. ეგ ამონარიდები ხომ დღევანდელ დღეს ეხმაურება, თანაც ზედმიწევნით!

* * *

გ. გ. – სიმონ ჩიქოვანი წერს: „თარგმანზე მუშაობაში საჭიროა დაახლოებით მაინც მოძებნა იმ ნათესაობისა, რომე-

ლიც უნდა არსებობდეს მთარგმნელსა და სათარგმნი ავტორის ბუნებას შორის“... სხვაგვარადაც ითქვა: „თარგმანი სისხლის გადასხმას ჰგავს; სისხლი ერთი ჯგუფისა უნდა იყოსო,“ – (მწერალთა საკავშირო ყრილობაზე უთქვამს ვილაცას, – ანა კალანდაძე იგონებს)... რას იტყვით ამის თაობაზე? თქვენი აზრით, ხშირად ირევა „სისხლის ჯგუფები“? (მინახავს ეროვნული პოეზიის ანთოლოგია, რამდენიმე ათეული პოეტისაგან შემდგარი, ერთი პოეტის მიერ თარგმნილი... სისხლის ჯგუფზე საუბარი ამ დროს ალბათ ზედმეტია, ყველა ნათარგმნი ავტორი თითქმის ერთმანეთს ჰგავს, ანუ – მთარგმნელს...)

პ. ჩ. – ჰმ, პარადოქსია! ერთი მხრივ, ნათესაობა მთარგმნელსა და სათარგმნი ავტორის ბუნებას შორის?! - აქ ალბათ სულიერი ნათესაობა იგულისხმება; სიმონ ჩიქოვანის დროს სულის ხსენება არ ეგებოდა. მეორე მხრივ – სისხლის საერთო ჯგუფი. ზოგისთვის თარგმნა სახლიდან სახლში გადასვლაა; ზოგისთვის – ღალატი; ზოგი, წარმოიდგინეთ, პიროვნულ ეროტიკას უწოდებს; ჩემთვის დიალოგია... ეს ყველაფერი მეტაფორებია. ლიტერატურული თარგმანი ლიტერატურაა. მთარგმნელს უჩნდება დაუძლეველი სურვილი უკეთ წაიკითხოს წიგნი; ეტიაშბლი ხომ ამბობდა, მხოლოდ იმ წიგნებს ვკითხულობთ, რომელსაც ვთარგმნითო. და აი, მთარგმნელს, მოწოდებით მთარგმნელს, უჩნდება დაუძლეველი სურვილი თავის ენაზე გადმოიტანოს ის, რაც სხვა ენაზეა და ამით დაიკმაყოფილოს კითხვისა და წერის სურვილი. ამ დროს იგი ეგებ არც ფიქრობს მშობლიურ ლიტერატურაზე, მაგრამ მაინც ამდიდრებს მას, როცა შედევრს შედევრად გადმოიტანს. სისხლის ჯგუფი ეგებ არ ემთხვეოდეს, მაგრამ ხმა ესმოდეს და ახლებურად ახმიანებდეს, თემა აწუხებდეს და სხვებსაც უზიარებდეს, ახალი ფორმის მოსინჯვა უნდოდეს და სინჯავდეს... ჰო, ხდება, რომ მთარგმნელს, როგორც პოეტს, თავისი ხმა

აქვს, თარგმანებში იყენებს და სრულიად განსხვავებულ პოეტებს არგებს ამ ხმას... ეს კარგ მთარგმნელებსაც ემართებათ; არის ამის მაგალითები, დამიწერია ამაზე, მაგრამ შორს წავალთ...

გ. გ. – იმ პასაჟს რომ დაგუბრუნდეთ: მინახავს ეროვნული პოეზიის ანთოლოგია, რამდენიმე ათეული პოეტისაგან შემდგარი, ერთი პოეტის მიერ თარგმნილი-მეთქი... „სისხლის ჯგუფზე“ საუბარი ამ დროს ალბათ ზედმეტია; როგორც ვთქვი, ყველა ნათარგმნი ავტორი თითქმის ერთმანეთს ჰგავს, ანუ – მთარგმნელს...

პ. ჩ. – სჯობს, რომ მთარგმნელმა ერთი პოეტი თარგმნოს, ერთ ჯერზე. პოეზიის თარგმნა ძალზე ძნელია და მთარგმნელისაგან პოეტის ზედმიწევნითა და ნიუანსობრივ შესწავლას მოითხოვს. თარგმნამდე მოხდება ეს, თუ თარგმნისას, ეს გზა უნდა გაიაროს მთარგმნელმა და, აბა, როგორ შეისწავლის ერთბაშად რამდენიმე პოეტს? – ხმები აერევა. უამრავი ლირიკული ლექსია ქართულად თარგმნილი და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია ყურადღების ღირსი...

* * *

გ. გ. – პაატა, „პწკარედის“ თემა მაინტერესებს: ინტერნეტში ვნახე – მთარგმნელი წერდა: „თარგმანი გელურიდან (164-ე ენა). უცნობი ავტორი“ და ა. შ. ამგვარი რამ უხერხული მეჩვენება; შეიძლება პრაქტიკულად ერთი ან ორი ენა იცოდეს კაცმა და „164 ენიდან“ თარგმნიდეს?.. საკითხი ასე მინდა დავსვა: **პწკარედს ვინც აკეთებს, თარგმანს ისიც უნდა მიეწეროს თუ არა?** ვინ იღებს პასუხისმგებლობას აზრობრივად, შინაარსობრივად დედნის სწორად გადმოტანაზე? გამლექსავი? გავიხსენოთ: „**მთარგმნელს** ძალზე საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია – **ავტორსა და მკითხველს შორის შუაკაცობა**“ (ანა კალანდაძე). ამ შემთხვევაში ვინაა

„შუაკაცი“ – ვინც პწკარედს აკეთებს თუ გამლექსავი? თუ ორივე?

პ. ჩ. – პწკარედის საკითხში ვერც მე გავრკვეულვარ. პწკარედი შინაარსს გაწვდის. თუ პოეტს ან მწერალს სხვა ენიდან იცნობ და გიჩნდება სურვილი „წაკითხვისა“ და პწკარედს ითხოვ, რომ უფრო ახლოს იყო ტექსტთან, კიდევ გასაგებია; მაგრამ თუ მწერლისა არაფერი იცი და პირდაპირ პწკარედიდან თარგმნი, შთაგონება და შემოქმედება სადღაა? ისე კი, სჯობს ენა იცოდე და წიგნი ორიგინალში გქონდეს წაკითხული და იქ დაგეუფლოს დაუძლეველი სურვილი.

გელური/გაელური ხომ ირლანდიური ენაა, ცოცხალია ანუ გაცოცხლდა/გააცოცხლეს და ლიტერატურაც არსებობს; საქართველოში ის ალბათ ირლანდიის კონსულმა და კიდევ ჯეიმზ ჯოისის „ლამისთევა ფინეგანისათვის“ მთარგმნელმა, თამარ გელაშვილმა იცის, თუმცა, შესაძლოა ირლანდიაში ნაცხოვრებმა ანუ მცხოვრებმა რომელიმე ქართველმაც. ძალიან მინდა, რომ ვინმემ გელურიდან თარგმნოს. ამ ხალხმა, ირლანდიელებმა, მსოფლიოს უდიდესი ინგლისურენოვანი პოეტები და მწერლები მისცეს და შეუძლებელია გელურადაც დიდი ლიტერატურა არ ჰქონდეთ.

გ. გ. – და... პწკარედის ავტორის ინტერესი? პასუხისმგებლობა?... მე მაინც ვფიქრობ, რომ მკითხველისათვის „გასაიდუმლოებული“ არ უნდა იყოს...

პ. ჩ. – პწკარედის ავტორის ინტერესი შესაძლოა იყოს მატერიალური ანაზღაურება ან ლიტერატურის სიყვარული და თხზულების თარგმნის სურვილი და უკეთესი ოსტატის მოწვევა; მეტი რა უნდა იყოს? თუმცა ყველაფერი შეიძლება ივარაუდო. პასუხისმგებლობა კი დიდი ეკისრება, ტექსტი დედანს უნდა მიჰყვებოდეს და შეცდომები არ უნდა გაეპაროს.

გ. გ. – სხვათაშორის, დანტეს „ღვთაებრივი კომედის“ თარგმანში აღნიშნულია: „ჯოჯოხეთის“ ნახევარი თარგმნა კ. ჭიჭინაძემ კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პწკარედების მიხედვითო“...

პ. ჩ. – ასეა, ერთად თარგმნიდნენ . . .

გ. გ. – რამდენადაც მე ვიცი, თქვენც ერთად თარგმნით – პაატა და როსტომ ჩხეიძეები. თარგმნის ღროს თუ გქონიათ „ენობრივი დისკუსიები“ (თანამთარგმნელებს შორის თუ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა ქართული ენის გამო)?... ამგვარ შემთხვევაში გიორგი შატბერაშვილი იტყოდა, შევეკითხოთ „სიტყვის პაპას“ ან „სიტყვის დედასო“... როგორ წყდება თქვენთან ეს საქმე? ვინაა მსაჯული?

პ. ჩ. – ჰო, ერთად ვთარგმნით, თავიდანვე და დღესაც და სხვაგვარად აღარც იქნება. ასე ვთქვათ, ბრენდია – პაატა და როსტომ ჩხეიძეები! თუ არ ვცდები, ერთხელ ამირან კალაძემ იხუმრა,

– იყო ედმონ და ჟიული,
იყო ილფი და პეტროვი,
მე კი როსტომ და პაატას
ვარ ერთი თანამედროვეო.

ადრე ერთად ვისხელით და ვთარგმნიდით, ახლა დავშორდით, მოგეხსენებათ ოჯახი, ცოლ-შვილი, მაგრამ ტელეფონი და ინტერნეტი, ზუმი და მესინჯერი გვაახლოვებს. მსაჯული ოთარ ჩხეიძე იყო, თვალს გვაღევენებდა, გვირჩევდა, არ ჩაგვერეოდა მკვეთრად, მაგრამ არც იმის ნებას მოგვცემდა, რომ ძალიან გაგვეტია... ახლა როსტომია „სიტყვის პაპა“... დისკუსია ანუ კამათი? არა, რა საჭიროა? ორმოცი წელზე მეტია ერთად ვთარგმნით, რა გვაქვს საკამათო?! როსტომი მწერალია და თავისი სტილი აქვს, მაგრამ თარგმანში არ შემოაქვს; – რად უნდა?! ყველანაირი სტილი ემარჯვება.

გ. გ. – ესეც გვანტერესებს: თქვენ რა პრინციპით არჩევთ სათარგმნ მასალას? თუ ყოფილა შემთხვევა, ნაწარმოები მოგწონებია, მაგრამ გიფიქრია, რომ ქართულ ენას „ვერ მოერგება“, „არ გადმოვა“ ქართულად და ამიტომაც აღარც ვითარგმნია? მიზეზი რა შეიძლება იყოს ამ დროს? (თუ არც არსებობს ასეთი რამ; ყველაფერი შეიძლება გადმოვიდეს ქართულად... მთავარი მთარგმნელის ოსტატობაა)...

პ. ჩ. – თავიდან რაც მოგეწონდა, იმას ვთარგმნიდი, მერე და მერე – რაც მოგეწონს და, ამავე დროს, რაც ჩვენს ლიტერატურას სჭირდება. არ ვთარგმნი იმას, რაც უკვე თარგმნილია კარგად, თუნდაც ძალიან მოგეწონდეს. ქართულად ყველაფერი გადმოვა, ყოველ შემთხვევაში, ინგლისურიდან.

გ. გ. – მოკლედ, იმის თქმა გსურთ, გადმომტანს გააჩნიაო, არა?

პ. ჩ. – ჰო, ეგ უპირველესად! მთარგმნელი კარგი, გემოვნებიანი ლიტერატორი უნდა იყოს, მწერლობის მცოდნე, გაწაფული მწერლობაში; უნდა იცოდეს, როგორ იწერება ლექსი, მოთხრობა, რომანი, დრამა; თვითონ უნდა ჰქონდეს ნაცადი. ყური უნდა ჰქონდეს გაწვრთნილი და კალამი – ნავარჯიშევი.

გ. გ. – რატომ დგება საკითხი ეპიკური პოეტური ტექსტის პროზაული თარგმანისა (თქვენც მდგარხართ ამ გზაზე). მე არ გამიგია, რომ ლირიკული ლექსი ეთარგმნოთ პროზაულად (მომხდარა ამგვარი რამ?); ასეთი რამ კი მსმენია, ლირიკული ლექსი არ უნდა ითარგმნოს...

პ. ჩ. – იმიტომ, რომ ეპოსში შინაარსი, თემა და მხატვრული იდეა, პორტრეტები და ობიექტური მსოფლხედვა დომინანტობს და შეიძლება რომ პოეტური ხმები შესწირო სხვა დიდ ამოცანას; მაგრამ „ღალატი“ მაინც აშკარაა. არ ვიცი,

თუ რატომ ითარგმნა „ვისრამიანი“ პროზად; ბატონმა ზურაბ კიკნაძემ იცის, თუ რატომ თარგმნეს „ოლისეა“ პროზად. ჩვენ ავხსენით, თუ რატომ ვთარგმნეთ „დონ ჟუანი“ პროზად; თუმცა კი ბაირონის პოეზიას, მის სტროფს ვულაღატეთ, მაგრამ ქართულ ლიტერატურას „დონ ჟუანის“ პროზაული ვერსია შევძინეთ. ლირიკული ლექსი პროზად ვერ ითარგმნება – თუმცა ფრანგები თარგმნიან – სუბიექტივიზმი სჭარბობს და ფორმა დომინანტობს; ამბობენ, არ უნდა ითარგმნოსო, მაგრამ ქართულად თარგმნილი შედეგები სხვას ამტკიცებს. შეიძლება ლირიკის თარგმნა, მაგრამ ყოველთვის ვერ მიიღწევა შედეგი და მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ.

გ. გ. – არქაიზმებისა და დიალექტიზმების გამოყენებაზე ბევრი კამათი ყოფილა. სამოციან წლებში დისკუსიაც კი გაიმართა ამ საკითხებზე ჩვენში („ცისკარში“ – „ენა ძველი, ენა ახალი“), არღი თაყაიშვილმა წამოიწყო... ეს პრობლემა თუ დამდგარა თქვენთან თარგმნის პროცესში? (წამიკითხავს: მ. შოლოხოვის რომანების თარგმნისას მთარგმნელმა დონელ კაზაკთა მეტყველების გადმოსატანად კახური დიალექტი მოიშველიაო...).

პ. ჩ. – ჰო, ცნობილი დისკუსიაა. გადაჭარბებული არა ვარგა რა. მაგრამ ჩემთვის ასეა, თუ სიტყვა, ფრაზა, წინადადება ქართულია და თავის ადგილას ზის, არ დავძებ, ძველია თუ ახალი. დიალექტის გამოყენება თარგმნისას უკვე, ასე ვთქვათ, აპრობირებულია ჩვენში, ვანო მაჩაბელი იყენებდა, ვახტანგ ჭვლიძე, ღავით წერედიანი... ალბათ გახსოვთ, ვიიონის „ანდერძიდან“....

ემვენად ყოფნი უფლებაი უთმობ.
რითა მაქვ? მითა, რო გაგჩნდი პარიზ,
პუატოურად თუ ვუქცემ უფრო,
სულ ორი გოგოი წყალობა არი.

მახსოვს კურტ ვონეგუტის პიესის თარგმნისას, აქა-იქ ჟარგონი და ქუჩური მეტყველება მოითხოვა ორიგინალმა; ოღონდ, აქაც ზომიერებაა საჭირო; **ზოგ მთარგმნელს სკაბრეზი შემოაქვს, თუმცა ორიგინალში არ არის, ალბათ უნდა ავტორზე ჭკვიანი იყოს...** ჩვენს სუბიექტივიზმით გაუღენთილ დროში ასეთი კურიოზებიც გვხვდება.

* * *

გ. გ. – ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ენა არ მოსწონს მ. ჯავახიშვილს; წერს: „ქართულს უმთავრესად თარგმანი რყვნის – წიგნიდან გადმოთარგმნილიც და უცხო ენაზე მოაზრებულ-გადმოქართულებულიც“; ამასვე დარდობს კ. გამსხურდიაც: „უნდა ითქვას, რომ მეტყველების დაუდევრობა თვალსაჩინოდ ეტყობა ჩვენს მთარგმნელებს“;

რას მეტყვით, როგორ ფიქრობთ, ეს იმდროინდელი დარდია, თუ სადღეისოც?..

პ. ჩ. – ვაჰ, არც ეს ვიცოდი, სად პოულობთ?! აი, „სიტყვის პაპაც“ ასეთი უნდა! მარადიული დარდია და სადღეისოც. დღეს ხომ იმდენი ითარგმნება, რამდენიც არასოდეს თარგმნილა; ძირითადად მდარე ლიტერატურა ითარგმნება და ითარგმნება მდარედ. მდარეს ეტანება მასობრივი მკითხველი, კითხულობს და გემოვნება უქვეითდება. უცხო ენა დილეტანტ მთარგმნელზე მოქმედებს და თრგუნავს, ემორჩილება და კალკით თარგმნის, ქართული ენის სიმდიდრესა და მოქნილობას არ იყენებს, მწირი ლექსიკა აქვს და გაშეშებული სინტაქსი. ასეთ მთარგმნელებს ავიწყდებათ გერონტი ქიქოძის შეგონება, – უცხოელი მწერლის თხზულება ისე უნდა თარგმნოთ, თითქოს ქართულად დაეწეროსო!

გ. გ. – კ. გამსახურდია ამასაც დარდობს: ზოგი კარგი მწერალია, მაგრამ ცუდად თარგმნისო... ეს როგორ გავიგოთ: შეიძლება კარგი მწერალი იყოს, ენაც კარგად იცოდეს მაგრამ

თარგმანი არ გამოუვიდეს? ანუ „მთარგმნელის ნიჭი“ არ ჰქონდეს?

პ. ჩ. – ეს კი არ ვიცი, როგორ უნდა მოხდეს?! კარგი მწერალი იყოს – რა თქმა უნდა, ენა თუ ენები კარგად ეცოდინება, თუ კარგი მწერალია – და ცუდად თარგმნოს?! ალბათ უგულოდ მოეკიდა, უსურვილოდ, ცხვირაბზეკით... მაგრამ ვაჟა-ფშაველამ რომ თარგმნა ედგარ პოს „ყორანი“, უგულოდ არ მოეკიდებოდა... ისე თარგმნა, როგორც თვითონ დაწერდა და ვაჟას „ყორანი“ გამოვიდა, ედგარ პო სულ დაიკარგა. ყველა შემთხვევა ცალკე უნდა განვიხილოთ, ალბათ.

გ. გ. – ისევ ეს თემა რომ განვაგრძოთ: ოთარ ჩხეიძე, როცა მხატვრული ნაწარმოების ენაზე საუბრობს, გვასწავლის – „არ შეიძლება დავარღვიოთ გრამატიკული წესები...“ „გრამატიკული სისუფთავე აუცილებელიაო“... მაგრამ მე არ შემხვედრია მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მწერალი, ეს მოთხოვნა რომ შეესრულებინა („ხედმიწევნით“)... ამას ამართლებენ ე. წ. „ენობრივი თავისუფლების“ მოშველიებით (რაც ნიჭიერ მწერალთათვის „გამოგონილი“ შეღავათი მგონია მე!)... რა ხდება პირადად თქვენთან? ნორმალიზებული (სტანდარტული) ქართულის ჩარჩოდან თუ გასულხართ? რატომ და „რა მანძილზე“... (საუბარია გააზრებულ ქმედებაზე).

პ. ჩ. – არ უნდა დავარღვიოთ. ოთარ ჩხეიძე ჩემთვის, ბოლიში, ჩვენთვის შეუდავებელი ავტორიტეტი იყო და არის. ჩვენი მთარგმნელობითი საქმიანობა ესეების თარგმნით დაიწყო. იქ წყარო ტექსტი გრამატიკული წესებით იყო გაწყობილი და ჩვენც მივდევდით. ეპოსის თარგმნისასაც ასე იყო. აი, უილიამ ფოლკნერის რომანის თარგმნისას კი... მას ხომ თავისი ენა აქვს, თავისი გრამატიკა; ერთ გვერდზე გადაჭიმული წინადადებები, პუნქტუაციის უარყოფა, სიტყვების გამოგონება და ჩვენც, რა თქმა უნდა, მივყვებოდით, ძალაუწებურად. სამაგიერ-

როდ ღიკენსის თარგმნისას ამოვისუნთქეთ, ახლა თეკერეის ვთარგმნით და აქაც არ ირღვევა გრამატიკული წესები. თანამედროვე ქართველი მწერლების / მთარგმნელების ერთი ნაწილი არც გრამატიკულ წესებს დაგიდევს, არც ლიტერატურულ ტრადიციებს და არც ელემენტარულ გემოვნებას. ზედაპირულად ესმით პოსტმოდერნული თეორიები, იზიდავთ cancel culture-ის (ერთგვარი, თანამედროვე ოსტრაკიზმი) მოდა და დათარეშობენ ლიტერატურაზე მასმედიის გამოყენებით. რა თქმა უნდა, გადაივლის და ნამდვილი მწერლობა დარჩება, მაგრამ მთლად ნებაზე მიშვებაც არ შეიძლება, ქართულ და ევროპულ კულტურულ ტრადიციებზე გალაშქრებას პასუხი უნდა გაეცეს.

გ. ვ. – ძალიან საინტერესო მეჩვენა ფოლკნერის შემთხვევა. რომ თქვი, ფოლკნერისათვის ჩვეული სტილია „პუნქტუაციის უარყოფა, სიტყვების გამოგონება და ჩვენც, რა თქმა უნდა, მივეყვებოდით, ძალაუნებურადო“; იქნებ ეს უფრო მეტად განმარტოთ, რას ნიშნავს, „მივეყვებოდით“ – პუნქტუაციის უარყოფასა და სიტყვების გამოგონებაში? კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ მოიყვან, უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, რა მოხდა?

პ. ჩ. – უილიამ ფოლკნერის მოთხრობა „დათვი“ (რომანის, „გარდავედ მოსე“ შემადგენელი ნაწილია) მთელი გვერდებია, სადაც ფოლკნერს არც ერთი მძიმე და წერტილი არ აქვს დასმული. რამდენიმე გვერდიანი წინადადებები ხომ ჩვეულია ფოლკნერისათვის. ამ დროს მთარგმნელი ურთულესი ამოცანის წინაშე დგება. მკითხველები ხომ საყვედურობენ ფოლკნერს, ვერ გავიგეთო და მთარგმნელიც ვერ იგებს და ეწვალება, ჩერდება, უკან ბრუნდება... იყო რამდენიმე სიტყვაც, (ვერ ვპოულობ ჩანაწერებში) რომელთა მნიშვნელობასაც კონტექსტით და კითხვა-კითხვით მივხვდით...

* * *

ბ. გ. – ერთი ცნობილი მთარგმნელი დაჟინებით ცდილობს დაამკვიდროს ტერმინი „გადმოაენა“ (თარგმნაო)... მის თარგმანებში ამგვარი ინიციატივები სხვადას... როგორია თქვენნი აზრი მსგავსი ინოვაციების თაობაზე (ცოტა ხელოვნურობის ელფერი ხომ არ დაჰკრავს?)...

პ. ჩ. – არ ვიცი ვინაა ეგ მთარგმნელი, ეგებ დაამკვიდროს კიდევ; დღეს ბევრი უცნაურობა მკვიდრდება ქართულ ლექსიკაში. მე პირადად „გადმოაენა“ ცუდად მესმის, ყურს არ მოსწონს.

ბ. გ. – „გარგანტუა და პანტაგრუელი“ არის მისი „გადმონებული“... ამგვარი რამ („გამოგონილი“ ტერმინების დამკვიდრების მცდელობა) მრავლად იყო გასული საუკუნის ოციან წლებში... არ მკვიდრდება, არ იღებს ენა... იშვიათი გამონაკლისები არსებობს, რა თქმა უნდა... თუმცა ეს საუბარიც შორს წაგვიყვანს...

პ. ჩ. – რა მოგახსენოთ? ზოგჯერ მკვიდრდება და ზოგჯერ – არა. „გადმოაენაზე“ ვერას გეტყვით, „გარგანტუას“ მთარგმნელს კი მთარგმნელობას ვერ დავუწუნებ. ჩემს თავზე ვიტყვი: ინგლისურ ენაზე პროზაულ თხზულებას ეწოდება fiction, რაც შესაბამისად ითარგმნებოდა; აქ ერთი ნიუანსია, თუ fiction-ს „პროზად“ ვთარგმნით, დააკლდება, რომ შემთხვეულია, თანაც არსებობს მეორე ტერმინიც, non-fiction ანუ დოკუმენტური პროზა. მე უკვე კარგა ხანია fictions თხზულს ვუწოდებ და non-fictions – არათხზულს, არ ვიცი ეგებ დამკვიდრდეს, ეგებ – არა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ მცდელობებს არ ვეწინააღმდეგები, თუ ახირებულობამდე და უგემოვნებამდე არ მივალთ. ინგლისური სიტყვა prejudice ინგლისურად ნიშნავს, წინასწარ შემუშავებულ აზრს, რაც ცოდნასა და გამოცდილებაზეა დაფუძნებული; ქართულად, დიდი ხნის წინ, და-

მკვიდრდა როგორც „ცრურწმენა“; მე ვცდილობ დავამკვიდრო „წინასწარწმენა“, რაც არც კარგად უღერს და ნეოლოგიზმიცაა, მაგრამ ცრურწმენა, გარდა იმისა რომ ნეოლოგიზმია, შეცდომაცაა, ჯეინ ოსტინის რომანი, „ride and Prejudice“, სამჯერ ითარგმნა ქართულად (ერთიც საკმარისი იყო) და სამჯერვე სხვადასხვა სათაურით – „სიამაყე და ცრურწმენა“, „სიამაყე და მცდარი აზრი“ და „ამპარტავნება და ამოჩემა“, – რომელია სწორი? – მე მესამისკენ ვიხრები, თუმცა ვიცი, რომ „ამოჩემა“ prejudice-ის ზუსტი თარგმანი არაა. ისე, დამკვიდრებული შეცდომის შეცვლა ძნელია. ემილი ბრონტეს რომანი, „Wuthering Heights“, რუსულის მიბადებით, ითარგმნება როგორც „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, არადა, „ქარიანი მაღლობებია“ ან „ბორცვები“; რამდენჯერმე დავწერე, მაგრამ არავინ იღო ყურთ; თავის დროზე აკაკი ბაქრაძემ თქვა, „მოტლანდია“ რუსულიდანაა შემოსული, ქართულად „სკოტლენდი“ უნდა ვთქვათო, მას შემდეგ, ალბათ, ნახევარი საუკუნე გავიდა და, ჩემ გარდა, ორიოდე კაცი თუ იტყვის სკოტლენდს...

* * *

გ. გ. – საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი, რომ განუზომელია თარგმნილი ლიტერატურის როლი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (ოთხთავის ქართული თარგმანი იყო ნორმა ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის)... „ბიბლია“ – „ვისრამიანი“ – მაჩაბლის თარგმანები... (რომელია თქვენთვის სანიმუშო...) როგორ ფიქრობთ, გრძელდება ეს ხაზი?

პ. ჩ. – თქვენ მიერ დასახელებულთაგან ყველა სანიმუშოა და მრავალი სახელიც დაემატება მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეშიც და ახლაც გრძელდება ეს ხაზი; წინა თაობიდან მთარგმნელობითი გმირობის მაგალითია მედეა ზაალიშვილი,

ოთხმოცდაათი წლისაა და კვლავ თარგმნის! ჩვენი თაობაც თარგმნის და ახალგაზრდებიც არ ჩამოგვივარდებიან; შემიძლია ჩამოვთვალო... – არა, არ მინდა, შორს წავალ, მაგრამ ორ ქალბატონს მაინც დავასახელებ მომდევნო თაობიდან: ლელა სამნიაშვილმა თარგმნა „ჰამლეტი“, ახალი სალექსო საზომის გამოყენებით და ანი კოპალიანმა თარგმნა ტ. ს. ელიოტის „კატები“; ორივე თარგმანი შესანიშნავია და ვამაყობ, რომ ორივეს რედაქტორი ვარ. სამი მთარგმნელი დავასახელებ და მრავალი მოვიძღურე, თანაც სამივე დასახელებული ქალია! ბარემ მეოთხეზეც ვიტყვი ლანა კალანდიამ თანამედროვე ესპანელი მწერლის, ხავიერ მარიასის „ბერტა ისლა“ თარგმნა, მალე გამოჩნდება წიგნის თაროზე; უცებ, მეხუთე მომაგონდა, თაკო ჭილაძე ჰენრი ფილდინგის „ტომ ჯონს ნაპოვარას“ თარგმნის, ფილდინგი დღემდე არ გვექონდა ქართულ ენაზე; ესეც ქალია, მაგრამ არავითარი გენდერი, ერთბაშად წამომავიწყდა... განუზომელ გავლენას რაც შეეხება – სულ ახლახან გარდაიცვალა დავით წერედიანი! ვერ ვგუუბი აზრს, რომ აქ აღარაა; ხან ხელი გამიბრბის ტელეფონისკენ, მინდა დავურეკო. ბოლო დროს ტომას ელიოტის „პრუფროკის“ თარგმანი გამოაქვეყნა – შედეგრი! აი, ვის შეეძლო ელიოტის თარგმნა!

გ. გ. – გახშირებულმა სერიულმა გამოცემებმა („50 წიგნი“... „49 წიგნი“...), დაჩქარებულმა ტემპებმა, გამრავლებულმა გამომცემლობებმა და აჭრელბულმა გამოცემებმა ხომ არ დასცა თარგმანის დონე (ენას ვგულისხმობ)? მახსოვს, ერთხელ შენიშვნისმაგვარი შეკითხვა შემოგბედე და ცივად იუარე, ეს არ არის ჩემი თარგმანიო (სხვა პაატა ჩხეიძეაო)... მეჩვენება (თუ არ მეჩვენება და...), რომ ხშირად მწირი ქართულია, ღარიბი ლექსიკა... (მ. ჯავახიშვილი წერდა თავის დროზე: „ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმ-

და...“ ო. ჩხეიძე ჩიოდა: „თან ეძებენ სიტყვებს და თან წერენო; თუ ეძებ, რაღას დაწერო“...)... ასეა?

პ. ჩ. – ეგრეა, მაგრამ არა უშავს, გადავიტანთ. საუკუნეებია გადარჩენისათვის ვიბრძვით და სკეპსისის მიუხედავად უნდა ვიშრომოთ, რომ გადავრჩეთ და ენა გადავარჩინოთ.

გ. გ. – „სუსტი თარგმანისაგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ დიდ ცოდვად მიმაჩნია, როცა მთარგმნელი ანგარიშს არ უწევს დედანს და თავის ნებას თავს ახვევს ავტორს“, – ამას პოეტი ამბობს (ა. კალანდაძე) თავისი ლექსების მთარგმნელებზე განაწყენებული; ასეთი რამ ალბათ პოეზიაში უფრო ხდება, ხომ?

პ. ჩ. – პოეზიის, ლირიკული პოეზიის თარგმანები უმრავლეს შემთხვევაში სუსტია. მაგრამ თუ მოხდა იღბლიანი შემთხვევა და პოეტს გამოუჩნდა ბადალი მთარგმნელი, ვთქვათ, როგორც ომარ ხაიამს გამოუჩნდა ელუარდ ფიცჯერალდი ან იმავე ომარ ხაიამს – ვახუშტი კოტეტიშვილი, ან ფრანსუა ვიიონს – დავით წერედიანი, მაშინ პოეტმა აღარ უნდა დაიჩვილოს, რომ მისი ლექსი სწორად არ თარგმნეს; რა თქმა უნდა, ლირიკული ლექსის მთარგმნელი პროზის მთარგმნელზე მეტად დალატობს წყარო ტექსტს, როცა თარგმნის: *Traduttore, traditore* (მთარგმნელი მოღალატეა), მაგრამ მან რომ სიტყვები თარგმნოს და არა ლექსი, არაფერი გამოუვა. ამიტომ მართებულია მოსაზრება, რომ ლექსი არ უნდა ითარგმნოს, ვერ ითარგმნება, არის მხოლოდ გამონაკლისები და ეს გამონაკლისები, კვლავ და კვლავ, გვაბედინებს ლექსის თარგმნას, ეგებ გამონაკლისი მივიღოთ. ზოგი ლექსი ისე ითარგმნება, რომ მასში ორიგინალი ისმის. ამერიკაში, ირანელ პროფესორს ვუთხარი, სპარსულ ლექსს წაგიკითხავ ქართულად თუ გამოიცნობ ვისია-ჩეთქი და წავუკითხე, ომარ ხაიამის რობაი, სხვა არაფერი ქარის გარდა არ არსებულა; – და-

მიჯერეთ! ცოტა ხანს იფიქრა და მკითხა, ომარ ხაიამი ხომ არააო?! საქართველოში ვახუშტი კოტეტიშვილს რომ ვუამბებ, თვალები გაუბრწყინდა, ძალიან გაიხარა.

* * *

გ. გ. – ერთი კითხვაც მაწუხებს: ჩემი თაობა ამ წიგნებზე გაიზარდა: „ბიძია თომას ქოხი“, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“, „პატარა უფლისწული“... ახლახან ითარგმნა და გამოიცა: „ბიძია ტომის ქოხი“, „ჰაკლბერი ფინის თავგადასავალი“, „პატარა პრინცი“... გამართლებულად მიგაჩნია ამგვარი რამ? ეს საკითხი უცხოელ ავტორთა სახელების ქართულად გადმოტანასაც ეხება (ილია „გეტე“-ს წერდა, სხვა – „გიოტე“-ს, ჩვენ – „გოეთე“-ს...); ღირს კი უკვე მყარად დამკვიდრებულის შეცვლა თუნდაც მეცნიერულად გამართლებული ვარიანტით?

პ. ჩ. – ნიკო ყიასაშვილი წერდა, შექსპირის პერსონაჟთა სახელების თარგმნაზე მსჯელობისას, რომ სჯობს დადგენილს და განმტკიცებულს არ შევეხოთო; მაგრამ მთარგმნელს მაინც აქვს უფლება, ახალ თარგმანში სათაურებისა თუ პერსონაჟთა სახელების თარგმნისას მართებული შესწორება შეიტანოს. მე პირადად უკვე თარგმნილსა და, მითუმეტეს, კარგად თარგმნილს არ შევეხებოდი, იმდენი რამეა სათარგმნი...

...ჰო, ახლა გახშირდა ხელმეორედ თარგმნა; არ ვიცი, მგონი გამოძველებების დაკვეთაა. მაგალითად, ჯეინ ოსტინის ერთი რომანი სამჯერ ითარგმნა. ამ დროს ექვსივე რომანი თარგმნილი ჯერაც არაა.

* * *

გ. გ. – მე-20 საუკუნის ბოლოს ერთი უცნაური ტალღა აგორდა: ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის „თარგმნა“ ახალ ქართულ ენაზე. თარგმნეს „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყა-

ოსანი“ (რამდენჯერმე!) და, თქვენ წარმოიდგინეთ, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაც“ კი... აბიტურიენტებისათვისო... მაშინ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ქართული ენის შემთხვევაში „ძველი“ და „ახალი“ პირობითი ტერმინებია; ერთი ენაა! (განსხვავებით ბერძნულისაგან..). რა გამოდის: ქართულიდან ვთარგმნით ქართულად? რას იტყვით?

პ. ჩ. – ქართულიდან ქართულად თარგმნა წყლის ნაყვია. ქართული ენა უნიკალურია. საშუალო განათლებისა და ინტელექტის მქონე ქართველ მკითხველს შეუძლია მეხუთე საუკუნის ტექსტი წაიკითხოს და გაიგოს. არ ვიცი სხვა რომელი ენაა ასეთი. და როცა ასეთი განძი გაქვს, უნდა გაუფრთხილდე და შეაგულიანო მკითხველი, კი არ უნდა დააფრთხო და დააკნინო, როცა იმას უღეჭავ, თანაც უგემურად, რასაც თვითონაც ადვილად აითვისებს. ქართველ მკითხველს არ სჭირდება „შუშანიკისა“ და „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა, თუმცა ადაპტირებული, შემოკლებული და პოპულარული გამოცემები საჭიროა. ოღონდ, ყველაფერში არ უნდა ჩაყვით ცხვირი და ყველაფერს არ უნდა შევეხოთ. მახსოვს, ერთი მეტიჩარა გოგონა მაჩაბლის თარგმანების გასწორებას ითხოვდა, შევეპასუხე და ვურჩიე, თავიდან თარგმნე-მეთქი, ვერ გამიგო... არ გეგონოთ, თვითონ მოიფიქრა; ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოშია დაწყებული და ცხარე კამათი მიმდინარეობს. კლასიკური მწერლობის ჩასწორებას მოითხოვენ, სხვადასხვა მიზეზით...

გ. გ. – ჩვეულებრივ, აბიტურიენტებისათვის გამიზნულ ამ „თარგმანებს“ არ აწერია, ვინ „თარგმნა“ („ანონიმური თარგმანებია“). გასაგებია: იციან, რაც გააკეთეს და ერცხვინებათ გამოჩენა... ეს უკვე დანაშაული მგონია ქართული ენისა და ეროვნული ლიტერატურის მიმართ ჩადენილი...

პ. ჩ. – ჰოო, მთარგმნელმა თავი არ უნდა დამალოს! არ უნდა რცხვენოდეს თავისი თარგმანისა; შეიძლება თავმდაბლო-

ბის გამო ღაიმალოს ან მისტიფიკაციის მიზეზით, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგრი უნდა ჰქონდეს შექმნილი.

გ. გ. – მეტსაც ვიტყვი: სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი კათედრის ინიციატივით ითარგმნა აგიოგრაფიული ძეგლების ოთხივე წიგნი... თავის დროზე ეს ქართული ლიტერატურის მტრობად შევაფასე (ჟურნალებში „ბურჯი ეროვნებისა“, „სამი საუნჯე“); მე ახლაც ასე ვფიქრობ... თქვენ რას იტყვით? (მე შევადარე დედანი და ე. წ. „თარგმანი“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“; კურონამდე დასული უცოდინარობა ენისა, უპატვიცემულობა უნიკალური ძეგლისა... ერთ მაგალითს მოვიყვან: გიორგი მერჩულე წერს გრიგოლ ხანძთელზე – „სიჩრდთგან ხორცი არა შეხდა პირსა მისსაო“. ჩახელა ლექსიკონს „მთარგმნელმა“, **შეხლომა შესვლააო** (მაგ.: „რა ქაჯეთს შეხდაო“ – „ქაჯეთში რომ შევიდაო“ – გრძნეულზე) და დაწერა: **„ბავშვობიდანვე ხორცი არ შესულა მის პირშიო“**... ახალ ქართულში იტყვიან: პირში არ ჩასვლია, არ გაუსინჯავს, არ უჭამიაო... ეს არაა ერთეული შემთხვევა... (არანაირი მთარგმნელობითი გამოცდილება, ნიჭი, ქართულის დაბალი ცოდნა...)... ეს ხომ ხელყოფაა კლასიკური მწერლობისა, შეურაცხყოფა ენისაც? და „თარგმნეს“ „მთარგმნელებმა“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“... და მრავალი სხვა...

პ. ჩ. – არ მინდა კატეგორიული ვიყო, მაგრამ უნდა დაგეთანხმოთ შეფასებაში; ხოლო „ხორცი არ შესულა მის პირში“, სუპერკურიოზია, მეტი რომ არა ვთქვა!

* * *

გ. გ. – გასული საუკუნის ბოლოს „ბიბლიაც“ ითარგმნა ახალ ქართულად... მაგრამ „ბიბლიის“ შემთხვევა სხვაა: იგი ახლად ითარგმნა დედნიდან... თუმცა ამ თარგმანზეც მაინტერესებს თქვენი აზრი. ქ-ნი მზექალა შანიძე ბრძანებდა, „ფსალმუნთა“ ძველი თარგმანი გაცილებით სჯობია ახალს

ენობრივი თვალსაზრისითაც და პოეტურადაც (სხვათაშორის, სახარებაში „მამაო ჩვენო“ ძველი თარგმანისა დატოვეს, ვერ „გაბედეს“ ახალ ქართულზე გადმოტანა ამ ლოცვისა...)... არა-და ჩვენი ღროის საუკეთესო მთარგმნელები თარგმნიდნენ... ვი-ფიქრიათ ამაზე? რას იტყვი, ძველი ქართული ენის წყალობაა ეს (უფრო პოეტური ენა იყო?), თუ ძველი ქართველი მთარგმნელების ხელოვნებისა?

პ. ჩ. – „ბიბლიის“ ახალი თარგმანი დიდი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ჩემი აზრით, მას სათანადოდ არ ვიყენებთ; ვთქვათ, წირვისას, სახარების კითხვისას, იქ მყოფ ყველა ადამიანს არ ესმის ამბიონიდან წაკითხული სახარების აზრი, ამ შემთხვევაში, ახალი თარგმანი გამოგვადგებოდა, ასე ვთქვათ, მასობრივი მკითხველისა და მსმენელისთვის. ქალბატონი მზექალა შანიძის ნათქვამს კი რა დაუშვებოდა? მე ძველ ფსალმუნებსაც ვკითხულობ და ახალსაც და, უნდა ვაღიარო, ალტაცებას უფრო ძველი მანიჭებს.

გ. გ. – გასულ საუკუნეში არსებობდა მთარგმნელობითი კოლეგია. ამბობენ, კარგ საქმეს აკეთებდაო... კოორდინაცია ხდებოდა მთარგმნელობითი საქმიანობისაო... ამგვარი კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას თუ ხედავ დღეს (რა ითარგმნოს, ვინ თარგმნოს, ვინ გამოსცეს...)? თუ ეს ავტორის პიროვნულ მოხერხებულობაზე უნდა იყოს დამოკიდებული?

პ. ჩ. – მასსოვს. კარგი ადგილი იყო. მწერალთა და მთარგმნელთა მოზრდილმა ჯგუფმა მოიყარა თავი. მივდიოდი ხოლმე. ჩემი მეგობარი, ცხონებული, თენგიზ პატარაია მუშაობდა. იქ ლიტერატურაზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, თავისუფალი სიტყვა ისმოდა. კოორდინაციაზე რა გითხრათ, არ ვიცი რა ტიპის კოორდინაცია იყო, მაშინ არ დაგკვირვებოდა, მიხაროდა, რომ გიგლა სარიშვილს ვიცნობდი, გივი შახნაზარს, ბაჩანა ბრეგვაძეს, გოგი ნიშნიანიძეს... ახალგაზრდა ვი-

ყავი, თარგმნას ვცდილობდი; მაგრამ მგონი საგამომცემლო გეგმა ჰქონდათ და საქმეც ესაა. დღეს ასეთი კოორდინაცია რედაქციებისა და გამომცემლობების საქმეა. იქ უნდა მოიყარონ თავი მწერლებმა და მთარგმნელებმა. მშვენიერი ადგილი იყო „ომეგას“ და „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია მელიქიშვილზე, ჩუბინაშვილზე. მწერალთა გაერთიანებები გამომცემლობებისა და რედაქციების გარშემო იქმნება და კოორდინაციაც იქ ხდება, ოღონდ არა საზედამხედველო კოორდინაცია, რასაც საბჭოთა „მწერალთა კავშირი“ და, თუნდაც, „სარედაქციო კოლეგია“ უძღვებოდა.

* * *

გ. გ. – რისთვისაც თვალი მიმიდევნებია, მთარგმნელთა უმეტესობას განათლების საუნივერსიტეტო კურსი აქვთ გავლილი და, დამეთანხმებით ალბათ, მათი ქართულის ცოდნაში უნივერსიტეტს დიდი წვლილი აქვს შეტანილი... ამჟამად თსუში (მე მგონი სხვაგანაც ასეა) დასავლეთ ევროპის ენების, აღმოსავლეთმცოდნეობის, ახალი ბერძნულისა და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობებზე ქართული აღარ ისწავლება... როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს? როგორ აისახება ეს ფაქტი მთარგმნელობითი საქმიანობის მომავალზე? როგორ წაადგება ეს საქმე ქართულ ენას?

პ. ჩ. – ქართულის სწავლაში ქართული ენის სწავლას გულისხმობთ. ჰო, რატომღაც მიგვაჩნია, რომ ქართული ენა ვიცით. ილიას უნივერსიტეტში, ანგლისტიკაზე, თარგმანი ისწავლება, – ინგლისურიდან ქართულზე, ქართულიდან ინგლისურზე; ინგლისურს ვასწავლით, ქართულს – არა. ბოლოს გამოდის, რომ ინგლისური იციან და ქართული – არა. ქართული ენა ყველგან უნდა ისწავლებოდეს! ქართული ენა არ ვიცით!

გ. გ. – ინფორმაციისათვის: ქართულის სწავლება იმ სპეციალობებზე 2005-2006 წლებიდან შეწყდა. 10-15 წელია, ვიბრძვით აღსადგენად, ყველა გვეთანხმება, საჭიროაო და ყველაფერი ისევ ისე რჩება... „ვოი, დედაენავ!“... თუმცა რა მიკვირს, იაკობის „დედაენის“ სკოლაში დაბრუნებას დიდი ომი დასჭირდა, იცით თქვენ... იქნებ ჩვენი საუბარიც შეეწიოს ამ საქმეს...

პ. ჩ. – ინებოს ღმერთმა!

* * *

გ. გ. – რა აზრისა ხარ მანქანურ თარგმანზე; შესაძლებლად მიგაჩნია ოდესმე მხატვრული ნაწარმოების მანქანური თარგმნა?

პ. ჩ. – დღეს მხატვრული ნაწარმოებების ნაწილი მანქანურად ითარგმნება. არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც თარგმნიან, ვთქვათ, ინგლისურიდან ქართულად (google translate); ჩასვამ პროგრამაში ინგლისურ ტექსტს და გითარგმნის, ილიასი არ იყოს, „გარმიანული ქართულითა“, მერე უნდა მიაღვე და დაარედაქტორო. ამიტომაც, რომ თარგმანთა ერთ ნაწილს ვერ წაიკითხავ, ისეთი ცუდი ქართულია; ამიტომაც, რომ მთარგმნელები ძალიან სწრაფად თარგმნიან. მთარგმნელობითი პროგრამები დაიხვეწება, მანქანური თარგმანები უფრო გახშირდება, ეს ტექნოლოგიების განვითარებას, ცივილიზაციას მოაქვს, წინ ვერ აღუდგები, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მრავალი მანქანა ერთ კარგ მთარგმნელს ვერ გაუტოლდება, მანქანა შედეგს ვერ შექმნის.

* * *

გ. გ. – ვთქვათ ორიოდ სიტყვა მკითხველზეც. რა აზრის ხარ დღევანდელ მკითხველზე? ნაირა გელაშვილი წერს: „კარგი მწერალი მეტია, ვიდრე კარგი მკითხველიო...“ და ეს

თუ ასეა, როგორ განსაზღვრავს ეს ლიტერატურის ბედს? და კიდევ: რას ფიქრობენ ამ პრობლემის თაობაზე უცხოეთში??

პ. ჩ. – როგორიც ბატონი, ისეთი მსახური! როგორიც მწერალი, ისეთი მკითხველი! ჩემი მეგობარი, ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ვერჯილ ნემოიანუ, მიიჩნევს, რომ დიდი წიგნები, დიდი ლიტერატურა, უკვე კარგა ხანია აღარ იწერება და ამას მხოლოდ იგი არ ამბობს; პოსტმოდერნმა გაადემოკრატიულა ლიტერატურა და ამას დონის დაწევა მოჰყვა; შეადარეთ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი, დასავლურ მწერლობაში, დღევანდელობას და დარწმუნდებით; დღეს ხომ ბაზარი ბატონობს მწერლობაზეც და ლიტერატურათმცოდნეობაზეც, რაც მასობრივ მკითხველს უნდა, ის იწერება და მკითხველი როგორც გადაწყვეტს, ისეთია წიგნი – ასე სურს და ასე ხედავს, ასე კითხულობს...

გ. გ. – როგორც ჩანს, „კარგი მკითხველის“ თემა სერიოზული თემაა, ვრცელიც... მაგრამ ჩვენ ამჟამად ბოროტად ნუ ვისარგებლებთ ამ „კარგი მკითხველის“ გულმონწყალებით, დავასვენოთ...

პ. ჩ. – და მადლობა ვუთხრათ ყურადღებისთვის.

გ. გ. – ვფიქრობ, არ მიწყენენ, ამ შეგონებით თუ დავემშვიდობებით: ჩვენ, ყველანი „მოვალენი ვართ, ხმალი ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად!“ (კ. გამსახურდია)....

ენა მრის სულის სარკმა

საუბარი კომპ ღავით შამოქმედელთან

გიორგი გოგოლაშვილი – ღავით, მოგეხსენებათ, „ენა და მწერალი“ იქნება ჩვენი საუბრის თემა. მოდი, ასე ღავი-წყობ:

მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“... კლასიკოსი აქ ორ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: „ენის დაწმენდასა“ და „მწერლის როლზე“ ამ საქმეში... რას იტყვობ, ღღევანღელ ვითარებაზე ამ თვალსაზრისით? ჟღერს საღღეისოდ ეს მოწოდება?

ღავით შემოქმედელი – რაღვანაც ღღღმა მწერალმა ეს საკითხი ორ ნაწილად გაყო, მეც, უპირველესად, თქვენი კითხვის პირველ ნაწილზე შევაჩერებ ყურადღებას; იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტის შესახებ, რასაც ქართული „ენის დაწმენდა“ ჰქვია. როგორ გითხრათ, საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ ამ საკითხს: ვფიქრობ, ქართული ენის სიწმინდის ღაცვა თანღათან უფრო და უფრო გართულღება.

გ. გ. – მოღღით, ღავაკონკრეტობ: რა საფრთხეებს ხეღავ, რა ქმნის პრობლემებს?

ღ. **შ.** – ჩემს პესიმღზმს მრავალი მიზეზი განაპირობებს: მასშტაბურად თუ შევხეღავთ ამ პრობლემას, ერთ-ერთი მიზეზი არის გლობალიზაციის სწრაფი ტემპი. საქართველო ყოველმხრივ მზად უნდა შეხვღდეს ამ პროცესს, მღსგან მხოლოდ კარგი უნდა აიღოს და ცუდი უარყოს. მაგრამ ამ თემაზე საუ-

ბარი ჩვენს ფორმატს გასცდება. თვალშისაცემია, საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, მიგრაციათა სიხშირეც... სოციალისტურ სისტემას, მრავალი თანმდევი ჭირის გარდა, დადებითიც ჰქონდა. ჩაკეტილობას (რაც თავისთავად უარყოფითი მოვლენა იყო, იმ დროის მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის მიღწევებს გვაშორებდა), რაღაც დოზით სიკეთეც ახლდა: გარკვეულ რეზერვაციულ მდგომარეობაში აყენებდა ეროვნულ ტრადიციებს, ქართულ კულტურას. ეს კი სულიერი ფასეულობების შენახვის მყარ გარანტიებს იძლეოდა და **ქართული სახელმწიფო ენის დაცვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა**. რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, მაშინდელი სახელმწიფო ენის პოლიტიკა გაცილებით უფრო ეროვნული იყო, ვიდრე დღესაა...

გ. გ. – რა დაგიმალო და, მეც ასე ვფიქრობ... თუმცა ამის ასე ხმამაღლა თქმა შეიძლება „დაგვძრახონ“... მაგრამ სად გავექცევით ფაქტებს?.. მაპატიეთ, შეგაწყვეტინეთ...

დ. შ. – გასაგებია თქვენი ფიქრი: მართლაც, იმ ჩეკისტურ-ათეისტური პერიოდისადმი ნოსტალგია რომ არ დაგვწამონ, ვიტყვი, რომ სახელმწიფო ენის მიმართ ეს იყო საბჭოთა სისტემის მიერ ერთგვარი კულტურული დათბობის ვორონცოვული პოლიტიკა, რომელიც კარგად გამოვიყენეთ. ამიტომ 1978 წელიც უნდა გავგახსენდეს, სერიოზული საფრთხე რომ შეექმნა ქართულ სახელმწიფო ენას... თუმცა ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უზარმაზარი იმპერიის პოლიტიკურ ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ ჩვენი საზოგადოებაც უფრო აქტიური იყო, მოძალებულ ბარბარიზმებს, სალიტერატურო ნორმების უხეშ დარღვევებს ერთიანი ძალით ებრძოდნენ: სახელმწიფო, ქართველი მწერლები და ენათმეცნიერები...

გ. გ. – და, ცხადია, შედეგიც უკეთესი იყო... **დღეს** რა ნდება, დავით, **საფრთხეებმა იმატა**, თუ **მზრუნველობა მოაკლდა** დედაენას?

დ. შ. – ერთიც და მეორეც... დიახ, **იმატა საფრთხეებმა**. სამყარო, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ, ჩართულია თანამედროვე ტექნიკურ-სამეცნიერო რევოლუციის სწრაფ ტემპში; რაც კიდევ უფრო გაიზრდება. ციფრული ტექნოლოგიების საუკუნეში ვცხოვრობთ. მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერდა, „ენის დაცვის საქმეში გაზეთს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მწერლობასო“, დღეს გაზეთის როლი ამ მხრივ საგრძნობლად შესუსტებულია. დატვირთვა სხვა მიმართულებით გადანაწილდა. ორი დინოზავრი – **ინტერნეტი და ტელევიზია** – უტევს ქართულ სახელმწიფო ენას; ეს არის **მთავარი საფრთხე ენის სიწმინდის დაცვის საქმეში...**

დრო აჩქარებულია – ინტერნეტის საშუალებით ელვის სისწრაფით შემოდის ახალ-ახალი ციფრული ენა, რომელიც თანდათან იფართოებს სეგმენტს ჩვენს სამეტყველო ენაში, მათ შორის ბეჭდურშიც. ენათმეცნიერებს კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდებათ, ჩაატარონ სელექციური სამუშაოები და ამ მოძალებული ციფრული ტერმინებიდან დაადგინონ, რა მიიღონ, რას უთხრან უარი და რას მოუძებნონ ქართული შესატყვისი ტერმინი. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში საჭიროა შეიქმნეს სპეციფიკური, როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ-ლექსიკონები. მერე კი ამას ყოველივეს პოპულარიზაცია სჭირდება, რომ თითოეულ ქართველამდე მივიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ისე გაითავისებს უცხოურ ტერმინებს, რომ მერე გარედან ქირურგიული ჩარევა შედეგებს კვლარ მოგვიტანს.

გ. გ. – ვერც ვიფიქრებდი, თავისმართლება თუ მოგვიწევდა: ენათმეცნიერებს მომრავლებულ და მოძალებულ პრობ-

ლემბთან შემცირებული და შესუსტებული ძალებით უჭირთ გამკლავება; გართულდა კოორდინაციის პრობლემაც... კვლავ ვეწვეით დროს... რაც მთავარია, ვინც უნდა გვედგეს გვერდით დედაენის მოვლა-პატრონობაში, ვისაც ევალება ეს იურიდიულად თუ მორალურად, იმან დაკარგა ინტერესი (მეტიც, ზოგჯერ მისგან გვიწვევს დედაენის დაცვა!)... ნურც ამას დავმალავთ, მეცნიერების იგნორირება ხდება საერთოდ... თუმცა ისევ თემას დავუბრუნდეთ...

დ. შ. – ვისაც ევალებაო, ამბობთ... თუნდაც ელექტრონული მედია – ტელევიზია. ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს სახელმწიფო ენის სიწმინდისათვის, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, დიდი მონღომებით ყოველდღიურად ანაგვიანებს მას. მაგალითი უამრავია; ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

გ. გ. – გეთანხმებით, **დედაენასთან ყველა ვტყუით...** ვერ გავითავისეთ, ვერ ვირწმუნეთ ბრძენკაცის შეგონება – „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“...

დ. შ. – **ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ხარისხს სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს.** თითქოსდა წინ მივდივართ, უკვე გვაქვს სახელმწიფო ენის კანონი (2015 წ.) და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (2017 წლიდან), მაინც ასეა: **საქართველოში ქართული სახელმწიფო ენის უფლებები ყოველ ნაბიჯზე ილახება.** ამგვარად გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია, ამით ქართული ენის მომავალს კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნება. ეს პრობლემა საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ხელისუფლებისაგან...

გ. გ. – განვაგრძოთ ჩვენი დიალოგი. ალბათ გახსოვთ მუხრან მაჭავარიანის ამაყი შემახილი: „არა, სხვისი მისაბადი რა მჭირს, თვარა კი...“ დავით, შენ, „ქართული ენის პატრონს“, უცხოეთში ყოფნისას რა „შეგშურებია“ სხვისი?

დ. შ. – უცხოეთში, სადაც კი ვყოფილვარ, ქუჩებში გამოკრული ბანერებით, რეკლამებითა და აბრებით უმაღლ იგრძნობა, რომელ ქვეყანაში ხარ; იგრძნობა იმ ქვეყნის სული, გარემო. ყველგან ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ წარწერები მათ მშობლიურ ენაზე იყოს, უცხოურზე კი – იშვიათად, ისიც მომცრო შრიფტით. ჩვენთან კი – პირიქით... ამისი ჩარჩოში მოქცევა სახელმწიფოს პრეროგატივაა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო ენის სწორი პოლიტიკის არქონის გამო ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული...

გ. გ. – გეთანხმებით. ჩვენ ერთად გვივლია თელ-ავივისა თუ იერუსალიმის ქუჩებში; თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში... და, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში „მისაბაძად“ ყველა გამოდგება...

ახლა კი, დავით, თავში დასმულ შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ენის სიწმინდის დაცვის საქმეში **„მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“**... ვთქვათ ორიოდ სიტყვა ამაზეც... გახსოვთ, ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით შეკრება რომ ჩავატარეთ, იქაც დავიჩივლე და მერე წერილიც დავბეჭდე – **„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“**... სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის ზემომოყვანილ მოწოდებას ვგულისხმობდი...

დ. შ. – თქვენი წერილი ძალზე დროული იყო. ვფიქრობ, ქართული ენის სიწმინდესთან დაკავშირებულ ყველა საჭირობოროტო საკითხზე საუბრები კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ეს თემა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, მეტად მგრძნობიარეა. **ენა ერის სულის სარკეა; მწერალი ენაში სახლობს; ენა მწერლის სამოსახლოა!** რატომ მოხდა, რომ ქართული სახელმწიფო ენის დაცვის მნიშვნელოვან სა-

კითხს ქართველმა მწერალმა გვერდი აუარა და ღუმს? – ვფიქრობ, ამას აქვს **ობიექტური** და **სუბიექტური** მიზეზები.

დავიწყოთ **პირველი**. პრობლემა რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ცოტა შორიდან უნდა წამოვიდეთ: როგორი იყო მწერლის როლი ადრე და როგორი არის დღეს. მაშინ შემოქმედს უპირველესად „ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულად“ (ილია ჭავჭავაძე), ანუ მუზის მსახურებასთან ერთად საზოგადო მოღვაწეც უნდა ყოფილიყო... დრო შეიცვალა. გლობალიზაციისა და მასკულტურის შემოტევასთან ერთად საზოგადო მოღვაწის ცნება, ხატი, ადგილი გაქრა... არადა, არასდროს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს... ერისკაცთა ადგილი სამოქალაქო სექტორმა, ე. წ. „ენჯეომნიკებმა“, დაუღვინებელმა, ცხოვრება გამოუცდელმა გოგო-ბიჭებმა დაიკავეს (ოღონდ შეცვლილი ამოცანებით – ეროვნულის, ტრადიციულის ნაცვლად ფსევდოლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება!). დაუღვინებელმა გოგო-ბიჭებმაც, ვამბობთ, მაგრამ საპირწონედ ძნელია ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე მოღვაწეთა ძალის შექმნა (ენობრივ პოლიტიკას რომ პრიორიტეტად მიიჩნევს), რადგან პოლიტიკური ახალგაზრდა აქტივისტთა მომძლავრებას, რიგ შემთხვევებში, ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოური სპეცსამსახურები, ქართული ოპოზიციური და სახელისუფლებო სპექტრი. ორ ათეულ წელზე მეტია ისინი პოლიტიკოსებთან ერთად ქვეყანაში საკუთარი აზრის დიქტატურას ამკვიდრებენ. სწორედ მათი ძალისხმევით, ტელე და ბეჭდური მედიის მათ გვერდით დგომით მწერალი დამცრობილი და გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდან, რომ მისი ხმა ფართო აუდიტორიასთან, ასიათასებთან არ მისულიყო. ვფიქრობ, ესაა ობიექტური მიზეზი იმისა, რომ მწერალი მოეშვა, ხელი ჩაიქნია და ისეთი სა-

სიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, როგორც ქართული ენის სიწმინდის დაცვა, სახელმწიფოსა და ენათმეცნიერებს შეატოვა ხელში...

გ. გ. – შეიძლება მთლად ვერ დაგეთანხმო, დავით; ამბობ: „მაშინ შემოქმედს უპირველესად ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულადო“; ვინ განუსაზღვრა მწერალს ეს? ხომ თავად იტვირთა ამგვარი მისია შემოქმედმა?... ან კიდევ, „მწერალი გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდანო“... თუ მწერალი მონინდომებდა ამ სივრცის ბატონპატრონობას, შეძლებდა „ის ძალა“ მის გაყვანას „სააზროვნო სივრციდან“?.. როგორ ფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია დათმობდნენ ამ სივრცეს? მეეჭვება...

დ. შ. – გეთანხმებით, ჩვენი კლასიკოსები განსაკუთრებულად იაქტიურებდნენ, მაგრამ თუ ტელევიზიები მათ არ გაიკარებდნენ, მათი ხმა მილიონებამდე ვერ მიაღწევდა, ისინიც ჩაიკარებოდნენ საერთო ქაოსში. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედაც შეძლებდა „ის ძალა“ ამას. თვალშისაცემია, რომ ხელშეწყობის ნაცვლად ქართული ტელევიზიები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეროვნულად მოაზროვნე თანამედროვე დიდი მწერლის, მეცნიერისა და ხელოვანის ხმა დაუმალონ საქართველოს. გახსოვთ, რამდენი საჭირბოროტო ღონისძიება ჩავატარეთ რუსთაველის საზოგადოებაში ენის, კულტურის, განათლებისა თუ სხვადასხვა საკითხზე, მოვიწვიეთ კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ზედმეტად პოლიტანგაჟირებული ქართული სატელევიზიო სივრცე ვერ გავარღვიეთ. სასურველი შედეგის მიღწევაც, შეიძლება ვთქვათ, რომ ვერ შევძელით. ერთსაც დავამატებ: ცალკე თემაა ქართული მწერლობის ნეოლიბერალური, უფრო სწორად, ფსევდო-ლიბერალური, ფრთა, რომელსაც, მართალია, მასობრივი ინ-

ფორმაციის საშუალებებთან მეტად მიუწვდებათ ხელი, მაგრამ მათ ყოველივე ეროვნულის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ და არც ენობრივი სიწმინდის პრობლემებზე ფიქრით დაიღლიან გონებას...

გ. გ. – დავით, **სუბიექტურ** მიზეზად რას მიიჩნევთ?

დ. შ. – მოგეხსენებათ, განვითარებული სახელმწიფოების შემოქმედნი, მწერლები თავიანთი ქვეყნების მნიშვნელოვან საკითხებს გვერდს უვლიან და მხოლოდ წმინდა შემოქმედებით პროცესებით არიან დაკავებულნი; მათი მიბადვით ქართული სიტყვის მსახურებმაც ჩათვალეს, რომ თავადაც უცხოელ მწერალთა დარად უნდა მოიქცნენ... ეს აზრი საფუძველშივე მცდარია: თუ დიდი, დალაგებული და გალაღებული ქვეყნის მესიტყვეს აქვს ფუფუნების უფლება, რომ მხოლოდ წმინდა შემოქმედებით ტკობას მიეცეს, **ქართველ მწერალს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის მორალური უფლება არ აქვს**: მისი ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საფრთხე ყოფნა-არყოფნისა და ხვალ შესაძლოა, მის სამშობლოში მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეც აღარ დარჩეს, რომ მისი წიგნი წაიკითხოს... ესეც ხომ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართველი მწერლის წიგნის ტირაჟი კატასტროფულად მცირეა, 100-დან მაქსიმუმ 300-მდე (თბილისის ერთი საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებელთა რაოდენობაზე ნაკლებია)... **სიტყვის ოსტატმა**, ვფიქრობ, ბეჭდური პუბლიკაციების გარდა, **ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს**, რომ **საზოგადოებას ენობრივ პრობლემებზე ესაუბროს**, თუნდაც სოციალური ქსელის გამოყენებით დისკუსია გამართოს და სხვა. **ქართველი მწერალი მუდმივად მშობლიური ენის სიწმინდის სადარაჯოზე უნდა იდგეს**, ენისა, რომელსაც ერთმა დიდმა წინაპარმა (იაკობ გოგებაშვილი) „**ბურჯი ეროვნებისა**“, ხოლო მეორემ (კონსტანტინე გამსახურდია) „**ერის თავდაცვის იარაღი**“ უწოდა.

გ. გ. – თქვენმა ლოგიკამ მწარედ დამაფიქრა: გამოდის, რომ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები დედანის საწინააღმდეგოდ მომართულა... ეს სამწუხარო რეალობაა... და მაინც თქვენი პესიმისტური მოსაზრებების ფონზე **როგორ გესახებათ ქართული ენის მომავალი?**

დ. შ. – დიდი ომია ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში. ერთმანეთს ებრძვიან ქალაქური მეტყველება, დიალექტები, ბარბარიზმები, ჟარგონი, ვულგარიზმი, სალიტერატურო ენა, სამეცნიერო, სპეციფიკური – პროფესიების, ჟურნალისტური, პოლიტიკოსთა სამეტყველო და ციფრული ენა. ამ დაკა-დაკაში ხან ერთი რომ იმარჯვებს და ხან – მეორე, თანდათან გლობალიზაციის ტემპების არნახული ზრდისა და სამყაროს ვირტუალიზაციისაკენ მიდრეკილებისა გამო, დროსთან ყველაფერი უძღურია, გაბატონდება ციფრული ენა. ჩემი შვილის მეგობრები მეწვივნენ სტუმრად. გამოგიტყდებით და ისეთ სპეციფიკურ ელექტრონულ-ვირტუალური სივრცისათვის დამახასიათებელ ციფრულ ენას იყენებდნენ, მათი საუბრის თითქმის მესამედი არ მესმოდა.

* * *

გ. გ. – ახლა უფრო კონკრეტულ სკითხვებზე ვისაუბროთ. მხატვრული ნაწარმოების (ლექსისა თუ მოთხრობის) ენობრივ სახეზე რამდენად ახდენს გავლენას ნაწარმოების თემა; განსაკუთრებით, მოთხრობაში; თუ ყოფილა შემთხვევა, რომ პერსონაჟს „არ დაუჯერებია“ შენთვის (რაც უნდოდა, ის თქვა) და შენც მის ჭკუაზე წასულხარ?

დ. შ. – მოგეხსენებათ, პოეზიაში რაზედაც ან ვისზედაც არ უნდა წერდეს ავტორი, მან საკუთარი „მე“ უნდა აჩვენოს; აქ, ცხადია, ეს პრობლემა არ დადგება... პროზაში კი, პირიქით, საკუთარი თავი უნდა გააქროს, საკუთარ პერსონაჟებში შესახლდეს, წმინდანსა თუ მეძავ ქალში, მომაკვდავ მოხუცში,

ქურდში, ბერში... მამაკაცმა მწერალმა მშობიარობის ტკივილებიც იმავე განცდის სიმძაფრით უნდა გადმოსცეს, ქალი რომ განიცდის. ამ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, ზოგჯერ არ დაგიჯერებს პერსონაჟი და მის ჭკუაზე უნდა იარო, მისი კარნახით ისაუბრო... ჩემი მოთხრობების ერთ-ერთი მთავარი თემაა არჩევანი: ამ არჩევანს პერსონაჟები აკეთებენ, რაც განსაზღვრავს მათ მომავალ ცხოვრებას; ამიტომ მეც დავდივარ, დავყვები კიდეც მათ ნებას, მათ არჩევანს...

გ. გ. – დავით, თქვენი წიგნები (პოეზიაც, პროზაც), ხშირად ითარგმნება უცხოურ ენებზე. რას იტყვით მათ შესახებ; რასაც ქართულად ამბობ, შეძლო მთარგმნელმა უცხო ენით მკითხველამდე მიტანა?

დ. შ. – სამწუხაროდ, იმ ენებს, რომლებზედაც ჩემი ნაწარმოებები ითარგმნება, არ ვფლობ. ამიტომაც ვერაფერს გეტყვით. რაც გამონმაურებები არსებობს, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს.

ვიცი, მთარგმნელის წინაშე ურთულესი ამოცანა დგას... „პოეტი ენობრივი სამოსით იცნობაო“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია და სწორედ ამ ენობრივი სამოსის სხვა ენაზე მორგება უნდა იყოს ძალზე რთული, ალბათ, შეუძლებელიც. ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა და დამაფიქრებელი პაატა ჩხეიძის აზრი, თქვენს დიალოგში გამოთქმული: „მართებულია მოსაზრება, რომ ლექსი არ უნდა ითარგმნოს, ვერ ითარგმნება, არის მხოლოდ გამონაკლისები და ეს გამონაკლისები, კვლავ და კვლავ, გვაბედნიებს ლექსის თარგმნას; ეგებ გამონაკლისი მივიღოთ.“

ქართული მთარგმნელობითი სკოლა მაღალი დონისაა. წარმოუდგენლად რთულია, ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებისას მივიღოთ კონგენიალური თარგმანი. ქართველ მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, საბედნიეროდ,

მოგვეპოვება ასეთი გამონაკლისები: თამაზ ჩხენკელის, დავით წერედიანის, ჯემალ აჯიაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის... ბრწყინვალე თარგმანები.

გ. გ. – ბოლო ათწლეულებში საკმაოდ გახშირდა, განსაკუთრებით პოეზიაში, არქაულობის ილუზიის შექმნა არქაული ლექსიკის გამოყენებით (რამეთუ, ვითარმედ...), ხშირად არასწორადაც... საინტერესო დისკუსიაც გაიმართა სამოციან წლებში ამ თემაზე... თქვენი აზრი მაინტერესებს: როგორ უყურებთ თანამედროვე პოეზიაში ამგვარი ფორმების მომრავლებას. მითუმეტეს, როცა ზოგჯერ სიტყვათა მნიშვნელობა მთლად ზუსტად არაა გააზრებული...

დ. შ. – დროის ცვალებადობასა და ენის ცვლილებს შორის აშკარა კორელაციური ბმაა. ხელოვნებამ იმ ეპოქის სული უნდა მოიტანოს, რომელ დროზეც წერს... მომძლავრებული „რამეთუ“ და ამგვარი ფორმები თანამედროვე ლექსებში ბებრის დაკონკილი სამოსივით ჩანს. თანამედროვე პოეზიაში შეინიშნება ორი უკიდურესობა, ერთი მხრივ, ბარბარიზმები, ჟარგონი, სკაბრეზი, მეორე მხრივ, ძველი ქართულის ლექსიკიდან რამდენიმე ყავლვასული, ამოჩეხული სიტყვის გამოყენება. ერთიცა და მეორეც ლექსში ნაძალადევ, უცხო სხეულად ჩანს.

გ. გ. – „პოეტი ენობრივი სამოსით იცნობაო“, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მოიშველიეთ; შეგიძლიათ გვითხრათ, რა არის თქვენთვის ეს „ენობრივი სამოსი?“ შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ენობრივი სამოსი სწორედ პოეზიაა?

დ. შ. – ენობრივი სამოსი ის ენობრივი ქსოვილია, რომლითაც შემოქმედი თავის სათქმელს ამბობს; ან ენის წიაღიდან იღებს სიტყვას ან თავად ქმნის მას ენაში არსებული მოდელის მიხედვით ინტუიტიურად ან მრავალგზისი ძიების შედეგად. ამ შემოქმედებითი ძიების პროცესზე არაერთი ჩანაწე-

რი შემოუნახავს გალაკტიონის დღიურებს. ენობრივი სამოსით პოეტური შეიძლება პროზაც იყოს და პოეზიაც, პოეზია, რომლის ზუსტი განმარტება ხომ არ არსებობს. გეორგ თრაქლი წერდა: პოეზია არასრულყოფილი მონანიებააო, უოდსვორთი: სიმშვიდეში დაბრუნებული ემოციებიაო. პოპი, რომელმაც ერთი ლექსის 99 ვარიანტი შექმნა – პოეზია გაგიჟებული პროზააო. იქნებ სიმართლესთან ყველაზე ახლო ჩვენი ვაჟაა, მეძღერება და ვიმღერო, რომ ამბობს...

* * *

გ. გ. – „სიტყვის“ თემით მინდა განვაგრძოთ საუბარი, დავით: შენს პოეზიაში ძალიან ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“... რა არის შენთვის „სიტყვა“?

დ. შ. – თქვენი შეკითხვის შემდეგ დავაკვირდი, სწორად შევიმჩნევიათ, ჩემს პოეზიაში, მართლაც, საკმაოდ ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“. წიგნებსაც გადავაკვლე თვალი და „აღმოვაჩინე“, სიტყვაზე თუ სიტყვის არსისადმი მიძღვნილი ლექსების რაოდენობა იმდენია, ერთი პატარა წიგნაკიც შეიძლება გამოიცეს... ეს დამოკიდებულება ჩემი წიგნების სათაურებშიც ასახულა... ჩემს რიგით მეორე ერთტომეულს ჰქვია „სიტყვებს მიღმა“, ხოლო ჩემი ბოლო, მეოთხე, ერთტომეულის სახელწოდებაა „სიტყვებსა და საგნებს შორის“. **მწერლისათვის სიტყვები აგურებია, რომლითაც ის თავისი სულის შენობას, ნაწარმოებს აგებს.** მწერლის ნიჭსა და უტყუარ ალოზება დამოკიდებული, სიტყვათა ოქროს მარაგიდან მოიძიოს, იუველირის სიზუსტით აწონოს სიტყვები, გაზომოს, აარჩიოს და ისე ააგოს თავისი სულის სახლი, რომელიც ან საუკუნეებს გაუძლებს, ან მეორე დღეს ხუხულასავით დაიშლება. კონსტანტინე გამსახურდია გავისხენოთ: „დღედაღამ ებრძვის პოეტი სიტყვების მასას, როგორც მოქანდაკე მარმარის ლოდებს“. ერთადერთი და საჭირო სიტყვის შერჩევა მწერლისა-

თვის იგივეა, რაც ფერთა შერჩევა მხატვრისათვის, ტონალობა – კომპოზიტორისათვის. ფრაზაში სიტყვა ისევე ცოცხლდება, როგორც მუსიკალური ბგერა მელოდიაში. ერთგვარ მწერლურ შეგონებად მომყვება დღემდე ფლობერის სიტყვები: „**რის თქმაც უნდა გინდოდეს, მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს მის გამოსახატავად, მხოლოდ ერთი ზმნა – მის გასაცოცხლებლად და ერთი ზედსართავი მის დასახასიათებლად**“. **ფიქრით, ძიებითა და ტანჯვით მისასვლელია იმ ერთ სიტყვამდე**. ვისაც ერთადერთი და საჭირო სიტყვის ძებნაში თავზე დასთენებია, უპოვია და ქუჩაში ბედნიერს უვლია, ის გაიგებს ჩემსას. არა მარტო ვიბადები სიტყვაში, ვცხოვრობ სიტყვაში, ვკვდები სიტყვაში, ზოგჯერ ასე მგონია, რომ მეც სიტყვა ვარ. ერთ ლექსში ვამბობ კიდევ: „მეც სიტყვა ვარ დიდ დაფაზე, როგორ მშლიდნენ ხელაღებით“.

სიტყვა ჩემთვის უფალია, სამყაროა თავისი ანითა და პოეთი, ზოგჯერ ნიშანთა სისტემაა, რითაც გარემომცველ საგნებს ვიმეცნებ, ვასულიერებ. აქვე დავძენ, რომ ფრანგი ფილოსოფოსი, შემეცნებათა სისტემების სპეციალისტი, მიშელ ფუკო ნიშნებსა და სიტყვებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა. უპირველესად, სიტყვა ჩემთვის ჩემი ტკბილი დედაენაა, დედის ლოცვა და მამის ჩუმი დიღინია. სიტყვა ისაა, რითაც პლანეტის შემზარავ, ნერვიულ ხმას ვუსმენ და რომლითაც მინდა, ჩემი სუსტი ხმა სამყაროს მივაწვდინო.

გ. გ. – „მხატვრული სიტყვა უცნაური რამაა, მხატვრული სიტყვა გზას გაიკაფავს; იკაფავს... **მხატვრული და არამხატვრული არ გამოიკვრის ერთ ბოხჩაშია, არა, არ გამოიკვრის**“ (ოთარ ჩხეიძე)... ანუ, სიტყვა არსებობს მხატვრული – პოეტური და არამხატვრული – ჩვეულებრივი სიტყვა. როგორ ხედავს (თუკი ხედავს) ამ განსხვავებას პოეტი? სხვაგვარად რომ ვთქვათ: შეიძლება იყოს სიტყვა არაპოეტური, ისე-

თი, ლექსში რომ ვერ ჩასვამ? ანუ: პოეტურ ტექსტში სიტყვა სხვაგვარად უღერს, ვიდრე არაპოეტურ ტექსტში?

დ. შ. – პოეტური სიტყვა და ჩვეულებრივი სიტყვა – მათ შორის ასე მკაცრ სადემარკაციო ხაზს ვერ გავავლებდი; შეიძლება ჩვეულებრივი ყოფითი სიტყვა ლექსში ისე გემოვნებით იყოს გამოყენებული, რომ ტექსტს მხატვრულ ძალმოსილებას მატებდეს; ზოგჯერ პირიქით, „პოეტური შეფერილობის“ სიტყვები ტექსტს აზიანებს. პოეტი მიხეილ ქვლივიძე იგონებს: როცა **სიმონ ჩიქოვანმა** დედაზე დაწერილი ჩემი ლექსი წაიკითხა, მირჩია, **დედას ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები არ სჭირდებაო**. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პოეტური სიტყვების (მაგ.: „მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი“...) გარეშე პოეზიის ენა არ იკვრება. პოეზია ხომ ოდითგან „სამეფო ხილად“ იყო მიჩნეული. დრო იცვლება და პოეზიას თანდათან საკრალური, ამაღლებულის სამოსი ეცლება, ჩვეულებრივი სიტყვები დომინირებენ. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, შემდეგშია: ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა ყოველთვის იდეალს, ჰარმონიას ემსახურებოდა. ჯერ ღმერთი იყო ცენტრში და ის იყო იდეალი, მერე ადამიანი გააღმერთა და აიყვანა ცაში, შემდეგ ღმერთი გააადამიანა, მიწაზე ჩამოიყვანა, ასე თანდათანობით მოვედით პოსტ, უფრო სწორედ, უკვე პოსტპოსტმოდერნულ ეპოქამდე, ანუ უიდეალო სამყაროში, სადაც ლიტერატურამ იდეალი, ხოლო ფორმის თვალსაზრისით ჰარმონია დაკარგა. იწერება ნაწარმოებები (მაგ.: ოფელია მეძავთა სახლში მუშაობს, ჰამლეტი მთელი სპექტაკლის განმავლობაში მაცივარშია ჩაკეტილი და იქიდან წარმოთქვამს მონოლოგებს და სხვა), სადაც ძირითადი აქცენტი ნიჰილიზმსა და ირონიაზე არის გადატანილი, რაც სიტყვათა განსხვავებულ ქსოვილს მოითხოვს, ყოველგვარი ზღვარი პოეტურ სიტყვასა და ჩვეულებრივ სიტყვას შორის წაშლილია. ძირითადად, ეს

უცხოურ პოეზიაზე ითქმის, თუმცა ჩვენშიც ეს ტენდენცია უკვე საკმაოდ იკრებს ძალას. ჩემთვის არსებობს სიტყვები, რომელთაც ლექსში ვერასოდეს გამოვიყენებ. თუ აუცილებლობა მოითხოვს, კარგად შერჩეულ ევფემიზმს მეტი მხატვრული ძალა აქვს, ვიდრე უხემ, სათაკილო სასაუბრო სიტყვას.

გ. გ. – დავაზუსტოთ, სიტყვა პოეტურ ტექსტში უფრო სხვაგვარად უღერს, ხომ? მუხრან მაჭავარიანს შემოგაშველებ: „ლექსში მოქცეული სიტყვა უფრო მძაფრია, ვიდრე იგივე სიტყვა ცხოვრებაში!..“

დ. შ. – ავაშენა ღმერთმა!.. ჰო, ამაზე ვსაუბრობდი: კონოტაციური ველი ფართოვდება. თვალსაჩინოებისათვის ერთ მცირე ამონარიდს მოვიყვან ლაღო ასათიანის ცნობილი ლექსიდან „მანანა ორბელიანის სურათზე“. „შენ, შაოსანო შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს, ჯერ კარგად არც კი **გამთბარა** ჩემი პატარა ცირა“. სიტყვა „გამთბარაში“ იგულისხმება: 1. ჯერ ბოლომდე არ შემიგრძნია შვილის სიყვარული. 2. ჯერ კიდევ არ გამიცნობირებია ბოლომდე, რომ მამა ვარ, არ შემიცვნია შვილი. 3. ჩემი შვილი ჯერ პატარაა, არ გაზრდილა. არცერთ პასუხში სიტყვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა „სითბო“ არ იგულისხმება. რადგან შეკითხვა ჩემდამი არის დასმული, ამანაც მაფიქრებინა, თუ უხერხული არ იქნება, საამრიგო მაგალითს ჩემი შემოქმედებიდანაც მოვიყვან. მწერალი და კრიტიკოსი მურმან ჯგუბურია წერილში, რომელიც ჩემი ლექსების წიგნშია დაბეჭდილი („ხსოვნის ანაბეჭდები“, 492-493 გვ., ერთტომეული, 2013 წ.) – „პოეტი, ანუ ურჩი გადამხდელი“ – ჩემს ერთ ლექსზე დაკვირვებისას გვიზიარებს: „რატომ იცინის ნუში სულელი, რამ წამოჩიტა ასე აღრიან“. „სულელიო, ამბობს პოეტი და იკითხება – ძვირფასი, საყვარელი... ერთს ამბობს, მეორე იგულისხმება, რაც ნამდვილ

პოეზიასთან გვაახლოებს“. ასე რომ, პოეტურ ტექსტში სიტყვა ზოგჯერ სხვაგვარად უღერს, ვიდრე – არაპოეტურში...

გ. გ. – იყო დრო, როცა მწერალი სიტყვებს ეძებდა, იმდღერებდა ლექსიკურ მარაგს... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში ეს ინტერესი გაქრა; ლექსიკური მარაგის სიღარიბე შეიძინევა. მეჩვენება თუ ასეა? თუ მეთანხმებით, რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?

დ. შ. – არასდროს არ ყოფილა სამყარო ისე პრაგმატული, როგორიც დღეს არის. ადამიანმა თითქოს მიანება თავი ოცნებას, რომანტიკისთვის ადგილი აღარ დაიტოვა. ადამიანი არა საგნებზე, არამედ თავად საგნები, ნივთები ბატონობენ ადამიანზე. მხოლოდ საჭირო ნივთებით არის შემოსაზღვრული მისი ინტერესის სფერო. საკომუნიკაციოდ მას მხოლოდ განსაზღვრული სიტყვები სჭირდება. პოეზია დროის ანასხლეტია, ამიტომაც იჩინა თავი პოეზიაში ლექსიკური მარაგის სინაკულუმად.

* * *

გ. გ. – რეზო ინანიშვილი წერს: „ვიღაც თუ რაღაც მკარანახობს წერის დროს. როცა არ მკარანახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დაწერას, უცებ მეკარანახა მოთხრობა „სულ ოღნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავიწრე იგი საათნახევარში.“ – რა კომენტარს გააკეთებდით ამ ჩანაწერზე?

დ. შ. – ძალიან ნაცნობი განცდაა. პოეზიის წყარო შთაგონებაა. ბატონი რეზო პოეტი იყო, პოეტური პროზის წარმომადგენელი. შთაგონებასთან მიმართებით პროზაიკოსებთან ხშირად სხვაგვარადაა საქმე. გურამ გეგეშიძისაგან მომისმენია, ყოველ დღლით განსაზღვრულ დროს ვიწყებ წერას და ისიც ვიცი, დაახლოებით, რამდენ საათს დავყოფ საწერ მაგიდასთან-

ნო. მსგავსი რამ წამიკითხავს თომას მანსა და ჰერმან ჰესეზე. დაუბრუნდეთ პოეზიას. **ლექსი უმეტესად იწერება სპონტანურად**, ზოგჯერ სრულიად უხერხულ მდგომარეობაში – ქუჩაში, ტრანსპორტში... უცბად შემოფრინდებიან სტრიქონები, სასწრაფოდ ვიღებ ბლოკნოტს. ზოგჯერ ჩაწერასაც ვერ ვასწრებ. ვფიქრობ, იყოს მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, ასე ნაუცბათევი ეს უმნიშვნელო ჩანაწერი, იქნებ გამოდგეს. გადის დრო, ჩავხედავ ჩანაწერს და მიკვირს, როგორ შევქმენი, რა ძალამ დამაწერინა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: გადავწყვეტ, მოდი, დავწერო ლექსი; დავვადები საწერ მაგიდასთან, შევარჩევ რაღაც თემას, ვეძებ პოეტურ სახეებს, რითმებს და ხანგრძლივი ფიქრისა და წვალების შემდეგ დავწერ ლექსს. ვფიქრობ, რა კარგი გამოვიდა, გახარებული ვარ. გამოხდება ხანი, დავხედავ ჩემს ნაწერს და – სრული იმედეგაცრუება, შევრჩებით პირისპირ მე და სისულელე. მაშინ მშველის სწორედ ჩეხოვის სასარგებლო შეგონება: **„მწერლობა წაშლის ხელოვნებაა“**. აქ ერთი ისტორია უნდა გავიხსენო. როცა გალაკტიონის ლექსებით აღფრთოვანებულმა მირზა გელოვანმა პოეტს უთხრა, ამ ხელებმა დაწერეს „მე და ლამე“ და „ლურჯა ცხენებიო“ და ხელები დაუკოცნა, გალაკტიონმა უპასუხა: **„ანგელოსები მკარანახობენ, ძამიკო, ანგელოსებიო“**. ანგელოსებთან მიახლოება კი არ არის ადვილი. ხელოვნების, მუზის, პოეზიის ღმერთები მკაცრნი არიან, შეიძლება ღალატისთვის საყვარელმა ქალმა, მეგობარმა დაგინდოს, მაგრამ თუ აზროვნებას პრაქტიკული, ყოფითი საფიქრალით აიმღვრევ, პოეზიას ზურგს შეაქცევ და გონებას სხვა საქმიანობისაკენ მიმართავ, ამ დროს მუზა ღალატს არ პატიობს. თუმცა არსებობენ გამონაკლისნიც, ნაწილი პოეტებისა, წინასწარ რომ იციან თემაც და ფორმაც. ერთი ასეთი დიდი სახელია ედგარ ალან პო; თავად-

ვე ხსნის ერთგან, როგორ დაწერა „ყორანი“ წინასწარ შე-
დგენილი სქემის მიხედვით.

გ. გ. – ერთ სტროფს მოვიყვან შენი ლექსიდან:

„ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა;

ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,

მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან,

მერე ყალბ სიტყვებს ლანცეტით ვაცლი“...

„**სიტყვების ტყეში**“ კიდეც როგორი სიტყვებია? გყავს
საყვარელი სიტყვები? **შეგძულებია** რომელიმე სიტყვა? რა-
ტომ? და პირიქით, **შეგყვარებია?** რატომ?

დ. შ. – ცნობილი ლექსის პერიფრაზი რომ გავაკეთო,
„სიტყვების ტყეში ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა!“ ვფიქ-
რობ, თავისთავად, არცერთი სიტყვა არ არის ყალბი. სიტყვა
ყალბი რომ არ გახდეს, „სიტყვების ტყეში“, ანუ ტექსტში,
ის ერთადერთ და მისთვის განკუთვნილ ადგილას უნდა იქ-
ნეს გამოყენებული. თუ ეს წესი ირღვევა, მიხდება მისი ფრა-
ზიდან თუ სტრიქონიდან გამოყვანა. **სიტყვებს აქვთ საკუთარი
ფერი, გემო, სუნი და სხვა.** სიტყვების აღქმა ამ მახასიათებ-
ლების მიხედვით ძალზე სუბიექტურია, თუმცა რამდენად ზუს-
ტია ეს აღქმა, ეს დამოკიდებულია მწერლის მხატვრულ გე-
მოვნებაზე, სიტყვის ალღოს გრძნობაზე. სიტყვა შეიძლება მო-
მწონდეს ბგერწერული თვალსაზრისით (როგორ ჟღერს) ან
შინაარსის გამო. სიტყვებისადმი ჩემი სიყვარული დროთა გან-
მავლობაში იცვლება. მახსოვს, ერთხელ ჩემმა რედაქტორმა,
მარინა ნონიკაშვილმა, მიმანიშნა, რომ ჩემს ლექსებში ზედმე-
ტი ღოზით მქონდა გამოყენებული სიტყვა „სტატისტი“. გადა-
ვხედე ჩემს ნაწერებს და დავრწმუნდი, რომ ასე იყო. რამდენი-
მე ხანში უკვე, მოძულებას ვერ ვიტყვი, მაგრამ მომიყრჭდა
ეს სიტყვა და მას შემდეგ ლექსისთვის აღარც გამოიკარებია.

გ. გ. – დავით, თქვენს ლექსებში ასეთი სიტყვები შე-
მხვდა: **გათიემურაზხევისთავებული, უცრემლშხამო, მომგლინა-
ბიჯობს, შეცრემლისსველდა, შეიმგლისფერებს ...** ეს თქვენი
სიტყვათშემოქმედებაა; ეს სიტყვები წინასწარგამიზნულად იქ-
მნება, თუ სპონტანურად? ... თქვენი აზრით, ისინი გაუძლებს
დროს? დამკვიდრება ენაში?

დ. შ. – მახსენდება საყურადღებო გამონათქვამი: „პოეტი
გამომგონებელი კი არ არის, პირველად მომჩინია ენაში არსე-
ბული შესაძლებლობისაო“ (აკადემიკოსი ბესარიონ ჯორბენა-
ძე). მესიტყვემ პოეტური ალღოს საშუალებით უნდა მიაგნოს
და წარმოაჩინოს ენაში პოტენციურად არსებული სიახლისშემ-
ცველი სიტყვათერთეულები თუ ბგერათნაერთები,

ახალი სიტყვათქმნადობები ჩემთან არ იქმნება წინასწარ
განზრახულად. ის იბადება თხზვის პროცესში, სტიქიურად,
მისი რეალიზება ხდება სპონტანურად, არაცნობიერად.

გემოვნებით შერჩეული ახალი სიტყვა უმეტესად მხატ-
ვრულ ტექსტში ერთჯერადი მხატვრული ფუნქციის მატარე-
ბელია. ის შეიძლება ეფექტურადაც იყოს თავის ადგილას,
მაგრამ არ დამკვიდრდეს ენაში, თუმცა ამით მის მხატვრულ
ეფექტს კონკრეტულ ნაწარმოებში არაფერი აკლდება. ახლად
შერჩეული სიტყვათ ერთეულებისგან მხოლოდ ძალზე მცირედ-
ნი იმკვიდრებენ მშობლიური ენის სიტყვიერ ქსოვილში ად-
გილს. ცხადია, ეს შეეხება ჩემ მიერ გამოყენებულ სიტყვებ-
საც.... ვერაფერს გეტყვით, მათი ბედი სამ მსაჯულს მივან-
დოთ, პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკას, გემოვნებიან
მკითხველსა და დროს...

გ. გ. – ერთი მინიმა გაქვს ასეთი:

„პირველად იყო სიტყვა,
მეორედ?!“

საინტერესო კითხვას სვამ... თავად შენ გაქვს პასუხი? გიფიქრია ამ კითხვის პასუხზე? შეგიძლია გაგვიმხილო?

დ. შ. – როგორ არ მიფიქრია, მაგრამ პასუხი დღემდე არ მაქვს... უბრალოდ, ამ მინიმით ჩემი ფიქრი მკითხველსაც გავანდე...

* * *

გ. გ. – ორ მწერალს დავიმოწმებ. გიორგი შატბერაშვილი წერს: „**უსათაურო ლექსები მოუნათლავ ლექსებს გვანან.** ისინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევენ ჩემში, თითქოს დაუძთავრებელნი და უდღეურნი არიან, რაღაც დიდი აკლიათ. ამას ლექსებიც გრძნობენ თითქოს“. ლაშა განხარია: „**უსათაურო ლექსებს ვერ ვიტან, ქუდი დავხუროთ, იყონ კაცები!**“ – მიმიხვდით ალბათ: თქვენი ლექსების უმეტესი ნაწილი უსათაუროა... ცხადია, არ დაეთანხმები ამ მწერალთა აზრს. საინტერესოა თქვენი კომენტარი ამ თემაზე.

დ. შ. – ჩემი სამწერლო პრაქტიკიდან გამომდინარე მოგახსენებთ, არასდროს არ ვფიქრობ იმაზე, დავასათაურო თუ არა ლექსი; როცა დასრულებულად ჩავთვლი და გადავიკითხავ, **ლექსი თავადვე „მკარნახობს“, სათაურით უნდა იყოს თუ უსათაუროდ...**

ორი სახის პოეზია არსებობს: **გრძნობად-კონკრეტული** და **არსობრივი**. ორივე სახის პოეზიაში არიან დიდი პოეტები, შექმნილია შედეგები. გრძნობად-კონკრეტულში ძირითადი განწყობაა, საგნისადმი პიროვნული, ემოციური დამოკიდებულება, წინ საგნის გარეგნული მხარე მოიწვევს. ხშირია მიძღვნილი ხასიათის ლექსი, ლირიკული გმირის პორტრეტს რომ გვიჩვენებს. ამ სახის ნაწარმოები ითხოვს დასათაურებას, რომ იდენტობა არ დაკარგოს, სხვაში არ აირიოს, ხელშესახები გახდეს. რაც შეეხება არსობრივ პოეზიას, ის საგნის არსში წვდომას გულისხმობს, ჭეშმარიტებასთან მიახლოებას, რაც

არა მარტო პოეზიის, არამედ ფილოსოფიისთვისაც დღემდე გადაუჭრელი საკითხია. ამგვარ ლექსში, რომელსაც შეიძლება მრავალგვარი წაკითხვა ჰქონდეს, ინტერპრეტაციის ბევრ საშუალებას იძლეოდეს, კონკრეტული სათაურის შეჩერება მკითხველისათვის, ჩემი აზრით, საჭირო არ არის, ლექსს ვნებს, პროკრუსტეს საწოლზე აწვენს, მკითხველს ნაწარმოების განსხვავებულად აღქმის უფლებას თითქოსდა ართმევს. ამ თემასთან დაკავშირებით, საილუსტრაციოდ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ორი დიდი პოეტი – შოთა ნიშნიანიძე და ოთარ ჭილაძე – გავიხსენოთ. პირველი მათგანის ლექსებში უმეტესად გრაფიკული და ფერწერული სახეებით სავსე სურათები იხატება. ბევრი მიძღვნაა, ისტორიულ პიროვნებებს, ისტორიზმს რომ აცოცხლებს... ლექსების ასეთი სახე სათაურს იხდენს და ასეცაა უმრავლეს შემთხვევაში შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში (აქვე ვიტყვი, რომ ლაშა გახარიაც ძირითადად მხატვარია, ამდენად ლექსისათვის „ქულის დახურვა“ მის შემოქმედებით მრწამსთან სრულ უნისონში არის); ხოლო ოთარ ჭილაძე შედარებით უფრო არსობრივი სახის პოეტია, მის ლექსებში მხატვრის თვალს ფერწერულ-გრაფიკულ სახეებს სააზროვნო ნიშნით აგებული ასოციაციური მეტაფორები სჭარბობს, მოვლენის, საგნის არსში წვდომის მცდელობა იკვეთება, ამიტომაც მის შემოქმედებაში ნაკლებად გვხვდება სათაურიანი ლექსები.

უცხოური ლიტერატურიდანაც მოვიყვან მაგალითებს: ნობელის პრემიის ლაურეატი შვედი პოეტის ტუმას ტრანსტრიომერის ფილოსოფიური ლექსები და გოეთეს პრემიის ლაურეატის, საფრანგეთში მცხოვრები არაბი (სირიელი) პოეტი სახმად აღონისის პოეზია, რომელშიც სუფიზმისა და სიურეალიზმის საოცარი სინთეზია. ორივე მწერლის შემოქმედებაში უსათაურო ლექსების სიმრავლეა; ორივე არსობრივი პოე-

ზიის წარმომადგენელია, ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატი, პოლონელი პოეტი ქალის ვისლავა შიმბორსკას ლექსები, ზოგჯერ მისტიკურ, მაგრამ უმეტესად პროზაიზმებით სავსე სიუჟეტურ ხაზს ატარებს მკვეთრად აქცენტირებული სათქმელით. სენტ-ლუსიელი ნობელის პრემიის ლაურეატ პოეტ დერეკ უოლკოტთან კი უმეტესად მაღალი პოეზიის რანგში აყვანილი ყოფითი დეტალებისა და მითოლოგიური, რემითოლოგიური თემების ნაზავია. ორივე მათგანის შემოქმედებითი ნაკადის მეტი წილი სიუჟეტურ თხრობაზე აგებული გრძნობადკონკრეტულია. უმრავლესობა ამ პოეტების ლექსებისა დასათაურებულია.

გამონაკლისზეც ვთქვათ, არსობრივი პოეზიის წარმომადგენელთ (მაგ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფრიდრიხ ჰოლდერლინი და სხვა), რომელთაც მყარად ჩამოყალიბებული ფილოსოფიური კრედიო ან რელიგიური მრწამსი აქვთ მკვეთრად აქცენტირებული სათქმელით; ამგვარ ლექსებს, უძჯობენია, სათაური ჰქონდეთ და ასეც არის...

დავამატებდი, პოეზია ზუსტი მეცნიერება არაა, ერთეულ, ცალკეულ შემთხვევებში, ლექსის დასათაურებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ჩემს მოსაზრებებზე უარის თქმა სასურველიც იყოს, რაც პოეტის ალღოზეა დამოკიდებული.

გ. გ. – ანა კალანდაძის აზრს შემოგაშველებ: „**სათაური** წერისას იბადება ხოლმე (ისევე, როგორც „უსათაურობა“) ... **სათაურიც** და **უსათაურობაც** იმისგან გვეძლევა, „**რაიც შთაგონებით გვწყალობს**“ ...

დ. შ. – დიახ, სათაური იქნება ეს თუ უსათაურობა (უბრალო სამი წერტილი), ლექსის შემადგენელი ნაწილია. პოეტები მას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ხშირად მინახავს უგემოვნებოდ, არასწორად შერჩეული სათაური, რაც ლექსს ხეიბარს ხდის, აგონჯებს. ყოფილა შემთხვევა, მოგვი-

ნებით მივმხვდარვარ, რომ შევმცდარვარ, ასე მოხდა ჩემი ერთტომეულის „სიტყვებს მიღმა“ (2006 წ.) გამოცემის დროს: აღმოჩნდა, რომ მანამდე დაბეჭდილი რამდენიმე ნაწარმოები ვერ იფერებდა სათაურს; მოვაშორე და ლექსები არტახებისგან გათავისუფლდნენ, ხოლო ერთი ლექსი, პირიქით, დავასათაურე, „ქუდი დავხურე“ და ასე გავეუშვი მკითხველთან შესახვედრად. ისე პოეტს გამოქვეყნებული ლექსის ასეთი სახის კორექტირება სჯობს, რომ არ დასჭირდეს...

* * *

გ. გ. – დავით, მე მქონია შემთხვევა, რაღაც დასკვნა გამიკეთებია, ენათმეცნიერებაში რაღაცისათვის მიმიგნია, „აღმომიჩენია“; მერე ვიგებ, რომ ეს უკვე მიგნებულია, აღმოჩენილია... თუ გქონია შემთხვევა, რაღაც სახე, მეტაფორა, ფრაზა შეგიქმნია; შინაგანად კმაყოფილს, ბედნიერს მერე გავიგია, რომ „ამერიკა უკვე აღმოჩენილია“. რა განცდაა?

დ. შ. – მქონია, გიორგი, რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ყველა მწერალს ექნება მსგავსი შემთხვევა. აქ ორი მომენტი შეიძლება გამოიყოს: 1. **ადამიანი ცნობიერისა და ქვეცნობიერის ჯამია.** შეიძლება წავიკითხე რაღაც მეტაფორა, სახე, მომეწონა, მეხსიერებამ მთლიანად წაშალა, მაგრამ მერე ქვეცნობიერში ჩაიკარგა და რამდენიმე წლის შემდეგ გაცოცხლდა. ამ დროს ფიქრობ, რომ საკუთარი მიგნებაა. ამის შემდგომ გაცნობიერებას იმისა, რომ შენი არ არის, იმედგაცრუება მოჰყვება... 2. ერთნაირმა განცდამ, ტკივილმა შესაძლოა, ორი ადამიანი მიიყვანოს ერთნაირ სათქმელამდე, ამისი მაგალითები მეცნიერებასა და ლიტერატურაშიც ცნობილია...

* * *

გ. გ. – დავით, მე როგორც ენათმეცნიერი, ქართულ დიალექტებსაც ვიკვლევ... დიდი ხანია ეს კითხვა მაფიქრებს:

ფშავ-ხევსურეთიდან გამოსულ მწერალთა პოეზიაში ფშავ-ხევსურული დიალექტი უთუოდ იჩენს თავს; თქვენს, გურიაში დაბადებული და გაზრდილი პოეტის, ლექსებში გურული მეტყველების კვალი არ ჩანს... მაგრამ, როცა თემამ მოიტანა, შენც კი მთის კილოზე მოუქციე („ერთი ბელადი გირჩევნით, ათ ვაჟ რო ცხენზე მხედრდება“). არადა, მე ვიცი თქვენი დამოკიდებულება გურიისადმი, გურულისადმი... გიფიქრიათ ამაზე?

დ. შ. – ვერ გეტყვით, რომ აქამდე მეფიქროს ამის შესახებ... არა მარტო ჩემთან, არამედ, ზოგადად, გურიის კუთხიდან გამოსულ პოეტთა შემოქმედებაშიც არ ჩანს გურული დიალექტი. ეს მოვლენა შესწავლას, ახსნას საჭიროებს. **პოეტური ენის** ქსოვილი, სინტაქსი, სტრუქტურა **საყოფაცხოვრებო ენისაგან** რამდენამდე **ამაღლებულია; უკეთესადაც ჟღერს, უფრო ბგერწერულია.** ამ მხრივ, გურული დიალექტი კრიტიცისტულია, უფრო ადაბლებს საგანს, აცლის ამაღლებულობას. როგორც ჩანს, **პოეზიისათვის საჭირო** რესურსი მას ნაკლებად აქვს. **გურული** დიალექტური სიტყვა, სასაუბრო ენა **მეტაფორულია**, მაგრამ ეს მეტაფორულობა გაშინაურებულია, გაუბრალოებულია ყოველდღიური გამოყენებისაგან, **ამიტომ პოეტური სიანხლის ზიბლს ვერ ქმნის.** რაც შეეხება **ფშავ-ხევსურულ დიალექტს**, მთის პოეზიას, დედოქართული ლიტერატურული მდინარების გვერდით **მას თავისი ამაღლებული და ლეგენდური სამყარო გააჩნია**, რაც იმ კუთხის შემოქმედთაც იზიდავთ, რომლებიც ფშავ-ხევსურეთიდან არ არიან...

რაც ამ მიმართებით ვთქვი, რა თქმა უნდა, სუბიექტურია, ამ თემაზე საინტერესო იქნება დიალექტოლოგების მოსაზრებაც.

გ. გ. – გეთანხმები; თავისთავად საყურადღებო თემაა... თუნდაც ამ კუთხით: ფაქტია, ლექსი და სიმღერა განუყრელა-

დაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც **მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და – პირიქით.** მაგ., ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტის ახსნა არის შესაძლებელი?

დ. შ. – რთული კითხვაა. ჩემს სფეროს სცილდება, მე არც მუსიკოლოგი ვარ, არც ეთნოფსიქოლოგი. ვიმსჯელოთ მაინც (იქნებ სხვას მაინც მივცეთ საბაბი დასკვნის გაკეთებისა)... რადგან ლექსი და მუსიკა ურთიერთგადაჯაჭვულია, ვფიქრობ, ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. ჩემს მოსაზრებას ფრთხილად გამოვთქვამ: პოეზიაში დიდი ღონით არის მუსიკა და სიმღერაში – პოეზია. იქ, სადაც ძლიერია მუსიკა, პოეზია დამხმარე ნაწილის როლს ირგებს; რადგანაც გურული სიმღერების ტექსტები, უმეტესწილად, მარტივია, ზოგჯერ ერთსიტყვიანიც, ამიტომ მის გენიალურ სიმღერებზე მოდის დატვირთვა... ხოლო მთის (ფშავ-ხევსურეთის) პოეზიაში – პირიქით...

გ. გ. – გასაგებია თქვენი აზრი... დასკვნა?

დ. შ. – როგორც ჩანს, **ეს საკითხი ცაში წყდება, ღმერთის ხელი ურევია ამაში** უთუოდ... ღიას, ამ თქვენს ურთულეს კითხვაზე მაინც ეს პასუხი მგონია სწორი: უფალი ანაწილებს ასე, უზენაესის ნებას ვხედავ... გახსოვთ ბრძენკაცის ნათქვამი, „**ენა საღვთო რამ არისო**“; დავამატებდი – **სიმღერაც...**

გ. გ. – დავით, ამბობ, „მე არც მუსიკოლოგი ვარ, არც ეთნოფსიქოლოგიო“; ვიცი, რომ არც ფილოლოგი ხარ და ეს

კითხვაც ამან გააჩინა: ჩვეულებრივ ასეა: შემოქმედებითი ინტერესების მქონე ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში უფრო ჰუმანიტარულ სპეციალობას ირჩევს... შენ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრე, საამშენებლო ფაკულტეტი... ახლაროგორ თვლი, სწორი იყო ეს არჩევანი?

დ. შ. – ბუნებით ამბივალენტური ვარ. ბავშვობიდანვე მათემატიკა, ფიზიკა და პოეზია თანაბარი ძალით მიყვარდა. სკოლა რომ დავამთავრე, ძალიან მიჭირდა მათ შორის არჩევნის გაკეთება. მაშინ კორუფცია ყვაოდა მისაღებ გამოცდებზე და ერთმა ჭკვიანმა კაცმა გვირჩია, საბუნებისმეტყველო სპეციალობაზე შემეტანა განცხადება, რადგან გამოცდების დროს მანქანასთან გექნებაო საქმე, თორემ წერით და ზეპირ გამოცდებში ქულებს დაგაკლებენ და უმაღლესი განათლების გარეშე დარჩებიო... ასე აღმოვჩნდი ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაახლოებით, ათი წელი ვიმუშავე საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში. გახსოვთ, ალბათ, ძალიან დიდი დისკუსიები იმართებოდა თემაზე: „ფიზიკოსები და ლირიკოსები“. მთავარში, უმაღლეს საფეხურზე ისინი ჰკვანან ერთმანეთს. ყველა დიდი მათემატიკოსი და ფიზიკოსი მარტო ლოგიკურ, რაციონალურ აზროვნებასა და ალგორითმზე დაყრდნობით კი არა, რაც საკმარისი არ არის, არამედ ფანტაზიის უნარით, ინტუიტიური აზროვნებით აღწევს სასურველ შედეგს. ლიტერატურის ისტორიამ გენიოსების მაგალითზე იცის უამრავი მაგალითი, როგორ ითავსებს ერთი და იგივე შემოქმედი, ორ სრულიად განსხვავებულ სფეროს. ომარ ხაიამი თავისი დროის აღიარებული მათემატიკოსი იყო, აინშტაინი მშვენივრად უკრავდა ვიოლინოზე, ხოლო პოლ ვალერმა კარგად იცოდა აინშტაინის ფარდობითობის თეორემა.

ახლა ჩემთვის რთულია იმის თქმა, აკადემიური განათლება რომ მიმელო ფილოლოგიაში, რას მივალწევდი მწერლო-

ბაში. მაგრამ ის, რომ მე ფუნდამენტური ცოდნა არ მქონდა მიღებული ჰუმანიტარულ სფეროში, ათმაგად მიზრდიდა ინტერესს, რომ ეს დანაკლისი შემევესო.

ახლა ამ გადასახელიდან ნამდვილად არ მწყდება გული, რომ ჩემი მეორე სიყვარული მთლიანად არ გავწირე და ჩემი ცხოვრების გარკვეული პერიოდი მიუძღვნენი.

* * *

გ. გ. – გაგვიგრძელდა სიტყვა, დავით... ცხადია, ერთი ასეთი საუბარი ვერ ამოწურავს სათქმელს, რადგან (აქაც კლასიკოსს მოვიშველიებ) **„ენა ურთულესი ფენომენია... რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერადი სიცოცხლე მოკლეა“** (კ. გამსახურდია)... მაგრამ, სანამ წერტილს დავსვამთ, ამ კითხვით შევაჯამოთ ჩვენი დიალოგი: პოეტი ამბობს დედანის შესახებ: **„ქართული ქართველთ რწმენაა, ღმერთია, ბედისწერაა“**... ეთანხმებით?

დ. შ. – ზუსტი ფორმულირებაა! მართალს ბრძანებს ბატონი მუხრანი: **ღმერთია, ბედისწერაა!**..

მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა

საუბარი პროზაიკოს თამაზ ხმალაქმსთან

გიორგი გოგოლაშვილი – 1992 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 40) გამოქვეყნდა აკადემიკოს ბესარიონ ჯორბენაძის წერილი „სიტყვის მადლი“ (ვრცელი ვარიანტი 2003 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“, № 3-4). ორიოდე ამონარიდს მოვიყვან წერილიდან:

„მწერლის გამარჯვებაც და მარცხიც იმით განიზომება, თუ როგორ ფლობს იგი სიტყვას, როგორ ამოიცნობს და წარმოაჩენს სიტყვაში დანაშრევ სხვათაგან მიუგნებელ საზრისს. ერთიცაა: ცხოვრების უღმობელი სტანდარტიზაციის ტენდენციამ ცოცხალი სიტყვა სამეტყველო ტრაფარეტების ჩარჩოებში მოაქცია. არაფერია ალბათ ამაზე უფრო მეტად სულიერი უმწეობის მაუწყებელი: ჩვენეული, განუმეორებელი გრძნობის და აზრის გამოთქმა გვსურს და ჟანგმოდებული სიტყვებით რახარუხსადა ვახერხებთ. და, აი, აქ უნდა იჩინოს თავი მწერლობის მადლმა, რომ მკვდარი სიტყვა გაგვიცოცხლოს, გამოძმრალი სული გაგვინედლოს და ცინცხალ აზრს ტრაფარეტის ხუნდები აპყაროს“.

ეს ზოგადი პოზიციაა მეცნიერისა, შეგონება... აი, ეს კი უკვე მოწოდებაა:

„არადა ბაჯაღლო ოქროდ არის დაუნჯებული საქართველოს კუთხე-კუნჭულებში ნედლი, მუხლადი, მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა, ჯერაც გაუსუნარი და ჭკნობას გადარჩენი-

ლი... სხარტი ხატოვანება, აზრობრივად ტევადი და გარეგნულად ლალი გამოხატვა სათქმელისა – აი, რა უნდა დაისახოს მწერლობამ ცოცხალი მეტყველებიდან“... სწორედ ამ მსჯელობის ჭეშმარიტების დასტურად მეცნიერს კონკრეტული მაგალითები მოჰყავს:

„აი, ეს: „**გული დამიცოტავდა**“, „**მარაგიანი ღამე**“, „**გაუბზარავი სიჩუმე**“, „**ძილი გაიხშირა**“ და სხვა მრავალი“... „რომელი მწერლის სათქმელს არ დაამშვენებდა ეს გამოთქმებიო“... ამ ღირსსაცნობი მსჯელობის (შეგონებისა თუ მოწოდების) არგუმენტად მოყვანილი მაგალითები **თამაზ ხმალაძის** წიგნიდან არის, „**ორნი ღუმელთან**“ რომ ჰქვია... უკვე ვთქვით, წერილის სათაურია „**სიტყვის მადლი**“... ღიახ, მეცნიერის აზრით, მწერალი, რომელმაც იცის სიტყვის მადლი, **თამაზ ხმალაძეა**... მისმა ნახევარსაუკუნოვანმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ ჩემ თვალწინ ჩაიარა და მეც ვეთანხმები ბ. ჯორბენაძის შეფასებას, ამიტომაც მოვისურვე მასთან დიალოგი ამ თემაზე...

– **თამაზ**, ჩვენ საუნივერსიტეტო განათლებით ენათმეცნიერები ვართ. დელაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ვსწავლობდით ერთად (ნახევარი საუკუნის წინათ!); მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება ქართულ ენას ვემსახურებით – შენ შენი მწერლობით, მე – ჩემი ენათმეცნიერობით... ბევრი გვიფიქრია დედაენაზე... თვალს ადევნებ, ცხადია, ამ თემაზე („ენა და მწერალი“) გამართულ დიალოგებს, „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ იბეჭდება.. ამ საკითხებზე შენი აზრიც მაინტერესებს. ასე დავიწყით:

* * *

– ანა კალანდაძე ამბობს ერთგან: „**ენას პატრონი სჭირდება, ბატონი რომ არ გაუჩნდესო**“; რას იტყვით ამის თაობაზე – ქართული ენის დღევანდელი „პატრონის“ შესახებ?

თამაზ ხმალაძე – ბატონი და პატრონო, არა? ქართულ ენას რომ დღეს თავისი საკადრისი პატრონი არა ჰყავს, ნათელი და კანთიელია. როცა ყველამ უგანა, როცა თავისი დასვრილი ენა ყველამ მშობლიურ ენას შეახოცა, მისი მოსარჩლე და პატრონი (როგორც ადრე ხდებოდა) ქართული მწერლობა უნდა ყოფილიყო. **მიხეილ ჯავახიშვილის** აზრი შეგვასვენეს მწერლებს ამასწინათ: „დედაენის პატრონობის საქმეში პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოსო“; (რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკაც მწერლობის დარგი გახლავთ; კარგი ჟურნალისტი კარგი მწერალია; ამიტომ თავისი წილი პასუხისმგებლობა ჟურნალისტებსაც აკისრიათ), მაგრამ ბოლოს მახვილი ყველაზე ღრმად დედაენას მწერლობამ ჩასცა... ძალიან ვერიდებოდი ამის თქმას, მაგრამ უთქმელობაც რომ აღარ შეიძლება?!

ქართული ენის პატრონზე ოცნებაც კი კარგა ხნის წინ ჩაიფერფლა. „ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან“ (გალაკტიონი)... დღეს უკვე ბატონი გაგვხლომია სანატრელი. ნეტავი ერთი კარგი ბატონი გამოჩნდებოდეს საიდანმე (მწარედ ვხუმრობ, რა თქმა უნდა)... ბატონს, ჩემო გოგი, გარდა იმისა, რომ ბატონობდა, გარკვეული მოვალეობაც ეკისრებოდა...

გ. გ. – უპატრონო ქვეყანაში ბატონი პატრონიც იყო, ასე გავიგოთ?...

თ. ხ. – დიახ, მაგრამ ნურც ეგეთებს დავივიწყებთ, ლამის სიამაყით რომ აცხადებდნენ: „უპატონოდ ხმას ვერავინ გამცემსო!“ – ბატონი ეიძელებოდათ... საქმე ძალიან შორიდან არის დასაწყები...

გ. გ. – საკმაოდ მძიმე რეალობაა... „ძალიან ვერიდებოდი ამის თქმას“, ამბობ, მაგრამ კლასიკოსი რომ მოგვიწოდებს? – „ბრძოლას და პოლემიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჩვენ პრინციპული უთანხმოება გვაპოძრავებს. კუ-

ლისებში ბრძოლის მაგივრად, **შეუფარავად, დასაბუთებულად უნდა ვუთხრათ ურთიერთს სიმართლე**, გულდაგულ და ისე ვაუჟაცურად, როგორც ჩვენს დიდ წინაპრებს – ილიას, ვაჟას და გრიგოლ ორბელიანს სჩვეოდათ ეს!“ – ასე **კონსტანტინე გამსახურდია** გვაგულიანებს და ეს მოვალეობაცაა ჩვენი... აქ ჩვენ ვთანხმდებით...

– თამაზ, ამ გადასახედიდან ვისაუბროთ ქართული ენი-სადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე... ბევრი რამ მაინტერესებს; რაზეც პასუხის გაცემა მხოლოდ მწერალს შეუძლია... შენთან მოვიკლავ ამ სურვილს...

* * *

გ. გ. – 90-იან წლებში რადიო-დიალოგები გვექონდა მენს საავტორო გადაცემაში („ენაი შემკული და კურთხეული“). ერთი თემა ასეთი იყო: „XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი“. გავიხსენეთ ცნობილი თვალსაზრისი: XX საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სწორ გზაზე უნივერსიტეტის დაარსებამ დააყენაო. მაშინ ვთქვით: ჩვენ გვაქვს ისეთი ძეგლები, რომლებითაც საუკუნე იწონებს თავს უწინარესად: **XI საუკუნე და სვეტიცხოველი, XII საუკუნე და გელათი...** და ამ რიგში უნდა ჩავაყენოთ **XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი...** ასე ვფიქრობდით მეოცე საუკუნის დასასრულს... ახლა XXI საუკუნის მესამე ათწლეულია; აზრი ხომ არ შეგცვლია? თუ გიფიქრია, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი დამოკიდებულება ქართული ენისა თუ მწერლობისადმი დედაუნივერსიტეტის გარეშე?

თ. ხ. – მიფიქრია რას ჰქვია... ამ მხრივ, ვგონებ, ვერც შენა და ვერც მე წლებმა პირი ვერ შეგვაცვლევინა. განუზომელია დედაუნივერსიტეტის როლი მეოცე საუკუნის საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიაში. მას ჩემი ქება და ხოტბა ბევრს ვერაფერს შესძენს... აი, რაც შემეხება

მე: თუკი რამე არის ჩემში, ალბათ ნახევარი მაინც მისი მადლია... საერთოდ, მადლიანია უნივერსიტეტი, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ მის წინაშე პირჯვარს უნდა ვიწერდეთ. ის ტადარია და ტადარის სიწმინდეს, იქ როდის რომელი და როგორი ძველი სწირავს, იმის მიხედვით არ უნდა ვაფასებდეთ...

გ. გ. – გეთანხმებით. უნივერსიტეტის როლი სხვაგვარად ვერ შეფასდება... ეგ ჩემი აზრია: მან დედაენის პატრონობის საქმეში პირველობა უნდა დაიბრუნოს; კვლავაც უნდა უწინამძღვროს დედაენას „თეთრმა ტადარმა“... ასე სჭირდება ერსა და ქვეყანას...

თ. ხ. – როცა „შეგხვდები“ დედაუნივერსიტეტს, არ შეიძლება გონებაში არ გაიფიქროს: „როგორ ბრძანდებით, თეთრო ბატონო, ჩემო მეუფე, როგორ ბრძანდებით; ისევ ქართული რჯულით გვართობ?“... (ჩვენი ლაშა გახარია)...

* * *

გ. გ. – დავინტერესებულვარ მწერლისა და მისი პერსონაჟების ურთიერთობით. მიხეილ ჯავახიშვილი თავის ბლოგნოტში ამგვარ თემას ჩაინიშნავს: „ჩემი ნაწარმოების გმირები მოდიან და მასამართლებენ“... მწერალი ემზადება, თავი დაიცვას თავისი გმირებისაგან. ილია ჭავჭავაძის საუბარი ლუარსაბთან „კაცია-ადამიანის“ ვარიანტებიდან გახსოვს, ცხადია...

კითხვა: – **შენი გმირები ეგუებიან თავიათ ბედს** შენს მოთხრობებში?

თ. ხ. – მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების გმირები იმდენად ცოცხალნი და რეალურნი არიან, რომ, თუ კარგად ჩაეძიებინ, მხოლოდ მწერლის მიმართ მოწყობილ სასამართლო პროცესში კი არა, შეიძლება რომელიმე არჩევნებშიც ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული („მკვდარი სულები“...)... აი, ვინ არიან ნამდვილი უკვდავები!...

„ჩემებიდან“ უპირველესად ნასყიდა მახსენდება. ამ მოთხრობის („ნასყიდას ვატერლოო“) ფინალი გამთენიისას ძილღვიძილში ვნახე; ვიდაცა შუახანს გადაცილებული კაცი საქანელაზე იჯდა და ქანაობდა. ჯერ არ ვიცოდი, ვინ იყო და რისი გამკეთებელი. როცა ახლოს გავიცანი, მივხვდი, დალაქთან „პაექრობაში“ დამარცხდებოდა; მაგრამ დღესაც ვატყობ, ჩემგან ამას არ ელოდა და ასე რომ გავაწბილე, განაწყენებული დარჩა: დალაქთან არ უნდა წაგეგებინებინა ჩემთვისო. თითქოს ვცადე კიდევ შემორიგება, ამ „დანაშაულის“ გამოსყიდვა, და „რიკულებიან აივანზე“ დავწერე, მაგრამ ჩემდა უნებურად, აქაც დამარცხდა!.. მესამე მოთხრობის დაწერას ვაპირებდი მასზე, მგონი მოყოლილიცა მაქვს შენთვის; სიუჟეტი უკვე გამზადებული მქონდა, სადაც ფინალში გამარჯვებას იზეიმებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, (ისე როგორც ბევრიც სხვისა) ამ მოთხრობის დაწერა ვერ მოხერხდა; არ გაუძარტლა... ეგეთი ყოფილა ნასყიდას ყისმათი! ეტყობა იმის ბედისწერის წიგნში საბოლოო გამარჯვება არ ეწერა. მაინც მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს: რადიოდანგამაში ეს როლი გივი ბერიკაშვილმა ითამაშა, დაუშეგობრდა და შეიყვარა კიდევ ნასყიდა...

სხვაც შეიძლებოდა თქმულიყო; მაგალითად, ჯაღალა არ უნდა იყოს უკმაყოფილო, არც ვაბო... დემნაზე რა გითხრა... დაწერილ მოთხრობაზე ფიქრი, რასაკვირველია, მერეც გრძელდება... თუმცა იშვიათად, რომ ენობრივად რამე ჩამესწორებინა. რეზო ინანიშვილი რომ იტყოდა, „როგორც მეკარნახა“ თავიდან, ისე რჩება ხოლმე... გმირების ბედზე კი ხშირად მეფიქრება, წიგნებში დაბინავებულებზეც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იმათზე, მხოლოდ ფიქრებში რომ არსებობენ და ცხრა თვის ნაცვლად წლობით უწევთ ლოდინი, ზოგს კი სულაც არ უწევს დაბადება...

* * *

გ. გ. – პერსონაჟების სახელ-გვარების თემა მაინტერესებს.... ცნობილი ამბავია, დავით კლდიაშვილი ნაწარმოების გამოქვეყნებამდე პერსონაჟებს სახელ-გვარებს ხშირად უცვლიდა; მაგალითად, პირველ ვარიანტში პლატონ სამანიშვილს არჩილ სანებლიძე ჰქვია, ბეკინა სამანიშვილს – ბეჟან სანებლიძე, დარიკოს – ქრისტინა, კირილეს – ლევანი. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ ოტიას დედას ერთ ვარიანტში ბარბაღე ჰქვია, მეორეში – ეფემია, საბოლოოდ ეკვირინეზე შეჩერდა და ასე შემდეგ... მწერლის აზრით, იმერული გამოთქმა რომ მოვიშველიო, სახელ-გვარი პერსონაჟს „შემოწკეპილი“ უნდა ჰქონდეს... შენს პერსონაჟებს საინტერესო სახელები ჰქვიათ: ნასყიდა, ჯაღალა, გაბო, ლალო...

კითხვა: – **სახელებს შენი პერსონაჟები თავად „ირქმევენ“, თუ შენ არქმევ** მათი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე?

თ. ხ. – მართლაც ბევრია ამ თემაზე სალაპარაკო, მაგრამ ჩვენი დიალოგის ფორმატი ვრცლად საუბრის საშუალებას არ მოგვცემს.

სანამ წერას დავიწყებ, გმირების უმეტესობა თავისი სახელითა და გვარით მოდის და არ მაწვალებს; მაგრამ როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებელია.

ღიან, გვარ-სახელი ტანსაცმელივით არის: როგორც სოფლის მენახირეს ქულაჯით ვერ გაუშვებ ნახირში, ასევე სახელად ანდუყაფარს, ქაიხოსროს ან ამირინდოს ვერ დაარქმევ; ეს დამწყები პროზაიკოსისთვისაც საცნაურია. ჩემი მენახირეც ჯერ გაბოობას ვერ გასცილებია, თუმცა ალბათ ნა-

თლობის სახელი გაბრიელი ჰქვია. გემახსოვრება ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეიბარი თოჯინა“ (რადგან სტუდენტობისას არა მხოლოდ მოცალებობის ჟამს ვკითხულობდით მას), თავის გმირს რომ შეუძახებს: „აღეჟი, ალე, იქვემეხე, იალექსანდრე!“ ვერა, ვერ იალექსანდრებს ალე...

გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მოსულმა მწერალთა უნიჭიერესმა თაობამ სხვა ბევრ სიახლესთან ერთად პერსონაჟთა ახალი სახელები შემოიტანეს; ამ საქმეში ძველი ქართული მწერლობა დაიხმარეს და დიდი ხნით მივიწყებული გაუცვეთელი სახელები გააცოცხლეს (თარხუჯი, ვამეხი...). თვითონ არა, მაგრამ მათმა მომდევნო თაობამ ეს სახელები უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოიტანა და თავიანთ შვილებს დაარქვეს (თორნიკე, ვაჩე...)...

გ. გ. – თავისი სახელ-გვარის გამოცვლა თუ მოუთხოვია შენთვის პერსონაჟს?..

თ. ხ. – ამ თვალსაზრისით, მე, ჩემდა თავად, ყველაზე მეტად „დროის მკვლელების“ პროტაგონისტმა გამაწვალა – ძველი რევოლუციელივით ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოიცვალა სახელი. მერე, როცა ამ რომანის ბოლო ვარიანტს ვკითხულობდი, თითქოს სხვის ნაწარმოებში მიმეკვლიოს და აღმომეჩინოს, მის სავარაუდო პაპას დიმიტრი (დემეტრე) რომ ჰქვია და ამანაც სწორედ ამიტომ შეიშნოვა და დაიტოვა სახელი „დემნა“. არადა, წერის დროს ამაზე არ დაფიქრებულვარ.

გ. გ. – თამაზ, შენი ნაწარმოებების კითხვისას არ შეიძლება მკითხველს თვალში არ მოხვდეს ის, რომ პერსონაჟის სახელებსა თუ მეტსახელებს მკვეთრად ხალხური ელფერი დაჰკრავს. საერთოდ, ის ენობრივი სივრცე, რომელიც შენი პერსონაჟების სამყაროა, მდიდარია ამგვარი ლექსიკით...

ამ თემით განვაგრძოთ საუბარი – პიროვნება (პერსონაჟი) და სახელ-გვარი, მეტსახელი; მაგრამ... რალა შორს წავი-

დეთ, შენგან დავიწყოთ: შენ ორი სახელი გქვია: დოკუმენტებში – აკაკი, საზოგადოება უფრო თამაზ ხმალაძეს იცნობს; შენს პიროვნებას (თუ გვარს) თამაზი უფრო შეეფერება?

თ. ხ. – ჩემი დასაწუნი არც ერთსა სჭირს რამე და არც მეორეს. ეს ერთი ჩვეულებრივი შემთხვევითობაა (თუმცა ამბობენ: ყველა შემთხვევითობა აუცილებლობით არის გამოწვეული). როცა დავბადებულვარ, ბებო წასულა საბჭოში, საკომლო წიგნში აკაკის სახელით მას გავუტარებდნენ. თამაზი ჩემს უფროს ძმას დაურქმევია. შინაც და სანათესაო-სამეზობლოში თამაზს მეძახდნენ, სკოლაში რომ შევედი (ხუთი წლისა), მაშინ გავიგე, რომ აკაკი ვყოფილვარ. მერე, სკოლის პერიოდში, როცა სიღნაღის რაიონულ გაზეთში ლექსების ბეჭდვა დავიწყე, რატომღაც ფსევდონიმი მოვინდომე და რალა შორს წავსულიყავი, ჩემივე არაოფიციალური სახელი ავიღე.

ისე, სწორი გითხრა, ორივეს ჩემი ზედმეტი სახელი – ლალა – მირჩვენია...

გ. გ. – ლალა? რატომ?

თ. ხ. – ალბათ იმიტომ, რომ ისეთი მინდა ვყოფილიყავ, როგორიც სხვათა თვალში ვჩანდი და რის გამოც ეს მეტსახელი „დავიმსახურე“, მაგრამ სინამდვილეში არ თუ ვერ ვიყავი...

გ. გ. – იმ გარემოში, სადაც შენი გმირების უმეტესობა ცხოვრობს, მეტსახელების სისტემა სხვა კუთხეზე უკეთ არის განვითარებული. ხშირად გავუოცებდნენ... თუნდაც: გახსოვს, სიღნაღელმა ქალბატონმა, ჩემი მეუღლის დეიდამ, ჩემთან რომ განახა, მკითხა, ეს „ქვეყნის დარდის“ შვილი არ არისო? მაშინ გავიგე, რომ მამაშენს სიღნაღში ამ მეტსახელით იცნობდნენ (**გიორგი ხმალაძე – „ქვეყნის დარდი“**)... რას იტყვი კონკრეტულად ამ მეტსახელზე და, საერთოდ ამ თემაზე. ალბათ, გიფიქრია...

თ. ხ. – „ცოცხალ კაცს დარდს რა გამოუღვეს, ჭკვა-თამყოფელს დარდი უღვეი აქვს“ (რ. ამაშუკელი). მაგრამ დარდიც არის და დარდიც; ზოგის გულისთქმა იმის იქით არ მიდის: წინ რომ ჯამი მიღვას, რატომ პირთამდე სავსე არ არისო. კაცად კი მაშინ ხარ საქები, როცა მოყვასის საწუხარს საკუთარზე წინ დააყენებ, ქვეყნის დარდს შენს დარდად აქცევ და იმდენს შეძლებ, რომ ეს სხვებმაც დაინახონ და დაგიფასონ („ქვეყნის დარდი“ დაგიძახონ)... ამ ზედმეტმა სახელმა (ქვეყნის დარდი) გარკვეულწილად შემდგომში ჩემი ცხოვრების წესიც განაპირობა.

ეს რაც შეეხება კერძო შემთხვევას. ზოგადად კი: ჩემზე კარგად მოგეხსენება, ენათმეცნიერები ზედმეტ სახელებს ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ – საგნებელი და საგინებელი. დროთა განმავლობაში საგინებელი საგნებლად გადაიქცევა ხოლმე. ყოფილა შემთხვევა რომელიმე ბავშვისთვის მიკითხვას, ვისი ხარ-მეთქი და ისეთი სიამაყით უპასუხია: **ძალღიყბაანთიო**, ანდა **ბრანძოანთიო**, თითქოს ბიზანტიის იმპერატორის ჩამომავალი ყოფილიყოს; რაც, რაღა დაგიძალო და, ძალიანაც მომწონებია. თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენო, საგინებელი სახელი ზშირად „საკომლო ბრენდად“ იქცევა ხოლმე...

გ. გ. – ალბათ ესაა: **ძალღიყბა** თუ **ბრანძო** კონკრეტულ პირს როცა მიემართებოდა, იმისთვის იყო „საგინებელი“... მერე კონკრეტულ მისამართს კარგავს და განზოგადდება; აქ „დაიცლება“ თითქოს „გინების“ სემანტიკიდან და „საკომლო ბრენდად“ გადაიქცევა...

თ. ხ. – სიღნაღში ერთი კარგი პოეტი იყო – ლერი ბეგიაშვილი. მისი პაპა, ძველანაგელი გლეხი, ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა, ზედმეტ სახელად „ბუჭურაული“ რქმევია. როცა გარდაიცვალა, დიდი ქონება და სამი ვაჟი დარჩენია. მე-

მკვიდრეობის გაყოფისას ლერის მამას უთქვამს ძმებისათვის: მე, ჩემდათავად, მამაჩემის სარჩო-საბადებლის მესამედ წილსაც თქვენ გიტოვებთ, კომლიდან კი მარტო ჩვენს ზედმეტ სახელს გავიტანო. ამის შემდგომ „ბუქურაულებად“ მხოლოდ ჩემი შთამომავლობა მოიხსენიებაო. ნათქვამიდან დასკვნა იოლი გამოსატანია: რა უღირდათ და როგორ ეძვირფასებოდათ წინაპრების ზედმეტი სახელი.

გ. გ. – მთელი ნოველაა... თამაზ, არსებობს ასეთი ცნება: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა... როგორც ეტყობა, პიროვნებისთვის ამგვარი მეტსახელი ის სულიერი ფასეულობაა, რომელიც ყოველგვარ მატერიალურ ღირებულებაზე მაღლა დგას... ეს ჩვენი, ქართველების, ტრადიციული გააზრება ჩანს. ერთი ეპიზოდი მახსენდება „ვეფხისტყაოსნიდან“ არამატერიალური ფასეულობის თემაზე: სამი ხატაელი ძმა ტარიელს რომ გადაეყრება და მოსალოდნელ ნადავლს რომ იყოფენ:

„მე უხუცესმან უმცროსთა **კაცი დავსთხოვე** ქენებით,
ჩემმან **შემდეგმან ტაიჭი** მისი მით აქო ხსენებით;

ამან (უმცროსზეა საუბარი – გ. გ.) **მართ ოდენ მორევ-ნა გვითხრა**, ვუვალეთ ჩვენ ნებით“...

თუმცა, ნუ წავაღთ „სხვაგან“...

თ. ხ. – თავად ის ფაქტი, რომ ზედმეტ სახელს ბევრი სინონიმი აქვს (მეორე სახელი, გამოცვლილი სახელი, საალერსო სახელი, კნინობითი სახელი, ნართაული სახელი, მეტსახელი, უკანსაყვიარი, თიკუნი...) იმაზე მიანიშნებს, რომ ამათი უმრავლესობა ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელით კი არა, შინაარსობრივადაც განსხვავდება; ამის გააზრებაც აუცილებელია...

ზოგი მეტსახელი თუ მარტივია და გამჭვირვალე (მაგ., ჯაგარა, მუქთარა, ჯანსალა...), ზოგი, მართლაც რომ, მხატ-

ვრული სახეა. ერთ კაცს „**ეზოს ლაზათს**“ ეძახდნენ. ეტყობა გარეგნობით კარგი შესახედავი იყო, მაგრამ სხვა არაფერით ექნა ღმერთს... ანდა: „**ლაფის კუკლა**“. „კუკლა“, მოგეხსენებათ, რუსული სიტყვაა და ქართულად „თოჯინა“ გვიქვია. სასაუბრო მეტყველებაში „კუკლა“ ლამაზის სინონიმად იყო ნაქცევი. ამ ზედმეტი სახელის პატრონიც „კუკლასავით“ პიროვნება კია, მაგრამ ლაფისაა, ტალახისა და, რა გინდა რომ ქნა...

ვინმესთვის ზედმეტი სახელის შერქმევა და სამუდამოდ გაყოლიება, თუნდაც საქებარი ანდა საალერსო იყოს, იოლი არ არის. მახსოვს, ტარიელ ჭანტურიას ერთი შესანიშნავი რითმა: (ნოსტელ გიას ნოსტალგია), მაგრამ არ მახსენდება, ის რომელიმე კრიტიკოსს ან ლიტერატურისმცოდნეს ეხსენებინოს, როცა კარგ რითმებს ჩამოთვლიდნენ. ჩემი მოკრძალებული აზრით, მიზეზი ის არის, რომ გონება ეწინააღმდეგება „დიდი მოურავის“ „გაიად“ მოხსენიებას.

მეტსახელი ბევრ საფიქრალს აჩენს; თუნდაც ის რად ღირს, როცა მშობლებს შვილები არა რჩებოდათ, ახალშობილს სხვადასხვანაირად უცნაურ სახელს არქმევდნენ, რომ სიკვდილისათვის გზა-კვალი აებნიათ, ბავშვისთვის ვერ მიეგნო... მაგრამ ამჯერად გვეყოფა...

* * *

გ. გ. – პეტრე უმიკაშვილს დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ წაუკითხავს და მწერლისთვის მიუწერია, ძალიან მომეწონა შენი მოთხრობაო, მაგრამ ენა მოიკოჭლებსო... უმიკაშვილს (ქართლელი იყო), ცხადია, იმერიზმები ჰქონდა მხედველობაში. დავითი სამადლობელ ბარათს უგზავნის და თან „მოუბოდიშებს“, მეც ვგრძნობ, რომ ჩემი ენა მოიკოჭლებსო... მაგრამ მაინც ისევ ისე რჩება ყოველივე – ანუ მწერალს საჭიროდ მიაჩნდა დიალექტიზმების გამოყენე-

ბა, თუმცა ამის მტკიცებას აარიდა თავი... ეს ამბავი შენმა მოთხრობამ გამახსენა, „ორი ზოლი“ რომ ჰქვია; პერსონაჟები გზადაგზა დიალექტიზმებს გაურევენ (ამაიცივამ, მააშორე... შავიდა, შაინძრა... გო, ქა...), მაგრამ არა ყველგან და ყველა შემადლო შემთხვევაში... რას იტყვი ამის თაობაზე?

სხვათაშორის, ამასაც გავიხსენებ: ანა კალანდაძეს, როცა მსგავს თემაზე საუბრობს, „გარემოს კარნახის“ ცნება შემოაქვს...

თ. ზ. – ჯერ ქალბატონი ანას შემოთავაზებულ ტერმინზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. „გარემოს კარნახი“ – **უზუსტესი ტერმინია**. მახსოვს: როცა ჩემი მოთხრობის „ნასყიდას ვატერლოო“ ინსცენირება და რადიოდადგმა გაკეთდა, მისი რეჟისორი რეზო გამცემლიძე მთხოვდა კი არა, მეხვეწებოდა: ყველა ტექნიკურ საკითხს მე მოვაგვარებ, მივლინება გავაკეთოთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე თვით ვიცხოვროთ, ამ მოთხრობის გმირები იქ გადავასახლოთ, იქაური ხასიათები და დიალექტები მოვარგოთ; შენ დაწერე, მე დავდგამ და, იმ ერთი მულტფილმისა არ იყოს, „სოფელიც აშენდება“.

მისი ოცნება ოცნებად დარჩა. მაშინ მე არც მაგისი წუთისოფელი მქონდა და ამ საქმისთვისაც ვერ ვივარგებდი. მერე რეზო მოულოდნელად გარდაიცვალა და ეს ოცნებაც თან გაიყოლა... რატომ გავიხსენე? იმიტომ რომ, რეზო პატიოსანი შემოქმედი იყო და იცოდა, თუ გვინდოდა, ჩვენი საკეთებელი კეთილსინდისიერად გავგვეკეთებინა, რამდენიმე თვით იმ გარემოში უნდა გვეცხოვრა და შესაქმნელიც „გარემოს კარნახით“ შეგვექმნა.

გ. გ. – ისევ დავით კლდიაშვილი გავიხსენოთ: „სამანძვილის დედინაცვალი“ რომ დაიბეჭდა, საყვედური უთქვამთ, ასე მალე რად მოაძებნინე სადედინაცვლო პლატონსო... „გადა-

ვიყვანდი ქართლში, მერე კახეთში... რა სურათი იქნებოდაო!...“
დავითის პასუხი: „არ ვიცი ქართლსა და კახეთს!“ ისიც
გემანსოვრება, ქიზიყში ჩამოსახლებულ ამერიკელ მხატვარზე
მოთხრობა რომ დაიწერა და სალაპარაკო გახდა, არ იცნობსო
კახეთს მწერალი – იგი დასავლური წარმოშობისა იყო... მო-
რალი ესაა: მწერალმა „გარემოს კარნახი“ რომ გაიგოს, კარ-
გად უნდა იცნობდეს იმ კუთხეს...

თ. ხ. – მაგრამ, ვფიქრობ, დიალექტის საჭირო დონით
გამოყენება მხოლოდ „გარემოს კარნახით“ ვერ აიხსნება (თუმ-
ცა ესეც არის, რა თქმა უნდა). ცნობილია, მეტყველება პი-
როვნების მახასიათებელია; მეტყველება ერთგვარი მხატვრული
ხერხია პერსონაჟის ძერწვისა. იმ მოთხრობაში („ორი ზო-
ლი“) ორი თაობა – ბებიებისა და შვილიშვილებისა – საუბ-
რობს; ერთი უქცევს დიალექტზე, რომელიც გაქრობის პირა-
საა და მეორე – სალიტერატუროზე საუბრობს და ერთმანე-
თის მეტყველება არცერთს არ ეჩოთირება, რადგან ეს ასეც
უნდა იყოს...

მე არა ვარ მომხრე პროზაულ ტექსტებში დიალექტიზ-
მების ჭარბად გამოყენებისა (არ უნდა იყვიროს, არ უნდა მო-
გჭრას თვალი)... მაგრამ ამგვარ შემთხვევაში არც უმაგისობა
ივარგებდა... ძალიან მაწუხებს დიალექტის გაქრობის ტენდენ-
ცია – უდიალექტებოდ რა იქნება სალიტერატურო ენის ყოფ-
ნა... ვაი რომ, ეს საკითხიც დადგება; ეგ ჟამი მოახლოებუ-
ლი მგონია... წავიდნენ ჩემს ბავშვობაში მცხოვრები ადამიანები
და ის დიალექტიც თან გაიყოლეს, რომელზეც საუბრობდნენ...
თითქოს გუშინ იყო, ანბანს რომ ვსწავლობდი: ოცდაცამეტ
ასო-ბგერას ჩამოვთვლიდი და ბებო მისწორებდა: აკლებო და
თვითონ კიდევ ხუთს ამატებდა. განსაკუთრებით მაღიზიანებ-
და მისეული ანბანის დასასრული: ...ჰაე, ჰოე. ეს ჰოე რაღა
ოხრობაა-მეთქი, ვბრაზობდი...

ვფიქრობ ქიზიყში ბევრი აღარ ღაღარაღით ისეთები, ვისაც თავისუფლად შეუძლია ბგერა **ჯარის** წარმოთქმა და ამ იუმორისტული ფრაზის სწორად გამეორება: „**კიიი, ჯარო, ჯვეში ბალაჯ რა უნდა, შე ოკერო!**“ ასევე გაქრა, აღარავინ აღარ ხმარობს მესამე ობიექტური პირის მრავლობითობის მაწარმოებლად -**კე** ბოლოსართს; გაქრა (მხოლოდ ანდაზებსღა შემორჩა) ძალიან საჭირო და ტევადი მწკრივი ძველი ხოლმეობითისა...

და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა და ხდება; ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვკარგავთ...

ისე, არა გგონია, გოგი, რომ ზოგი დიალექტი ძველ სალიტერატურო ენასთან უფრო ახლოს არის, ვიდრე ახალთან? თითქოს დიალექტი უფრო უფრო ხილდება ძველს, ერიდება მისი ნორმების შეცვლას...

გ. გ. – დიალექტების პერსპექტივა ძალიან მტკივნეული და რთული თემაა; მგონია, მწერალს განსაკუთრებული როლი აკისრია დიალექტის შენახვა-გადარჩენაში... ნუ გავყვებით ამჯერად ამ გზას... თუმცა ისევ დიალექტის თემაზე:

ნაირა გელაშვილი წერს ოთარ ჩხეიძის შესახებ: „ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, ერთგული გადამწერივით გადმოვწერო მთელი მოთხრობა; როცა მწყურდება მხოლოდ სიჩუმე და მოთხრობელისათვის ასე გარინდებით ყურის მიგდება“... ესეც გემახსოვრება: რეზო ინანიშვილი წერს: „გადაშლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის უკვე გაყვითლებული მესამე ტომი და სიტყვა-სიტყვით ვიწერ ესმა თოთიბაძის მოგონებას. ჩვენი დროისთვის ამ უცნაურ საქციელს ექნება თავისი მიზეზი“... რეზო ინანიშვილს მთელი „წყება“ აქვს მიზეზთა, მაგრამ მე სხვა კუთხით ვუყურებ ამ თემას— **დიალექტური სტილისტიკის** საკითხი მაფიქრებს... ფართო თემაა; მო-

დი, ამყევი ამგვარ „ექსპერიმენტში“: ვცადოთ ნოდარ დუმბაძის ან რეზო ჭეიშვილის მოთხრობის გადაწერა შენი „კახური ხელით“... თუ „მოგთხოვს კახური მარჯვენა“ რაიმეს შეცვლას...

თ. ხ. – სხვა მწერლის ნაწარმოების გადაწერა... ეგ სხვებისაგანაც გამიგონია. რალა შორს წავიდეთ, დავიჯერო, ჩვენს ავთო გაფრინდაშვილს შენთვის არ უთქვამს: როცა ჩემსას ვერა ვწერ, კონსტანტინე გამსახურდიას რომელიმე წიგნს ავიღებ და იქიდან მთელ გვერდებს გადავწერ ხოლმეო. გადაწერის სურვილი ბევრმა რაიმემ შეიძლება გააჩინოს, მაგალითად, მუხის მოხმობაში „დაეხმაროს“, ინსპირაციად იქცეს...

მთავაზობ: ვცადოთ ნ. დუმბაძის ან რ. ჭეიშვილის მოთხრობის გადაწერაო; არა, მოდი ნუ ვცდით, ვერცერთს ვერ შევკადრებ რამის შეცვლას, საამისოდ „კახური მარჯვენა“ არ მომიბრუნდება...

გ. გ. – სამწუხაროდ, ამჯერად „ექსპერიმენტი ვერ შედგა“... **დიდლექტური სტილისტიკა მოითმენს...**

* * *

გ. გ. – თამაზ, მე ჩემდათავად მიფიქრია ამის შესახებაც: ჩემში ენისადმი ინტერესის აღძვრასა თუ განვითარებას ვინ შეუწყო ხელი-მეთქი. ალბათ შენც გიფიქრია. ეს, ცხადია, არ ხდება მას შემდეგ, რაც სამწერლო გზას დაადექი; მჯერა, რომ მწერლობამდეც ამ ინტერესმა მიგიყვანა... ერთი ასეთი ფაქტი მაგონდება ჩვენი სტუდენტური ცხოვრებიდან: პირველკურსელებს სემინარი უნდა გვქონოდა „ბიბლიის“ თემაზე ნეტარხსენებულ რეზო სირაძესთან (დიდებულ პიროვნებასთან); საგანგებოდ ვემზადებოდით; ჩვენს საუბარს დედაშენი ისმენდა. ახლაც მახსოვს ზოგი რამ, მისგან განმარტებული და ახსნილი... შეგიძლია გააგრძელო ეს თემა?

თ. ხ. – სიამოვნებით გავაგრძელებ, მაღლობელიცა ვარ, ამის საშუალება რომ მომეცი. დედაჩემს დედა ცხრა წლისას

გარდაეცვალა, მამა – თორმეტისას. ჩვიდმეტისა მამაჩემზე და-
ქორწინებულა. ობლისათვის მზითევში „ვეფხისტყაოსანი“ ვერ
გამოუტანებიათ, მაგრამ „სახარება“ კი მოუყოლებია თან
(ახალგაზრდობაში უსვინდისოდ ვხუმრობდი: მაშინ ისეთი
დრო იყო, შეიძლება იგი მისმა პატრონმა თავიდან მოიშორა-
მეთქი). კონსტანტინე გამსახურდიას ერთი გმირი ამბობს: და-
ნებეთ წერას თავი, რაც სათქმელი და დასაწერი იყო, ბიბლი-
აში და ვეფხისტყაოსანში უკვე დაიწერაო. ჰოდა, დედაჩემსაც,
„რაც წასაკითხი“ იყო, წაკითხულიცა ჰქონდა და კარგადაც
ერკვეოდა (მისეული სხვაც ბევრი წიგნი შემოგვრჩა აქამდე).

პროფესორი ლეილა შალვაშვილი, ცნობილი ენათმეცნიე-
რი, შენც კარგად გახსოვს, ჩვენი ახლო ნათესავი იყო. ჩემს
ბავშვობაში საათობით უჯდა დედაჩემს და მის ნაუბარს იწერ-
და. თავიდან ეს მალიზიანებდა, დედაჩემის ნათქვამ შეცდომებს
ინუსხავს-მეთქი. მაგრამ მერე ამ საქმიანობამ მეც გამიტაცა და
ჩემი ლექსიკონის შედგენა დავიწყე. ახლაც ბევრი იმდროინდე-
ლი სიტყვა შემომრჩა ჩაწერილი, რომელსაც ვერცერთ და ვე-
რანაირ ლექსიკონში ვერ იპოვი, თუმცა საჭირო და საინტე-
რესო კი მგონია.

ვნანობ, რომ დედაჩემისგან ის სიმდიდრე სრულად ვერ
ავითვისე. თუნდაც შინაარსობრივადაც და დიალექტოლოგიუ-
რი თვალსაზრისითაც საინტერესო ის ხალხური პოემები,
რომლებიც დედაჩემმა ზეპირად იცოდა და ჩემს მეხსიერებას
მხოლოდ რამდენიმე სტროფი შემორჩა.

თუმცა რას ვიზამთ, იმქვეყნად ძალიან ცოტა წასულა
ისე, რომ მთელი სულიერი სიმდიდრე აქ დაეტოვებინოს...

* * *

**გ. გ. – თამაზ, ქართული სიტყვისადმი, სიტყვიერებისა-
დმი შენი დამოკიდებულება გამორჩეული მგონია... განსაკუთ-
რებით ლექსიკური სიმდიდრე მიზიდავს შენი... საუბრის დასა-**

წყისში მოხმობილ აზრს მეცნიერისას **ჭაბუა ამირეჯიბის შეფასებით შევამაგრებ:** „ბატონ თამაზ ხმალაძეს – მშვენიერ მწერალს, ბრწყინვალე მაძულიშვილსა და **ქართული სიტყვიერების ხმალამოდებულ რაინდს**“... – ეს ავტორისეული ავტორაფია შვიდტომეულზე... ორი მოწმე საკმარისია – მეცნიერი და მწერალი... „**სიტყვაზე**“ მინდა ვისაუბრო...

კითხვა: **კონსტანტინე გამსახურდია** წერს – „სიტყვები ჩვენი ლაშქარია; გააჩნია, ვის როგორი ომის გადახდა დაგვჭირდებაო“... **როგორია „სიტყვათა ლაშქართან“ „სარდლის“** (მწერალ თამაზ ხმალაძის) **დამოკიდებულება;** ხომ არ ჭირს „ომში“ ურთიერთგაგება?

თ. ხ. – თუ მწერლობას „ომად“ მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, ჭირს, ისე როგორც ყველა ომში; მაგრამ ეს პროცესი მე უფრო „ქმნადობა“ მგონია და თავის დროზე მშვენიერი ტერმინიც მოუნახავთ: „შემოქმედება“. ადამიანი ღმერთს „ხატად თვისად“ გაუჩენია და რადგან უფალი ყველაზე დიდი შემოქმედია, ყოველ ადამიანს გვევალება მეტ-ნაკლებად შემოქმედები ვიყოთ ჩვენ-ჩვენს პროფესიაში – ხარატი იქნება თუ ავროტექნიკოსი, მხატვარი თუ მებაღე-დეკორატორი, მუსიკოსი თუ ქვითხურო...

ამ ქვითხურომ გამახსენა: ჩვენც მშენებლები ვართ, ვაგებთ ქვითკირის შენობებს, ზოგნი – მცირეს და ზოგნიც – დიდრონებს. ჩვენი ქვა და აგური სიტყვებია. საშენი მასალის არსი რაც უნდა კარგად იცოდე, საკმარისი არ არის. იმისი ცოდნა არანაკლებ აუცილებელია, შენებისას რომელი ქვა რომლის გვერდით დადო, როგორ დადო და რა დუღაბი იხმარო მათ შესაკავშირებლად. რაც უნდა საუკეთესო აგური დაყარო ერთად, ეს მხოლოდ აგურის გროვა იქნება და სხვა არაფერი... ამიტომ წერის დროს გასათვალისწინებელია სიტყვის არა მხოლოდ შინაარსობრივი მნიშვნელობა, არამედ მი-

სი ადგილი წინადადებაში სხვა სიტყვების გვერდით. **დავით წერელიანი** ერთ თავის მრავალმხრივ საინტერესო ესეში წერს: „ყველა სიტყვას თავისი შეგრძნება ახლავს, მაგრამ სხვა სიტყვასთან მეზობლობა ძირითადი შეგრძნების კორექციას ახდენს, აძლიერებს, ასუსტებს, ნებისმიერი მხრისაკენ წარმართავს. „სასტიკი ქარი“ სულ სხვა ემოციური ოდენობაა, ვიდრე „ნელი ქარი“ ანდა „სურნელის ქარი“, თუმცა ქარის ცნება ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა. უსათუოდ არსებობს რომელიმე სიტყვა, ჯერ რომ ქარის გვერდით არასოდეს დასმულა, მოულოდნელი შესატყვისი, რომელიც ოდესმე მშვენიერ პოეტურ სახედ შეიძლება იქცეს.“

მწერლის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ამ სიტყვის ძებნა-ძიება უნდა იყოს.

გ. გ. – მაპატიე, თამაზ... „სიტყვის ადგილმა წინადადებაში სხვა სიტყვების გვერდით“ ერთი პასაჟი გამახსენა ოთარ ჩხეიძის „ბორიაციდან“: მოგზაური რუს წააწყდება და მწერალი სამსიტყვიან წინადადებას სამჯერ იმეორებს სიტყვათა სხვადასხვა განლაგებით: „რუმი კაცი ეგლო... კაცი ეგლო რუში... ეგლო რუში კაცი“... სიტყვათა განლაგების ცვლით და წინადადების განმეორებით მწერალი ეფექტს ქმნის: მოგზაური გაკვირვებული გარს უვლის ნანახს და ათვალიერებს... ვფიქრობ, ამ ორი, უაღრესად საინტერესო მწერლის ხელვა წინადადებაში სიტყვის ადგილის შესახებ ავსებს ერთმანეთს... მაპატიე... გისმენ, თამაზ.

თ. ხ. – გოგი, შენ ჩემგან არ გესწავლება, ენის ღრმა ცოდნა მხოლოდ გრამატიკის კარგი ცოდნით არ შემოიფარგლება, თუმცა უცილობელია. ენა ერთიანად უნდა გიყვარდეს, მისით ცოცხლობდე, ენაში უნდა ცხოვრობდე, ენა უნდა გეცვას და გეხუროს; ენას უნდა ჭამდე და სვამდე და ენა უნდა გყავდეს ბატონად, თუ გინდა რომ ის დაიმორჩილო...

სხვა რა გითხრა, ამ საკითხზე საუბრით არ დავიღლები, მაგრამ დანარჩენი სხვა დროს იყოს. ერთს დავამატებ მხოლოდ: **ენის სიღრმეებთან მიახლოებამ უფალთან მიმიახლოვა, ღვთის არსებობის რწმენა განმამტკიცა.**

ჰო, რაც შეეხება ბატონი ჭაბუას სიტყვებს: დიდ მწერლებს უმცროსი (არა მხოლოდ ასაკით) კოლეგებისადმი გულუხვი შეფასებები არ ენანებათ...

გ. გ. – თამაზ, საინტერესო რაღაც თქვი: პროფესიონალი რაც უფრო ღრმად შედის თავისი საქმიანობის სფეროში, მით უფრო უახლოვდება უფალს. დიდ ფიზიოლოგს, პავლოვს, უთქვამს: სისხლის შემადგენლობას რომ გავეცანი, მერე ვიწამეო ღმერთი...

ისევ ლექსიკას დავუბრუნდეთ.

– შენი წიგნების კითხვისას სურვილი გამიჩნდა, ჩემთვის (მოგესხენება, იმერელი ვარ) „უცხო“ ან „უჩვეულო“ სიტყვაფორმა ამომეწერა და განმარტება შენთვის მეთხოვა; საინტერესო სიტყვანი (ლექსიკონი) გამოვა... აქ ძალიან კარგად გამოჩნდება ხალხური მეტყველების სიმდიდრე – უდიდესი საგანძური სალიტერატურო ენისა. (ისე, გამოვტყდები და ეს სურვილი დღესაც ცოცხალია...)

თ. ხ. – იდეა ასეთი ლექსიკონის შექმნისა ძალზე საინტერესოა. ოცნებაში უფრო შორსაც შეიძლება წავიდეს კაცი: არის ხალხში გაბნეული სიტყვები, რომლებსაც ათიოდე მწერალი თუ ხმარობს. ყველას რომ ცალ-ცალკე განემარტა ეს სიტყვები, ნეტავი როგორ ახსნიდნენ, რა შინაარსს ჩადებდნენ მასში, ნიუანსობრივად რა განსხვავება იქნებოდა მათ შორის? მერე ამათი ერთად შეკვრა და გამოცემა... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მქონია შემთხვევა, სიტყვაში მე სხვა შინაარსი დამიჭერია, ლექსიკონში კი (თუნდაც ქიზიყურ ლექსიკონში) სხვანაირად ყოფილა ახსნილი...

ახლა ისიც ვთქვათ, როცა შენ მიერ ნახსენებ წერილში ბ. ჯორბენაძე ჩემი მოთხრობებიდან სიტყვებსა თუ ფრაზებს გამოარჩევს, რა დაგიძალოთ და, ერთი თალია მეგონა, სხვაზე საუბრობდა; მისგან გამორჩეული სიტყვები მეც ძალიან მომეწონა; ჩემები თუ იყო, აღარც კი მახსოვდა... დავით კლდიაშვილი მომაგონდა: სერგო კლდიაშვილმა ჰკითხა ერთ გამოთქმაზე, „მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერეო, თუ?“ დავითი გაუწყრა: „არც გამიგონია და არც ჩამიწერიაო. არც კი ვიცოდი, ასეთი რამ თუ მეწერა; მე მაშინ გავიგე ასეთი ფრაზა რომ მქონდა, კიტა აბაშიძემ რომ აღნიშნა თავის წერილშიო“... როგორც ყოველთვის, დავით კლდიაშვილი აქაც მართალია...

* * *

გ. გ. – ეს კითხვაც დიდი ხანია მაფიქრებს: ფაქტია, ლექსი და სიმღერა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიძინევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და პირიქით. მაგ., ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია?

თ. ხ. – ასე რომ ვთქვათ, მაგალითად, დაგვიჯერებენ? – ენათა ზებუნებრივი შემოქმედი ქართული ენის დიალექტებად დაყოფისას ალბათ ექსპერიმენტს აკვირდებოდა: **ერთი დიალექტი სასიმღეროდ შექმნა** – ამ კუთხის მცხოვრებნი არა მხოლოდ შესანიშნავად მღერიან, ჩვეულებრივი საუბრისასაც კი წამღერებით საუბრობენ, თითქოს გალობენ... **მეორენი ლექსებით ატყობინებენ ერთმანეთს** თავიანთ სათქმელს. **ქიზიყური კი თხრობის კულტურით გამოირჩევა** – თავისი მხატვრულობით,

ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ორიგინალური შედარებებითა და ეპითეტებით; მდიდარი ლექსიკით, შეკრული ფრაზებით...

სალიტერატურო ენას მწერლობა ხვეწს; აი, ეს დიალექტი კი რამ დახვეწა, ძნელია ამის გააზრება; ვითომ ხალხურმა შემოქმედებამ (თქმულებებმა, ზღაპრებმა)?... ეს ჩემზე ბევრად ადრე შეუმჩნევიათ ჩემზე უფრო ჭკვიან ადამიანებს. მეფე არჩილი თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზს ასეთ საყვედურს ათქმევინებს რუსთველისადმი:

„ღაზოლა სოქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე,

ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე!“

ქიზიყური დახვეწილი ენით მოგახსენებო, ეს შემთხვევითი ნათქვამი არ არის – ქართლელი უფლისწული არჩილი თორმეტწელს მეფობდა კახეთში, შემდეგ სამ წელიწადს იჯდა იმერეთის მეფის ტახტზე და მის მერე დვალეთში წერს ამ პოემას. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, ქართული დიალექტები ცუდად არ ეცოდინებოდა...

ეჰ, მაწუხებს, მენანება გაქრობა დიალექტისა...

* * *

გ. გ. – თამაზ, ცხადია, სიყმაწვილეში ფიქრობდი მწერლობაზე. ასეთ შემთხვევაში ყმაწვილკაცები ჩვეულებრივ საუნივერსიტეტო განათლებას ლიტერატურათმცოდნეობის ან ჟურნალისტიკის სპეციალობით ირჩევენ. თქვენ ენათმეცნიერული მიმართულება ირჩიეთ – კავკასიურ ენათა განყოფილება დავამთავრეთ. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

თ. ხ. – სამწუხაროდ, ჩვენს სურვილებს ცხოვრება ნაკლებად უწევს ანგარიშს, საწადლის ასრულება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. უამრავი თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენა ერთდროულად მოქმედებს ჩვენს მომავალზე და დასახულ გეზსა თუ მიმართულებას

გვაცვლევინებს. ეს მოვლენები, გაგიკვირდება და, ყოველნაირად მამრკოლებდა და მიშლიდა ხელს განათლების მიღებაში, ანდა ეგებ არ ვემეტებოდი და მიფარავდა, მიფრთხილდებოდა... წვრილმანებზე არ შევჩერდები, რადგან, ნახავ, მსხვილმანებიც მეტისმეტი ბევრი მოგეჩვენება, რომ გაამბო...

გ. გ. – ერთი რამ ვერ გავიგე, რატომ ამბობ: განათლებაში ხელისშემშლელ დაბრკოლებებს „ეგებ არ ვემეტებოდი და მიფარავდა, მიფრთხილდებოდა“... ცოდნისაგან „გიფარავდა“?

თ. ხ. – „ცოდნა“ და „ცოდვა“ მხოლოდ ჟღერადობით კი არა, შინაარსითაც ახლო მდგომი ცნებებია, ერთი ძირის სიტყვებია („ცოდ“); უცოდნელი კაცი უცოდველი არის და ამას, შენც კარგად მოგეხსენება, ჩვენი ანდაზებიც გვიმტკიცებენ: „ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებოა“; „არ ვიცი ერთია და ვიცი – ათასი“; „ვიცის ღედა ტიროდა და არვიცისა – იცინოდო“; ცოდნა სულ იოლად შეიძლება იქცეს ღვთის სასჯელად (აქ არ შეიძლება გონებაში „ხე ცნობადისა“ არ წამოტივტივდეს). დიდი ცოდნის ზიდვა მხოლოდ გამორჩეულებსა და განლობილებს შეუძლიათ...

გ. გ. – რა გამოდის, თამაზ: დღეს რომ აღიარებენ, ცოდნის დონე დაეცაო, სადღეისოდ განათლების სისტემა დაქვეითდაო, ეს კეთილშობილურ მიზნებს ისახავს მიზნად?! ვხუმრობ, ცხადია, საინტერესო მსჯელობაა, ოღონდ ამ მიმართულებით ნუ წავალოთ ახლა...

თ. ხ. – ერთ ამბავსაც გეტყვი ხალხური სიბრძნიდან: ქიზიყში ოდესღაც არსებული დიდი თქმულებებისა თუ მითების ნამსხვრევებმა ჩემს ბავშვობამდეც მოაღწია, რომლის ფიქსაცია, როგორც ვიცი, სამწუხაროდ, არავის უცდია და უკვე დაიკარგა. ერთ ასეთ ნამსხვრევს აქ გავიხსენებ, ეს მაინც გადარჩეს.

მაშინ ჯერ სკოლაში არ დავდიოდი, სოფელში ვცხოვრობდით და საქონელიცა გვყავდა; ეზოს გარეთ, ჩვენს გასადევარზე, გვება ხოლმე ღორი. ზოგჯერ, როცა მშვენიერი ამინდი იდგა და ავღრისა არც მიწასა და არც ცას არაფერი ეტყობოდა, ღორი უცებ ატეხავდა ჭყვივლს, შინისაკენ იწვედა, პალოს მოგლეჯას უპირებდა. დედაჩემი დამიძახებდა და მთხოვდა: წადი, აუშვი, ცოდოა, მალე ალბათ ქარი ამოვარდებაო. ღორი არასდროს ცდებოდა. გაოცებული ვეკითხებოდი დედას: რა იცის ღორმა, რანაირად იგებს, ქარი რომ იქნება-მეთქი. შვილო, ქარს წინ ეშმაკი მოუძღვის, ის აძლევს მიმართულებას, სად რა მოსპოს და წაახდინოს. ეშმაკი გაუძლისად საშინელი შესახედავია. სანამ ქარი ჩვენამდე მოაღწევს, ღორი წინ მომქროლავ ეშმაკს ხედავს და ვერ უძლებს შეხედვას, ცდილობს, სადმე შეძვრეს და დაიძალოსო. ღორი თუ ხედავს, ჩვენ რატომ ვერ ვამჩნევთ, მიკვირდა მე. იმიტომ რომ ღორი ღორის რძით არის გაზრდილი. ვინც გაბედავს და ღორის რძეს დაღვეს, ეშმაკსაც დაინახავს, ეცოდინება, როგორია, მაგრამ გაუძლებს ამ ცოდნას? არა მგონია...

მე ვერ გაგებდე, გოგი, ღორის რძის დაღვეა...

გ. გ. – ერთ ხალხმრავალ სუფრასთან ქართველი მწერლები ვადღეგრძელებე. ცნობილი გეოლოგი ივერი წულუკიძე შემეხმიანა, მკითხველების სადღეგრძელოც თქვი, ორიოდედა დავრჩითო... არის რაღაც სიძართლისა ამ „ტრაგიკულ“ ხუმრობაში... ხუმრობა იქით იყოს და, ნაირა გელაშვილი წერს ერთგან, „**კარგი მწერალი მეტია, ვიდრე კარგი მკითხველი**“... რას იტყვი; როგორც მწერალი, გრძნობ მკითხველთა სიმცირეს? და საერთოდ რა შეგიძლია თქვა მათზე?

თ. ხ. – ის, არცთუ მრავალრიცხოვანი წრე მკითხველებისა, ვისთვისაც ვწერ და ვინც სტიმულს მაძლევს მუშაობი-

სას, ყოველთვის ჩემთან არის; მაგრამ მკითხველად მხოლოდ ის ხომ არ იგულისხმება, დროის მოცემულ მონაკვეთში რომ წაიკითხავს ტექსტს, თანამედროვეებთან ერთად ძვირფასი გარდასულებიც გვერდით მყვანან: „რომ წაეკითხათ, რას იტყოდნენ?“ და ბაღიშიშვილებიც: „თუ წაიკითხავენ, რას იტყვიან?“

და ზოგადად, ვინ არის მკითხველი?

არცთუ იშვიათად შევხვედრივართ ისეთ ადამიანებს, საოცარი სმენა რომ აქვთ, სულ მცირე ფაჩუნნი და შრიალი არ გამოეპარებათ, მაგრამ მუსიკის აღსაქმელად მათი ყური უძლურია. ზოგჯერ ასეთებს სიმღერაც შეუძლიათ, ცეკვაც, მაგრამ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, ან თუნდაც ჯორჯ გერშვინის ცისფერი რაფსოდის მოსმენა ერთ სიმსაც ვერ შეარხევს მათ სულში. ის კი არა, ძალით თუ მოასმენინებ, სასჯელად მიიჩნევენ...

ისეთი ხალხიც არსებობს, ქორივით მხედველობა რომ აქვთ, მათ მზერას რეალობიდან არაფერი გამოეპარება, მაგრამ საათობით რომ უყურონ ფიროსმანის ან ვან გოგის ნახატებს, იმაზე მეტს ვერაფერს შეამჩნევენ, რაც ჩანს. მხატვარი და კომპოზიტორი (გნებავთ ხელოვნების სხვა დარგებში მომუშავენი) ასეთებს ნაკლებად უწევენ ანგარიშს...

ამბობენ, უილიამ შექსპირის დროს სოფლად მცხოვრებთა უმეტესობა (ვინც იმდროინდელი ინგლისის უძრავლესობას წარმოადგენდა) დაბადებიდან გარდაცვალებამდე მხოლოდ ორასიოდე სიტყვას იყენებდა, მეტი არა სჭირდებოდაო; შექსპირს კი თავის შემოქმედებაში სამოცდაათიათასამდე ლექსიკური ერთეული აქვს ნახმარი. რა ექნა მწერალს, იმასაც ორასიოდე სიტყვით დაეწერა თავისი ნაწარმოები იმის შიშით, რომ ყველასათვის გასაგები ვერ იქნებოდა?

თავის დროზე ერთი ქართველი კრიტიკოსი მართებულად წერდა: „ქართულ კულტურას მეშინაობამ რამდენიმე შემხუსვრელი დარტყმა მიაყენა ჩვენს საუკუნეში (მეოცე საუკუნეში – თ. ხ.). მთელი რიგი პირველხარისხოვანი ტალანტებისა სამუდამოდ დამახინჯდა იმის გამო, რომ იოლი წარმატების ცდუნებით მოხიბლულ ხელოვანს ძალა არ ეყო, წინააღმდეგობა გაეწია მკითხველთა გარკვეულ წრეებში გაბატონებული გემოვნებისათვის“.

და მაინც, გაგიკვირდება და, საბოლოოდ იმას ვიტყვი: არცთუ ცოტაა მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი ბრწყინვალე ქმნილებები, რომელთა კითხვისას მკითხველთა გარკვეულ ნაწილს ვერაფერი გაუგია და ამას ნაწარმოების ნაკლად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ნეტარება იმ ავტორს, ვისი შემოქმედების გაცნობისას ყველანაირი მკითხველი რაღაცა სათავისოს იპოვის და გამოიტანს. ეს უდავო ღირსებაა ნაწარმოებისა და არც ასეთებია სანთლით საძებარი მსოფლიო ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურში...

გ. გ. – თამაზ, გაგვიგრძელდა საუბარი... საოცრად შთაბეჭდავია კატამონთან მოსმენილი ხმა, დედაენას რომ მიმართავს პოეტი: „შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთანო!“... და რადგანაც ასეა, ხშირად მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი „იქამდე“... დღეს ამით დავასრულოთ...

თ. ხ. – მადლობელი ვარ შენიც და ჩვენი მომავალი მკითხველისაც!

მნა – ულმოზმლი მსაჯული

საუბარი კრიტიკოს ლევან ბრეგაძესთან

გიორგი გოგოლაშვილი: – ლევან, XIX-XX საუკუნეების ლიტერატურულ ცხოვრებაში ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, ენობრივ საკითხებზე დავა, კამათი, პოლემიკები ხშირი იყო. როგორ ფიქრობ, ეს ეპოქის გამოწვევა იყო და იმიტომ უთმობდნენ ამდენ დროს ენის პრობლემებს მწერლები, თუ პერსონალურად შემოქმედთა ინიციატივებია?

ცნობილია მიხეილ ჯავახიშვილის აზრიც: „სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“... და აღარ მიკვირს, როცა ასეთ დასკვნას აკეთებს მწერალი: „თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭიერ მწერალსაც აჯობებს“. შენ რას ფიქრობ?

ლევან ბრეგაძე: – მეც ასე ვფიქრობ. მეტსაც ვიტყვი: ვერც კი წარმომიდგენია ნიჭიერი მწერალი, რომელმაც ის ენა, რომელზეც წერს, კარგად არ იცის. მწერლობის სიყვარული შესაძლოა ენის სიყვარულით არ დაიწყოს, მაგრამ აუცილებლად გადაიზრდება ენის სიყვარულში. ენის სიყვარული არამწერალსაც შეიძლება „დაემართოს“, იმდენად საინტერესო მოვლენაა ენა (ნებისმიერი სიტყვის თავგადასავალი ოდისევსის თავგადასავალს არ ჩამოუვარდება!), ხოლო მწერლისთვის, ვისთვისაც ენა ძირითადი სამუშაო (თუ საბრძოლო?) იარაღია, იგი მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის საგანი უნდა

იყოს, რათა ეს იარაღი არ დაუჟანგდეს, არ დაუჩლუნგდეს. მწერალი, რომელიც ვირტუოზულად ვერ ფლობს ენას, რომელზეც წერს, იმ ფეხბურთელს ჰგავს, რომელიც ბურთს ვერ ფლობს ოსტატურად. შეიძლება ასეთი ფეხბურთელი არსებობდეს?! ყოველ შემთხვევაში, სერიოზული გუნდის შემადგენლობაში მონხვედრაზე ვერც იოცნებებს!

ენის საკითხებით დაინტერესებას რაც შეეხება, დღეს უცნაურ ვითარებას ვამჩნევ: **მწერლებზე მეტად მკითხველები არიან ამით დაინტერესებული.** ეს კარგად ჩანს სოციალურ ქსელებში, და მახარებს მე ეს ამბავი ძალიან!

გ. გ. – ისევ კლასიკოსი: კონსტანტინე გამსახურდია ლიტერატურულ კრიტიკაზე ასეთ აზრს გამოთქვამს: „მე არ მახსოვს, ოდესმე წამეკითხოს გარჩევა რომელიმე მწერლისა, სადაც ჯეროვნად განხილული ყოფილიყო ენის თვალსაზრისითაც“; „შენ როგორ ფიქრობ, სამართლიანია ეს საყვედური კრიტიკის მიმართ? მართალია მწერალი? იდეურ-მხატვრული განხილვა ნაწარმოების ენობრივი ანალიზის გარეშე შეიძლება იყოს სრულყოფილი?“

ლ. ბ. – „სრულყოფილი იდეურ-მხატვრული“ ანალიზისას (მაგალითად, თუ მონოგრაფიულად შევისწავლით ნაწარმოებს), ცხადია, ენაზე საუბარი აუცილებელია, მაგრამ რეცენზიის წერისას ყოველთვის არა – მწერალს გააჩნია და ტექსტსაც (ენობრივ მხარეზე ყურადღებას მაშინ უფრო ამახვილებენ, როცა უარყოფით რეცენზიას წერენ). კონსტანტინე გამსახურდიაზე, ოთარ ჩხეიძეზე, გურამ ღოჩანაშვილზე, აკა მორჩილაძეზე წერისას ენას გვერდს ვერ ავუვლით, ვინაიდან **ენა ამათთან ლამის პერსონაჟია.** მაგრამ ყველა მწერლის ნაწარმოების შეფასებისას ენაზე საუბარი შეიძლება არც იყოს საჭირო.

ახლა გონებაში გადავავლე თვალი ჩემს რეცენზიებს და, მგონი, იშვიათად მომხდარა მათში მწერლის ენის თავისებურების შესახებ არაფერი მეთქვას. ერთი ბეწო რეცენზია მაქვს გამოქვეყნებული გურამ გეგეშიძის რომანზე „ნაცრის კოშკი“ და იქაც კი მომიხერხებია თხრობის მანერის თაობაზე ორიოდ სიტყვის თქმა:

„...[გურამ გეგეშიძე] ამომწურავად გადმოსცემს სათქმელს, აზრს გულმოდგინედ არგებს სიტყვიერ სამოსს, მე-19 საუკუნის რეალისტების ყაიდაზე. მისთვის უცხოა ამჟამად ესოდენ გავრცელებული ენობრივი ექსცენტრიკა. (მე-19 საუკუნის ქართული პროზის სტილთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს წინადადების დაწყება პირის ნაცვალსახელს მიღვენებული ზმნით: „ის იყო მეტისმეტად ჩუმი ბიჭი, არც უნდოდაძეებს ჰგავდა და არც ვარდანიძეებს“, „ისინი შეექცეოდნენ ფრანგულ ღვინოსა და კონიაკს“... მაგრამ ამ კონსტრუქციასაც ზომიერად მიმართავს, რათა პაროდია არ გამოუვიდეს“).

გიორგი ცოცანიძის წიგნის „მეცხვარული ნოველების“ რეცენზიაში დამიწერია:

„ახლა ენა, ენა რომლითაც თხრობენ ამ წიგნის პერსონაჟები? ეს ენა ისე განსხვავდება ჩვენი სასაუბრო მეტყველებისაგან, როგორც მთის ანკარა წყაროს წყალი განსხვავდება გემოთი ჩვენს ონკანში მომდინარე წყლისგან!“

გ. გ. – ძალიან სასიამოვნო მოსასმენია, რასაც ამბობ, ლევან... ცხადია, კონსტანტინე გამსახურდია არ გულისხმობს ლევან ბრეგაძეს... სამწუხაროდ, მე სხვა მაგალითს ვერ გავიხსენებ. მწერლის ენის შესახებ მონოგრაფიებშიც კი ან არაფერს ამბობენ, ან ძალიან ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდებიან; გარდა... ვაჟა-ფშაველასი და ოთარ ჩხეიძისა... აქაც შაბლონური ფრაზები... ორიოდ წინადადებით და ერთნაირად ახასიათებენ დ. კლდიაშვილისა და ე. ნინოშვილის ენასაც...

ლ. ბ. – თომას მანის ერთი გამონათქვამი მიყვარს ძლიერ, რამდენჯერმე მაქვს ციტირებული და აქაც გავიხსენებ: „ყოველი ახალი რომანის დაწერა ჩემთვის გერმანული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება არისო“, ამბობს დიდი მწერალი. საბედნიეროდ, ჩვენც გვყავს მწერლები, რომლებიც ენის მიმართ სწორედ ასეთი დამოკიდებულებით გამოირჩევიან. მარტო რუსთაველსა და სულხან-საბას არ ვგულისხმობ – თანამედროვენიც მყავს მხედველობაში, რომლებსაც ახლა არ დავასახელებ...

გ. გ. – მოდი, კითხვა ასე შევაბრუნო: ვფიქრობ, ლიტერატურის კრიტიკოსისათვის ქართული ენის სპეციალისტის დონეზე ცოდნა (როგორადაც მე ვთვლი ლევან ბრეგაძეს) დიდი პლუსია; შენი აზრით, იგრძნობა ენობრივი განათლების დეფიციტი ჩვენს კრიტიკოსებში?

ლ. ბ. – რამე განსაკუთრებულ ნაკლს ჩვენს კრიტიკას ამ თვალსაზრისით ვერ ვამჩნევ. უცხო სიტყვებითა და ტერმინოლოგიით მეტისმეტი გატაცება, მეტადრე ახალგაზრდულ ასაკში, კრიტიკოსთა და ლიტმცოდნეთა პროფესიული სენი რომ არის, ეს ცნობილია. ბევრი მათგანი მოგვიანებით ირონიით იხსენიებს თავის ამ „ცოდვას“.

ნაკლის რა მოგახსენო, მაგრამ ერთ გასახარებელ ღირსებაზე ვიტყვდი ორ სიტყვას. ჩვენი ლიტერატურის კრიტიკოსთა ენა სულ უფრო და უფრო „მწერლური“ ხდება. მეტს ფიქრობენ სტილზე, გამოსახვის მანერაზე, რის გამოც მათი ხელიდან გამოსული ტექსტები მოთხრობებივით თუ ნოველებივით იკითხება. თუ ადრე ასეთი რამ იშვიათი გამოჩაგვის იყო, ახლა ბევრ კრიტიკოსზე შეიძლება ამის თქმა.

გ. გ. – ლევან, როგორ ფიქრობ, ენობა მწერლობა კრიტიკას? ანა კალანდაძე უპირატესობას მკითხველს ანიჭებს: „მკითხველის აზრი თუ კრიტიკოსისა? ამათგან რომელს მი-

ვცემდი უპირატესობას? კეთილგანწყობილი და ობიექტური კრიტიკა ავტორს ყოველთვის ჩააფიქრებს, მაგრამ ხალხის აზრი, დამეთანხმებით, მეტია! ხმა ღვთისა და ხმა ერისაო...“. პოეტის აზრით, ხალხი ყველაზე მკაცრი და მოუსყიდველი მსაჯულია; მას იშვიათად თუ უმტყუნებს გემოვნება... ეს როგორ გავიგოთ? – კრიტიკოსს შეიძლება უმტყუნოს გემოვნებამ?

ლ. ბ. – ამ საკითხში კრიტიკოსიც შეიძლება შეცდეს და ხალხიც. ამიტომ მხატვრული ტექსტის ერთი და ორი შეფასებით ვერ დავკმაყოფილდებით. ერთ ლიტერატურულ მოვლენაზე რამდენიმე განსხვავებული აზრის არსებობა სავსებით ბუნებრივია, თანაც ეს აცოცხლებს, მიმზიდველს, საინტერესოს ხდის ლიტერატურულ ცხოვრებას. ობიექტური აზრი ამა თუ იმ მწერალსა თუ მათ ცალკეულ ქმნილებებზე, ჩვეულებრივ, მოგვიანებით ყალიბდება. ამას დრო სჭირდება.

გ. გ. – ქ-ნ ანა, როგორც ჩანს, დიდად გაანაწყენეს კრიტიკოსებმა (მისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე); ამას ასეთი მსჯელობაც მოჰყვა: „კრიტიკულ წერილში, ალბათ ისე, როგორც ყველას, მეც სიმართლე მხიბლავს, რაც ამავე დროს კრიტიკოსის უტყუარი ალღოს მაჩვენებელიცაა. ამ დროს ხდება ხოლმე კრიტიკოსისა და ავტორის აზრთა ბედნიერი დამთხვევა. როცა ავტორს საკუთარ ნაფიქრსა და წარმოსახულს მიაწერ, ეს უკვე სიცრუეა (ნებისითი თუ უნებლიე)... **შენი გაჭვდილი ხატის ამბავი შენზე უკეთ სხვას ვის ეცოდინება?..**“ სამართლიანი გეგვენება პოეტის პრეტენზია კრიტიკის მიმართ?..

ლ. ბ. – არა, არ მეჩვენება სამართლიანი! ჩვენი გაჭვდილი ხატის „ამბავი“ ჩვენზე უკეთ იცის ხელოვნებათმცოდნემ, ხოლო ჩვენი დაწერილი ლექსის „ამბავი“ – ლიტერატურათმცოდნემ, კრიტიკოსმა. ეს იმიტომ, რომ თავისი ნახელავის

ობიექტურად შეფასება ადამიანს ძალიან უჭირს. ლიტერატურის ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის იმისა, როცა ავტორები თავიანთ იმ თხზულებებს, რომლებითაც ისტორიას შემორჩნენ, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და უფრო ისინი ეიმედებოდნენ, დღეს რომ მართებულად არიან დაეწეებულნი.

გარდა ამისა, ავტორმა შესაძლოა ვერ იგრძნოს, რომ მისი ჩანაფიქრი და საბოლოო შედეგი ერთმანეთს არ დაემთხვა, რაც ხშირად ხდება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, რომელთაგან ერთს დავასახელებ – ყველაზე უფრო „ლიტერატურულს“. დასრულებული მხატვრული ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის სხვადასხვა მიზეზით მყარდება გაუთვალისწინებელი მიმართებები, რომელთაც აზრის მიმნიჭებელი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, რომელიმე სიტყვის ან გამოთქმის გამეორებამ სხვადასხვა ეპიზოდში შესაძლოა ამ ეპიზოდებს შორის აზრით დატვირთული კავშირი გააბას, ისეთი, რომელიც ავტორის „გეგმაში“ არ შედიოდა. თუ ეს „დაუგეგმავი“ აზრი ხელს უშლის მხატვრული იდეის წარმატებით ხორცშესხმას, ის უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ნაკლი; ხოლო თუ ამგვარი რამ სიღრმეს მატებს ავტორის ჩანაფიქრს, მისი შემჩნევა კრიტიკოსს უნდა დავუფასოთ. ჩემი დაკვირვებით, მსგავს სიტუაციებში ავტორები ასე იქცევიან: თუ მოეწონათ აზრი, რომელიც მათგან დამოუკიდებლად გაჩენილა და კრიტიკოსმა ეს ამოიკითხა, იტყვიან, დიახ, ეს ჩვენს ჩანაფიქრში შედიოდაო, ხოლო თუ არ მოეწონათ, გააპროტესტებენ, ამგვარი რამ ფიქრადაც არ გამივლიაო. ორივე შემთხვევაში მათ უჩნდებათ ეჭვიანობის მსგავსი განცდა იმის გამო, რომ მათი „გაჭვდილი ხატის ამბავი“ ვიღაცამ მათზე უკეთ იცის.

და კიდევ: აუცილებლად უნდა ვახსენოთ ლიტერატურული გავლენები, რაზე მინიშნებაც ძალზე აღიზიანებთ მწერ-

ლებს! ლიტერატურულ გავლენებს ის თვისება აქვთ, რომ, ჩვეულებრივ, მათ სხვის შემოქმედებაში გამჩნევთ და საკუთარში – ვერა.

* * *

გ. გ. – ლინგვისტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა მომიჯნავე დარგები კია, მაგრამ რეალურად რამდენად მჭიდროა მათი ურთიერთკავშირი, მათი, ასე ვთქვათ, ძმობა? ღრთთა განმავლობაში ისინი უახლოვდებიან თუ შორდებიან ერთმანეთს?

ლ. ბ. – უახლოვდებიან. პოსტსტრუქტურალისტურ ეპოქაში, ანუ ჩვენს „მშობლიურ“ ხანაში, როცა „ავტორის სიკვდილის“ ერთი შეხედვით უცნაური თეორია წამოაყენეს, ეს „მკვლარი“ ავტორი რით ჩაანაცვლეს? ენით, ენით ჩაანაცვლეს! ავტორი კი არა, ენა წერსო! რა საინტერესოა, არა?

გ. გ. – ცოტა უფრო მეტს ხომ არ იტყვი ამ „უცნაური თეორიის“ შესახებ? „მკვლარი ავტორის“ ენით ჩაანაცვლებას ვგულისხმობ.

ლ. ბ. – კარგი. აი ციტატა **როლან ბარტის** სტატიიდან „ავტორის სიკვდილი“ (1967):

„საფრანგეთში პირველი ალბათ მალარმე იყო, ვინც სრულად დაინახა და წინასწარ განჭვრიტა იმის აუცილებლობა, რომ თავად ენა დაეყენებინათ ამ ენის მფლობელის ადგილას. მალარმე მიიჩნევს – და ეს თვალსაზრისი ემთხვევა ჩვენს დღევანდელ წარმოდგენას – რომ **ლაპარაკობს არა ავტორი, არამედ ენა** – როგორც ასეთი; წერა, თავის საფუძველში, უპიროვნო საქმიანობაა (ეს უპიროვნობა არამც და არამც არ უნდა აგურიოთ მწერალი-რეალისტის გამოფიტულ ობიექტურობაში), რომლის მეოხე-ბითაც უკვე არა „მე“, არამედ თავად ენა მოქმედებს, „პერფორმირებს“; მალარმეს მთელი პოეტიკის არსი იმაში მდგომარეობს,

რომ გააუქმოს ავტორი და იგი წერით შეცვალოს...“ (მალხაზ ხარბელიას თარგმანი).

ეს ნიშნავს, რომ ენა, მწერლის სამუშაო იარაღი, რომელიც თავად არის სხვადასხვა ყაიდის შემოქმედების, მათ შორის ხატოვანი აზროვნების, პროდუქტი, პოეტს მისი (ამ იარაღის) გამოყენების პროცესში **იღუმალ უბიძგებს იდეებისაკენ, აზრებისაკენ**. ამ ფორმატში მეტის თქმას ვერ შევძლებთ „ავტორის სიკვდილის“ იღუმალებით მოცული თეორიის შესახებ. თუმცა, მოდი, **ჰაიდეგერის** ფორმულაც გავიხსენოთ, „ენა ყოფიერების სახლიაო“, რომ ამბობს, ანუ ჩვენ, **აღამიანები, ენაში ვცხოვრობთ**. და კიდევ გასული საუკუნის სხვა დიდი მოაზროვნის, **ჰანს გეორგ გადამერის** ორი გამონათქვამი მახსენდება: 1. „ენა ის გარემოა, სადაც „მე“ და სამყარო ერთიანდება“, და 2. „ვისაც აქვს ენა, „აქვს“ სამყაროც“.

რა ვიცი, თუ ეს ყოველივე „ავტორის სიკვდილის“ თეორიის გასაგებად არ გამოგვადგება, ენის მნიშვნელობაზე, მის შესაძლებლობებზე (უფრო სწორად: ენის კარგად, მარჯვედ მფლობელის შესაძლებლობებზე) ხომ მაინც დაგვაფიქრებს.

* * *

გ. გ. – ოთარ ჩხეიძე ამბობს – „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“; „გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია“... ამჩნევ დღეს ამგვარ სურვილს მწერლობაში?

ლ. ბ. – უცნაურია, მაგრამ სიტყვის გამომსახველობითი ძალა ზოგჯერ ერთობ ძლიერდება იმით, რომ მას არასწორი ფორმით ვიყენებთ. ეპიკური თეატრის შემქმნელს **ბერტოლტ ბრეხტს** აქვს თეორიული ნაშრომი „მცირე ორგანონი თეატრისთვის“, რომლის შესავალში იგი წერს: **ახალი თეატრის ესთეტიკა** ისე განსხვავდება ძველისაგან, რომ ახალი თეატრისთვის, მგონი, ჯობდა „თაეტრი“ გვეწოდებინაო. მის მიერ გამოგონებული ამ სიტყვით, რომელიც ასოთა გადასმით არის

მიღებული, მან „ხატოვანად“ გამოთქვა აზრი – ახალ ესთეტიკაზე დაფუძნებული თეატრი თან არის და თან არც არის ის, რასაც თეატრი ერქვა!

თანამედროვე ქართველი პოეტებიც და პროზაიკოსებიც ხშირად მიმართავენ ასეთ უცნაურ სიტყვათწარმოებას, გრამატიკულ და ორთოგრაფიულ ნორმებსაც არღვევენ მეტი ექსპრესიის მისაღწევად. **ენობრივ ექსცენტრიკას** ვეძახით ამას, რომელიც უფრო ფართო ცნების – სიტყვით თამაშის – სახეობაა. მაგალითად, ზვიად რატიანის ერთი ლექსის სათაურია „**შრომაღამე**“ – საბჭოურ-საკოლმეურნეო „შრომაღლის“ ანალოგიით შექმნილი სიტყვა (ლექსი ეძღვნება პოეტის ღამეულ შემოქმედებით წვას). ანდა გავიხსენოთ მისივე „ეს **ამსიყვითლე** შემოდგომა“; ნინო დარბაისელის „**ცრემლდიღობა**“ („წყალდიღობის“ ანალოგიით) და „**დილისპირული**“ („ძილისპირულის“ ანალოგია); პაატა შამუგიას „**შენოცენტრიზმი**“ („ეგოცენტრიზმის“ საპირისპიროდ) და მისივე „მწერ, რომ მე აღარ **მე-შენთან-ება**“; დათო მალრაძესთან შეხვედები უხვად უჩვეულო, ორიგინალურ სიტყვათქმნაობებს: „საიდუმლო და **სახანდახანო**“, „სანაპიროს რომ **ითავშესაფრებს**“... აი სახელდახელოდ ჩვენი პოეტების ეს ენობრივი „ფინტები“ გამახსენდა – წელან მწერლის მიერ ენის ფლობა ფეხბურთის ოსტატის მიერ ბურთის ფლობას ხომ შევადარეთ!

გ. გ. – ერთი ასეთი „უცნაური“ ფორმა მინდა გაგახსენო „ვეფხისტყაოსნიდან“: „ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ **იე**“ (ფატმანი წერილს სწერს ნესტან-დარეჯანს). **იე** კლასიკური მაგალითია ოკაზიონალური ფორმისა (სხვაგვარად „პოეტურ ლიცენციასაც“ რომ ეტყვიან). მისი გრამატიკული ანალიზი აბსურდამდე მიგვიყვანს... ამგვარ რაიმეს „**ენობრივ თავისუფლებასაც**“ ეძახიან... მოდი, პრობლემა ამ კუთხით დავინახოთ: კლასიკოსი მწერლები არღვევენ ენობ-

რივ ნორმებს და ამართლებენ თავიანთ ქმედებას; ამტკიცებენ, ასეაო სწორი (ვაჟა-ფშაველა, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია...)... მაგანნი საუბრობენ „ენობრივ თავისუფლებაზე“... როგორ გესმის მწერლის „ენობრივი თავისუფლება“? რეალურია საერთოდ ასეთი ცნება (თავისმართლება)? რა განსაზღვრავს მის ფარგლებს?... „ნიჭიერება?“ თუ ეს ნიჭიერთათვის „გამოგონილი შეღავათია“?

ლ. ბ. – ვფიქრობ, ნიჭიერება განსაზღვრავს, ოღონდ „შეღავათის“ გარეშე! ენობრივი ექსცენტრიკის ნიძუშები სახალისო საკითხავს ხდის მხატვრულ ტექსტს. ოკაზიონიზმების შექმნისკენ მიდრეკილება თითქოს ხომ სპეციფიკური მწერლური ნიჭია, მაგრამ ფსიქოლოგებს შენიშნული აქვთ, რომ, ისინი, ვისაც სიტყვის თამაში ეხერხება, ბევრ სხვა სფეროშიც წარმატებულნი არიან. სიტყვათქმნადობისკენ მიდრეკილება ზოგადად ქმნადობისკენ მიდრეკილების ნიშანი უნდა იყოს.

გ. გ. – ლევან, ოციოდე წლის წინათ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ შენი წერილი დავბეჭდე: „ენა – უღმობელი მსაჯული“. ორიოდე ამონარიდს დავიმოწმებ: „ამ ბოლო დროს მასმედიის ენას ისეთი შეცდომები მოეძალა, წინათ რომ ძალზე იშვიათად ან სრულიად არ გვხვდებოდა“... „**ოცი-ოცდაათი წლის წინ ასეთი შეცდომები მხოლოდ უბირ, წიგნთან მეტისმეტად მწყრალად მყოფ ადამიანებს მოსდიოდათ...**“, რომ „მეტყველება საუკეთესოდ წარმოაჩენს ადამიანის განათლების დონეს, მის სულიერ ავლადიდებას“... დაბოლოს, **იოჰანეს ბეხერს** დაიმოწმებ: „ენა უღმობელი მსაჯულია, მის განაჩენს ვერ გავექცევით, თუკი მას უდიერად მოვექცევით“... კითხვა: **დღეს უკეთესი მდგომარეობაა?**

ლ. ბ. – ზემოთ რაც ითქვა, უმთავრესად მწერლობასა და მწერლებს ეხებოდა, მაგრამ ენა მართო მწერლის იარაღი ხომ არ არის! ენა თითოეული ჩვენგანის იარაღია ცხოვრებაში თა-

ვის გატანის პროცესში, თვითდამკვიდრების გზაზე სიძნელეებთან ბრძოლისას. შემჩნეულია: **ვინც სწორად მეტყველებს, ის უფრო ხშირად აღწევს დასახულ მიზანს.** ენის მიმართ გამოჩენილი დაუდევრობისთვის, გნებავთ, ენის უპატივცემულობისთვის იმით ვისჯებით, რომ ჩვენი მცდელობები წარუმატებლად მთავრდება, მიზნებს ვერ ვაღწევთ. ამას გულისხმობს ბეხერის ფრაზა.

მეკითხები, მასმედის ენაში **დღეს** უკეთესობისკენ ხომ არ შეიცვალა ვითარებაო. **უარესობისკენ შეიცვალა. კატასტროფული მდგომარეობაა!** ბოლო რამდენიმე წელია ვაკვირდები ჩვენი მედიის ენას, ვაგროვებ ყველაზე გავრცელებულ შეცდომებს და მათ ბლოგებში ვაანალიზებ, რომლებსაც მერე „მედიაკრიტიკის“ ვებგვერდზე ვაქვეყნებ. „**მოაბილიზა**“ გაგიგონია? გაგეგონება, ცხადია, წამდაუწუმ ისმის, მოდურ სიტყვად იქცა! ჰოდა, წარმოიდგენდი ასეთ რამეს?! უცხო სიტყვის „**მობილიზების**“ ფუძისეული „**მო**“, ქართულ ზმნისწინ „**მო**“-სთან არის გაიგივებული! მართებული „**მობილიზება** მოახდინა“-ს ან „**მობილიზება** შეძლო“-ს ნაცვლად, „**მოაგვარას**“ და „**მოახერხას**“ ანალოგიით, წერენ და ამბობენ „**მოაბილიზაო**“, ხოლო აქედან აწარმოებენ ფორმას „**აბილიზებს**“! წარმოიდგენდი ამას! და რამდენი ასეთი! კატასტროფაა-მეთქი, გეუბნები!

გ. გ. – ახლახან „ფართომასშტაბიანი ბრძოლა“ გამოუცხადეს ბარბარიზმებს... ბარბარიზმი დღეს პრობლემაა? ხომ არ გაჭირდა ბარბარიზმსა და ნეოლოგიზმს შორის (საერთაშორისო სიტყვებს შორის) ზღვარის გაკლება? (ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგი თითქოს ბარბარიზმად მხოლოდ რუსულიდან შემოსულ სიტყვებს მიიჩნევს)... რა შედეგს ელოდები ამ ბრძოლიდან?

ლ. ბ. – ჰო, ეგენი ერთმანეთისგან ყოველთვის მარტივი გასარჩევი არ არის. ჩვეულებრივ ამ პრინციპით ხელმძღვანე-

ლობენ: რად გვინდა უცხო სიტყვა, როცა გვაქვს მისი ქართული შესატყვისი. მაგრამ საქმე ის არის, რომ უცხო ენიდან შემოსული სიტყვა (ტერმინებზე ახლა ნურაფერს ვიტყვით – ეს ცალკე სალაპარაკოა) ზოგჯერ ისეთ ნიუანსს სძენს „მასპინძელ“ ენაში, მერე მისი „გასტუმრება“ კვლავ ხერხდება. ეს იმიტომ, რომ, როგორც ბესარიონ ჯორბენაძე წერს ერთგან, ენას მოეპოვება პოტენცია, „რაციონალურად გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა მნიშვნელობათა თვით უმცირესი ნიუანსების გამოხატვის მიზნით, თან ისე, რომ ეს გამოხატვა თავიდან იცილებს ორაზროვნებას“.

მაგალითად, მოითხოვენ „ინსპირაციის“ ნაცვლად ვთქვათ „შთაგონება“. ამათი მონაცვლეობით ხმარება ნამდვილად სასურველია, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ „შთაგონება“ ყოველთვის არ არის „ინსპირაცია“, ანუ შემოქმედებითი აღფრთოვანება, სამოქმედოდ განწყობა – ზოგჯერ ის „სუგესტია“ – ჰიპნოზია.

ამრიგად, უცხო სიტყვა თავიდან გვაცილებს მშობლიური სიტყვის პოლისემიით გამოწვეულ უხერხულობას და ამით განიბტკიცებს პოზიციას.

ან კიდევ: „პროგრესი ხომ იგივეა, რაც „წინსვლა“, და სავსებით შესაძლებელია ფრაზაში: „ამ საქმეში დიდი ხანია პროგრესს ვერ ვხედავ“ – ის „წინსვლით“ ჩავანაცვლოთ, მაგრამ ზედსართავ „პროგრესულს“ რას მოუხერხებ, ვერაფრითაც ვერ ჩაანაცვლებ. „პროგრესული მოვლენის“ ნაცვლად „წინსვლურ მოვლენას“ ხომ ვერ იტყვი?

იქ კი, სადაც სემანტიკური დიფერენციაციის თვალსაზრისით „ზარალს“ არ ვნახულობთ, ენა ადვილად ემშვიდობება უცხო სიტყვას. მაგალითად, 50-60 წლის წინ ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო გერმანულიდან შემოსული კომპოზიტი „გროსმაისტერი“ და მისგან ნაწარმოე-

ბი ზედსართავი „გროსმაისტერული“, რომლებიც წარმატებით ჩაანაცვლა „დიდოსტატმა“ და „დიდოსტატურმა“.

მართალს ბრძანებ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბარბარიზმებად მხოლოდ რუსული სიტყვების გამოყენებას მივიჩნევთ. ქართულ მეტყველებაში ინგლისურიდან შემოსული ბევრი სიტყვის (მაგალითად, „ლაითის“, „ლაივის“...) გამოყენება დროთა განმავლობაში ისეთივე უხერხული შეიქნება, როგორც ერთ დროს გავრცელებული „სტოლისა“ და „პოლის“ ხმარებაა დღეს.

* * *

ბ. გ. – XIX და XX საუკუნეებში რამდენიმე პოლემიკა (დისკუსია) გაიმართა ქართული ენის საკითხებზე: XIX საუკუნეში – 60-70-იან წლებში („მამათა“ და „შვილთა“), 90-იან წლებში და მერე (იაკობი და აკაკი „კვალის“ „რაზმთან“ ერთად; აკაკი და ვაჟა...); XX საუკუნის დასაწყისში (გამსახურდია, ჯავახიშვილი და სხვა); 60-იან წლებში – „ენა ძველი, ენა ახალი“ (მწერლებსა და ენათმეცნიერებს შორის)... ყველა ამ დისკუსიამ თავისი საქმე გააკეთა. დედაენის სასიკეთოდ რა თემაზე ისურვებდი დისკუსიას და ვისთან (მანსოვს, ერთხელ თქვი, მიყვარსო პოლემიკა)?

ლ. ბ. – დიახ, მიყვარს. იმიტომ მიყვარს, რომ პოლემიკა ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს. ვისაც ჭეშმარიტება აინტერესებს, კამათში იმისი დამარცხება შეუძლებელია, ვინაიდან ამ ყაიდის ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჭეშმარიტებას თავისით მიაკვლევს თუ სხვა მიაგნებინებს. მას – ჭეშმარიტებასთან მიახლოება ბედნიერების შეგრძნებას ბადებს და მთავარი ეს არის. მე მხოლოდ ამისთვის ვპოლემიკობ.

ვამჩნევ, ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, ენობრივი კალკები პირწმინდად უარყოფით მოვლენად მივიჩნიოთ. სიამოვნებით ვიკამათებდი მასთან, ვინც ასე ფიქრობს.

* * *

ბ. გ. – ჟარგონი რომ უაღრესად საინტერესო სფეროა ენისა, შენზე კარგად ვინ იცის – „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ ავტორი ხარ; შენ ყურადღებას ამახვილებ იმაზე, რომ ქართულში სასკოლო ჟარგონი არაა განვითარებული (სამიოდე მაგალითს ასახელებ), გერმანულში ეს სფერო ძალიან მდიდარია; რამდენადაც ვიცი, ასეა ფრანგულშიც... თარგმნის დროს ეს სერიოზულ პრობლემას არ ქმნის? როგორ აღწევს (თუ აღწევს...) ამ სირთულეს თავს მთარგმნელი... ჟარგონისეული ნიუანსი არ იკარგება? ქართული ენის რა შესაძლებლობით ხდება ამის კომპენსირება?

ლ. ბ. – თარგმანში ბევრი რამ იკარგება, პროზის თარგმანშიც კი, პოეზიაზე რომ არაფერი ითქვას. საზოგადოდ, ზოგი რამ, რაც თეორიულად შესაძლებელია, პრაქტიკულად ვერ ხორციელდება (ჯერჯერობით მაინც!). თარგმანში კი, რაც უნდა უცნაური ჩანდეს, ეს პირიქითაა: თარგმნა **თეორიულად** შეუძლებელია, მაგრამ **პრაქტიკულად** ხერხდება. ეს პარადოქსი იმით აიხსნება, რომ რაიმე საგანსა თუ მოვლენაზე მართებული აზრის შესაქმნელად არ არის სავალდებულო მათი აბსოლუტური სიზუსტით ასახვა. რაღაც შტრიხები რომც დააკლოს, ვთქვათ, პიროვნების გამოსახულებას მხატვარმა (და ისე როგორ იქნება, რომ არ დააკლოს!), მაინც ვცნობთ, ვისი პორტრეტია (ზოგჯერ სულ რამდენიმე შტრიხით თუ მონასმით ახერხებს ამას ხელოვანი). ამის მსგავსი რამ ხდება თარგმანშიც. თარგმანი, ძალიან კარგიც კი, ის არ არის, რაც დედანია, მაგრამ სწორ წარმოდგენას გვიქმნის დედანზე (თომას მანს აქვს ნათქვამი: იმ რომანს რა ვუთხარი, ცუდ თარგმანშიც რომ ინტერესით არ იკითხებო). ოსტატი მთარგმნელი დანაკარგის კომპენსაციას სხვადასხვა საშუალებით ახდენს. მაგალითად, თუ ორიგინალში ისეთი ჟარგონული სიტყვა ან

გამოთქმა შეხვდა, რომლის შესატყვისი მიძღვებ ენაში არ მოიპოვება, მთარგმნელი სხვა ადგილას გამოიყენებს ჟარგონს, ისეთ ადგილას, სადაც დედანში სტილისტურად ნეიტრალური გამოთქმა და ანაზღაურებს დანაკარგს. უმეტეს შემთხვევაში ამით დიდი არაფერი შავდება – ზოგადი შთაბეჭდილება შენარჩუნებულია. იმგვარი კაზუსები, როცა დანაკარგის კომპენსაცია შეუძლებელია, ბევრი არ არის.

თამაზ კვაჭანტირაძე (ისააკ ბაბელის თარგმნისას), დალი ფანჯიკიძე (უღრის პლენცლორფის თარგმნისას), გაიჭუმბურიძე (ჯერომ სელინჯერის თარგმნისას) დიდი წარმატებით ახერხებენ დედნის ჟარგონული ფრაზებისთვის ქართული შესატყვისების მისადაგებას.

გ. გ. – ცოტა გავიღიძოთ: ჩემი ასპირანტი ჟარგონს იკვლევდა და ქუთაისელ რესპონდენტს სთხოვა, განემარტა „ჩალიჩი“. შენს ლექსიკონში „ჩალიჩობს“ ასეა განმარტებული: „ცდილობს რისამე გაკეთებას – ვაინაჩრობს, ცოდვილობს“... ვრცლად მსჯელობ „პონტზე“ (ტყუილი, ბლეფი; ამბავი...). **ჩალიჩი** ქუთაისელმა ყმაწვილმა ასე განმარტა: „**უპონტო პონტის პონტად ქცევას ჩალიჩი ჰქვია**“. რას იტყვი ამ განმარტებაზე? სწორია რესპონდენტისეული გაგება ამ სიტყვებისა? თუ „გადმოითარგმნება“ ეს განმარტება: „უპონტო პონტის პონტად ქცევა“? (თენგიზ ჩანტლაძის სკეტჩი მახსენდება...).

ლ. ბ. – კი, თარგმნა შეიძლება, ოღონდ „პონტის“ ყველა მნიშვნელობა უნდა მოვიშველიოთ – ეს ხომ პოლისემანტიკური ჟარგონული სიტყვაა! დიახ, ტყუილის, ბლეფის გარდა პონტი ქართულ ჟარგონში „ამბავსაც“ ნიშნავს, ხოლო ზოგჯერ „შეუძლებელსაც“ (მაგალითად, ამ ფრაზაში: „პონტია ის ამაზე დავკთანხმდეს!“). ჰოდა, „უპონტო პონტის პონტად ქცევა“ ასე ითარგმნება: „შეუძლებელი ამბის შესაძლებლად ქცევა“. და, მართლაც, ჟარგონული სიტყვა „ჩალიჩი“ შესაძ-

ლოა განიმართოს როგორც „შეუძლებელი ამბის შესაძლებლად ქცევის მცდელობა“. რატომაც არა! მომწონს!

* * *

გ. გ. – ლევან, ახლახან პრემია „საბა“ მიიღო ახალგაზრდა ქალბატონის რომანმა; იყო ძალიან საინტერესო დადებითი შეფასებებიც, მაგრამ სერიოზული აჟიოტაჟი ატყდა რომანში ზღვარსგადასული ბილწსიტყვაობის გამო... და ეს არ არის პირველი შემთხვევა სკაბრეზული ლექსიკის გამოყენების გამო ატეხილი ხმაურისა... რასთან გვაქვს საქმე?

ლ. ბ. – მომავალი საუკუნეების მკვლევრებს არ გაუჭირდებათ თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების დათარიღება, მაშინაც კი, გამოცემის წელი მითითებული რომ არ იყოს წიგნზე: სავსეა ტექსტი ბილწსიტყვაობით? ესე იგი, მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე ადრინდელი ვერ იქნება! ოდესღაც დავწერე კიდევ, ჩვენს მწერლებს თურმე იმისთვის უნდოდათ თავისუფლება, რომ გენიტალიების ხსენებით ეჯერებინათ-მეთქი გული თავიათ ნაწერებში!

როგორც ეს ხშირად ხდება, აქაც **განათლებისა და სწორი აზროვნების დეფიციტთან გვაქვს საქმე**, კერძოდ, **სიტყვის ტაბუსა და ევფემიზმის არსის გაუგებრობასთან**. ეს უაღრესად საინტერესო მოვლენები (ტაბუ და ევფემიზმი) საქმეში ჩაუხედავ ხალხს ჩამორჩენილობა ჰგონია და ამის გამო ზედმეტად მიაჩნია ისინი. ახლა ბევრს არაფერს ვიტყვი ამის გამო და მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიყვან გამოჩენილი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის **კარლ გუსტავ იუნგის** წიგნიდან „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც სხვა დროსაც დამიმოწმებია. ეს ფრაგმენტი საკმარისი უნდა იყოს ტაბუსა და ევფემიზმის დანიშნულების გასაგებად:

„მე ჩემს თავს ვერასოდეს ვაიძულებდი, სექსუალური სფეროსთვის ამდენი ინტერესი დამეთმო (...). ეს ნევროტიკუ-

ლი სისულელეა, ნორმალური, ჭკუადაძვლარი ხალხი ამაზე დიდხანს არ საუბრობს ხოლმე, ასეთი რაღაცების შესახებ დიდხანს მსჯელობა ბუნებრივი არაა. პრიმიტივები (იგულისხმება ე. წ. არაცივილიზებული ტომის წევრები. – ლ. ბ.) ამ მხრივ ძალიან თავშეკავებულნი არიან. ისინი სქესობრივ ურთიერთობაზე ისეთი სიტყვით მიუთითებენ, რომელიც იმასვე ნიშნავს, რასაც „ჩუ!“. სექსუალური ამბები მათთვის ტაბუა და ასევეა ჩვენშიც, როცა ბუნებრივად ვიქცევით“ (ირინა ჯიოევის თარგმანი).

და კიდევ: ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სიტყვის ტაბუ და პოლიტიკური ტაბუ. პოლიტიკური ტაბუ დიასაც დასარღვევია, ვინაიდან ის უმეტესწილად ადამიანთა ჩაგვრას ემსახურება, რითაც მჩაგვრელთა ინტერესებს იცავს. **სიტყვის ტაბუ კი ადამიანში ადამიანურობის დაცვისთვისაა მოწოდებული**, კერძოდ, ტაბუ გენიტალიებსა და სექსუალურ პროცესებზე ამ პროცესებს გაუფასურებისაგან იცავს და **ამით ის იცავს სიყვარულს...**

ანალოგია უცხოურ ლიტერატურასთან არ გამოდგება (თუმცა იქაც კი გასული საუკუნის 70-იან წლებს ვერ ჩავკლებით), ვინაიდან უმთავრეს ევროპულ ენებში გენიტალიებისა და სექსუალური ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები (ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით) უხსოვარ დროშია ტაბუირებული, დღეს მათი ნამდვილი სახელები დავიწყებულია და ისინი „ფსევდონიმებით“ იხსენიებიან, – სიტყვებით, რომლებიც სხვა, ყოფითი, შინაარსის გამოსახატავადაც გამოიყენება და, ამდენად, ყურსაც არ გვჭრის. ეს კი, დამეთანხმები, სულ სხვა რამ არის!..

* * *

გ. გ. – დღეს კრიტიკას ჰყავს ახალგაზრდული თაობა? როგორც კრიტიკოსი, ახალგაზრდა თაობის ლიტერატორთა

შორის გამოარჩევდი ვინმეს? თუ კრიტიკაში (როგორც ადრე „ხუმრობდნენ“) მერე მოდიან, მხატვრულ ლიტერატურაში რომ მოეცარებათ ხელი?..

ლ. ბ. – კრიტიკაში სხვადასხვა გზით მოდიან, მაგრამ ერთი რამ ყველა წარმატებულ კრიტიკოსს საერთო აქვს: ეს არის იმის უნარი, რაც მოსწონს ან არ მოსწონს, განმარტოს კიდევაც, რატომ მოსწონს ან არ მოსწონს. მხატვრული თხზულების მოწონების თუ არმოწონების მიზეზთა ძიება ერთობ აზარტული საქმიანობაა და მიმზიდველიც არის. მაგრამ ამ უნარით ძალიან ძუნწად აჯილდოებს ადამიანებს გამჩენი. კიდევ უფრო ცოტაა ისეთი, რომელიც ამ თავისი მოსაზრების, მეტადრე უარყოფითი მოსაზრების, საჯაროდ გამოთქმას არ ერიდება.

კრიტიკოსობა ძნელი საქმიანობაა – ვერავის დააძალებ ან დაავალდებულებ იკრიტიკოსოს. კრიტიკის მოტივიც შესაძლოა სხვადასხვა იყოს, მათ შორის – პირადულიც. ყველა შემთხვევაში ის ძალიან სასარგებლოა როგორც საქმისთვის, ასევე გაკრიტიკებულისთვისაც. პირადულია თუ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით არის გამოწვეული, მთავარია კრიტიკა სამართლიანი და დასაბუთებული იყოს, თუმცა უსამართლო კრიტიკასაც სარგებელი მოაქვს, თუ გაკრიტიკებულს პასუხის გაცემის საშუალება აქვს. ახლა არ ვიცი როგორ არის, მაგრამ ერთ დროს დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტს დებულებით ევალუბოდა შენიშვნები გამოეთქვა დისერტანტის ნაშრომზე (მართლაცდა, განა არსებობს ნაშრომი რომლის მიმართ, თუ ყურადღებით წაიკითხავ, არანაირი შენიშვნა არ გაგიჩნდეს?!). მაგრამ ისე ჩაიგრიალებდა დაცვის პროცესი, ერთი შენიშვნაც კი არ გამოითქმოდა!

რაკი დღეს წიგნები მკითხველის ხარჯზე არ გამოიცემა (როგორც ეს საბჭოთა ხანაში იყო), ამიტომ შესაძლოა მხატ-

ვრული ტექსტების კრიტიკა არც ისე აუცილებელი იყოს – საეჭვო მხატვრული დონის წიგნს, რომლითაც ავტორი „საკუთარ ჭიას ახარებს“, არც შეიძენ და არც წაიკითხავ; მაგრამ სამეცნიერო კრიტიკა და უხარისხოდ თარგმნილი მხატვრული ტექსტების შეფასება აუცილებელია. სხვანაირად მეცნიერება წინ ვერ წავა, ხოლო მხატვრული ლიტერატურის ცუდი ან, რაც უარესია, მცდარი თარგმანი, მკითხველის უფლებების შელახვაც არის და თარგმნილი ავტორისაც.

მეკითხები, გამოჩნდა თუ არა სალიტერატურო კრიტიკაში ახალი თაობა. ლიტერატურის კრიტიკოსისთვის აუცილებელია კარგი და ფართო ფილოლოგიური განათლება. ჩემზე უკეთ გეცოდინება, რა დღეშია ახლა ჩვენი საყვარელი ფილოლოგია. ძნელია ჩვენი ხელფასებისა და სამუშაო პირობების შემხედვარე ახალგაზრდა ამ დარგით დაინტერესდეს. **მე მგონი, იქამდე მივალთ, რომ წერა-კითხვის მცოდნე ხალხი საქმე-ბარი გახდება, მაგრამ, ვატყობ, ამის გამო დარღს არც არავინ მიეცემა...**

გ. გ. – ზემოთ „განათლების დეფიციტი“ ახსენე, ახლა ისევ განათლების პრობლემა... ერთ კონკრეტულ ფაქტს გაგაცნობ, ლევან: ორიოდე წლის წინათ რუსთაველის საზოგადოებამ პირველკურსელებთან (!) გამოკითხვა ჩაატარა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ნახევარზე მეტმა ვერ ამოიცნო სახელის ბრუნვა და რიცხვი; დასმულ კითხვებზე ქართულ ლიტერატურაში უმარტივეს კითხვებს ვერ გასცეს პასუხი სწორად (თუნდაც – „რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“? – ვერ უპასუხა სწორად თითქმის ნახევარმა... უცნაური ის არის, რომ პასუხებში დასახელდა მე-7-დან მე-20-ის ჩათვლით ყველა საუკუნე!). რასთან გვაქვს საქმე? სად მიგვიყვანს ეს გზა?

ლ. ბ. – კაცი დავბერდი და ვერ მოვესწარი ისეთ მთავრობას, რომლისთვისაც განათლება მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმითაც იქნებოდა პრიორიტეტი.

კომუნისტების დროს ხომ სავალალო ვითარება იყო ამ მხრივ და „ნაციონალების“ მმართველობის ხანაში მთლად ბოლო მოეღო ამ სფეროს. განათლებულ ხალხსაც უჭირს ქვეყნის განათლების სისტემის რიგიანად გაძღოლა და იმ გაუნათლებელთა ხელში, ვისაც ეს საქმე ჩაბარდა „ნაციონალების“ დროს, სრულიად კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთათვისაც კადრები მხოლოდ ნაცნობობითა და პარტიული ერთგულების ნიშნით შეირჩეოდა. რაც მაშინ გაფუჭდა, არ ვიცი იმას რა გამოასწორებს, მაგრამ გამოსწორების მცდელობასაც რომ ვერ ვხედავ?

* * *

ბ. ვ. – თელავში სადღეგრძელოში სუფრის ერთ-ერთი წევრი, თამარი, დალოცეს: „თამარს რომ გარქმევენ, უკვე გავალებენ“... მენიშნა ეს შეგონება: ბავშვისთვის სახელის დარქმევა საპასუხისმგებლო საქმეა; მწერლის მიერ ნაწარმოების სათაურის შერჩევა თუ პერსონაჟისათვის სახელის დარქმევა ასეთივე საპასუხისმგებლო საქმე მგონია. ლევან, თუ ყოფილა შემთხვევა, გიფიქრია, რომ ესა თუ ის სახელი (ნაწარმოებისა, პერსონაჟისა) რაიმე მოსაზრების გამო არაა მარჯვედ შერჩეული? არ შეეფერება კონკრეტულ პერსონაჟს თუ ნაწარმოებს (ცნობილია მ. ჯავახიშვილის მწვავე კრიტიკა კ. ლორთქიფანიძის რომანის – „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ – სათაურის გამო... კ. გამსახურდია „ლამარელაში“ არასწორად შერჩეულ სახელზე – ლუხუმი – საუბრობს...). მხატვრული ნაწარმოების კითხვისას თუ გაგჩენია ეს შეგონება, რომ შეუფერებელია ან სათაური, ან პერსონაჟის სახელი?

ლ. ბ. – 1978 წელს გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც ვლადიმერ სიხარულიძის ორი მოთხრობა განვიხილე: „მეათე მოწმე“ და „უხამსი“. პირველი სათაური შევაქვე: „მეათე მოწმე“ შესანიშნავი სათაურია: ლაკონიური, დამაინტერესებელი, ზომიერად ინფორმატორული“, ხოლო მეორე დავიწუნე: „სათაური „უხამსი“ არ ვარგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალზე სწორხაზოვანია, მეტისმეტად აშკარად ამჟღავნებს ტენდენციას, მეორეც – „პატარა კაცი“ (მოთხრობის პერსონაჟი) ბევრად უფრო დიდი არამზადაა, ვიდრე სიტყვა „უხამსი“ ამას გამოხატავს“.

ჩემი ამ სტატიის სათაურია „პირველი წიგნის სათქმელი“ – უბანალურესი (ძოლი, ჟარგონითაც ვიტყვი: უბანძესი) სათაურია. მხოლოდ იმით შემიძლია ვინუგეშო თავი, რომ ეს დამწვეები კრიტიკოსის ერთ-ერთი პირველი პუბლიკაციაა.

1981 წელს გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც თამაზ ბიბილურის რომანს განვიხილავ, ასე ვამთავრებ:

„ორიოდე სიტყვა სათაურის გამო. რომანს „ჟამი კითხულისა“ ჰქვია. ჟამი ჩვენს ენაში ომონიმია – ღროსაც ნიშნავს და დაავადებასაც. ამ რომანში იგი ორივე მნიშვნელობით იხმარება [...]. ამიტომ გაუგებარია სათაურში გამოტანილი ჟამი რომელს გულისხმობს; თუ ორივეს, მაშინ ამგვარი ორაზროვნების ფუნქცია ნათელი არ არის“.

მოგვიანებით თამაზ ბიბილურმა კობა იმედაშვილთან დიალოგში (მგონი, „მნათობში“ დაიბეჭდა) თქვა, გამიკვირდა, ამ სათაურის გამო შენიშვნა რომ გამოითქვაო, მაგრამ ორაზროვნების ფუნქცია არ განუმარტავს.

კონსტანტინე გამსახურდია სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ ნარკვევში წერს: „არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური... სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფლო-

სი... სათაური ჰგავს მეომრისგან პირველ მოქნევას ხმლისას... ეს ყოველივე მაფიქრებინა საბა ორბელიანის იგავეების წიგნის სათაურმა: „სიბრძნე სიცრუისა“. საბა ორბელიანის იგავეების სათაურშივე მულავნდება მისი გენიის უდიდესი ორიგინალობა. და მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელსაც ეგზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდეს“.

პერსონაჟის სახელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, როგორ არის დახატული ამა თუ იმ სახელის მატარებელი გმირი. პერსონაჟის სახელი რომ განზოგადდება ხოლმე, ეს მთლიანად მწერლის მიერ ოსტატურად გამოძერწილი ხასიათის დამსახურებაა. ლადო ასათიანის ერთი ჩანაწერი მახსენდება, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ იყო, როცა დაიწერა:

„რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი, შოთა, ოთარი, რამაზი, მერი, მევი და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ? რა აცვიათ? ხშირად ზოგ ავტორს აღარც კი ახსოვს, როგორები არიან მისი ნაწარმოების უსისხლხორცო და უსახო გმირები. აბა, დაიძახე: ლუარსაბ თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი! ტარიელ მკლავაძე! სოლომან მორბელაძე! მოსე მწერალი! ერემია წარბა! სპირიდონ მცირიშვილი!“

* * *

გ. გ. – ღიმილიანი კითხვა: ჩვენ ერთი ღროის სტუდენტები ვართ. მესამე კურსზე ლიტერატურას გაექეცი და ჟურნალისტიკაზე გადახვედი... ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის გზაგასაყართან „ენასაც“ „მეხვდი“ (მეორეკურსელი ლ. ბრეგაძის საკურსო შრომა ქართულ ენაში მე დავბეჭდე მოგვიანებითს ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“; მაშინ ვიხუმრე კიდევ – გადარჩენილხარ ენათმეცნიერობას-მეთქი)... ჟურნალის-

ტიკის დამთავრების შემდეგ ისევ დაუბრუნდი ლიტერატურას... ან გაქცევა რა იყო და ან დაბრუნება?

ლ. ბ. – ჟურნალისტიკაზე მინდოდა ჩამებარებინა. ამ განზრახვით ჩამოვედი 1965 წელს ტყიბულიდან თბილისში მამაჩემთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ამისთვის ჟურნალისტად მუშაობის ორწლიანი სტაჟი ყოფილა საჭირო, რაც მე არ მქონდა. იმ წელს დავამთავრე სკოლა ოქროს მედალზე და არ მეგონა, თუ რამე ხელს შემიშლიდა მისაღებ გამოცდებზე გავსულიყავი. მირჩიეს, ქართულ ფილოლოგიაზე ჩააბარე და მერე შეგიძლია ჟურნალისტიკაზე გადახვიდეო (მაშინ ჟურნალისტიკა ფილოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი განყოფილება იყო). ასეც მოვიქეცი და ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. მერე გადავედი ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ასე მოხდა და საფუძვლიანი ფილოლოგიური განათლება მივიღე, რაც შემდეგ, როცა „შემთხვევით“ ლიტერატურის კრიტიკოსი გავხდი, ძალიან გამომადგა (მართლა შემთხვევით გავხდი, რაც ერთ აღრინდელ ინტერვიუში დაწვრილებით მაქვს მოთხრობილი და აქ აღარ გავიმეორებ).

* * *

გ. გ. – ლევან, ერთხელ საქართველოსა და ქართველების ბედზე ვსაუბრობდით; გაუკვირდება კაცს, რამ გადაარჩინაო და შენ თქვი: „ქართველმა ხალხმა ორი მტკიცე გალაგანი შემოავლო საქართველოს – ქართული ენა და ქართული ანბანიო; ამან გადაარჩინაო“... წერილობით არსად მინახავს, ძალიან მომწონს და მინდა დარჩეს; ხომ არაფერს დაამატებდი (ან ხომ არ დააზუსტებდი)?

ლ. ბ. – ლიტერატურის ინსტიტუტმა, სადაც მე ვმუშაობ, 2016 წელს გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოსცა „ქართული ლიტერატურის მოკლე შესავალი“ – საცნობარო ხასი-

ათის წიგნი, გზამკვლევად გათვალისწინებული ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის საერთაშორისო ბაზრობისათვის, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იყო წარმოდგენილი. რეცენზია მაქვს მასზე გამოქვეყნებული და იქ ვახსენე ეგ „ორფა გალავანი“ ასეთ კონტექსტში:

„[ამ წიგნის უცხოელი მკითხველი] შეიტყობს ღირსშესანიშნავ, ძნელად დასაჯერებელ ამბავს: **მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გზაჯვარედინზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ხალხს**, დიდი და აგრესიული იმპერიების მხრივ უძლიერესი კონკურენციის პირობებში, მოუხერხებია და **შეუნარჩუნებია** არამართო ძირითადი ნაწილი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიისა, არამედ თავისი **ენაც** და, რაც მთავარია, **ანბანი**, დამწერლობა, რისი ქონის არავითარი „მწვავე“ საჭიროება არ არსებობს, თუ გავითვალისწინებთ რამდენი ხალხი იყენებს სხვის ანბანს საკუთარ ენაზე გამოთქმული აზრების ჩასაწერად. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: **დაუოკებელი სწრაფვა ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ, ძველთაგანვე პატრიოტიზმის არაჩვეულებრივად მძაფრი გრძნობის არსებობა ამ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენაში.**

როცა საქართველოს არმცნობი უცხოელი მკითხველი ზემოთქმულს გაიცნობიერებს, მას ბუნებრივად გაუჩნდება ასეთი შეკითხვა: ამ ორფა „გალავნით“, ენითა და ანბანით, „შემოღობილი“ მწერლობა თავის თავში ჩაკეტილი, უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის მოშიში ხალხის მიერ ხომ არ არის შექმნილი? ამ ეჭვს სავსებით გაფანტავს ყველა სხვა თავი ამ წიგნისა, რომლებშიც მოთხრობილია იმ მჭიდრო ურთიერთობების შესახებ, რომელიც საქართველოს ჰქონია სხვა ქვეყნებთან და ქართული კულტურის ძველი თუ ახალი დრო-

ის მოღვაწეებს – აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის კულტურულ ცენტრებთან“.

ეს „ორფა გალაგანი“, ერთი მხრივ, ხომ უძნელებს უცხოელს ჩვენს კულტურაში „შემოხედვას“, მეორე მხრივ, დიდ ინტერესსაც აღძრავს: რა განძი უნდა იმალებოდეს ნეტავ ამ გალაგნებს მიღმა, ასე საგულდაგულოდ რომ დაუცავთ გარეშე თვალისთვისო! – დარწმუნებული ვარ, ბევრი უცხოელი ქართველოლოგი გაიფიქრებდა ამას და ამ ბარიერების დაძლევის ჟინით აღივსებოდა. ხოლო მათი გადაღახვის შემდეგ „განძსაც“ აღმოაჩენდა, რასაც ისინი შემდგომ გულწრფელად აღიარებენ ხოლმე. ბევრი ასეთი აღიარება გვსმენია მათგან.

მაგრამ სინამდვილეში გალაგანი ორზე მეტია, ვინაიდან ანბანიც სამი მოგვეპოვება და ენაც. ის სამი ანბანი, სამივე დღესაც მოქმედი თავთავიანთ სფეროებში, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლად რომ გამოცხადდა, ეს შენი დამსახურებაც არის, გოგი, ძვირფასო. და მინდა გკითხო: სამი ქართველური ენის თანაარსებობა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში ხომ არანაკლებ საინტერესო მოვლენაა? არც ამას აწყენდა საქვეყნოდ გახმაურება! მოკლედ, საინტერესო ხალხი ვართ და საინტერესო კულტურა გვაქვს – უკეთ მოვლის ღირსი კულტურა!

გ. გ. – ნამდვილად დიდად საგულისხმო ფაქტია (მგონი ჯერ კარგად არცა გვაქვს გააზრებული!): მსოფლიოში არსებულ მრავალ ანბანთა შორის ერთადერთია ქართული ანბანი, კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად რომ იქნა აღიარებული იუნესკოს მიერ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში რომ შეიტანეს (2016 წელს); ამბობენ, იუნესკოს სამთავრობათშორისო-კომიტეტი (150 ქვეყანა ესწრებოდა კომიტეტის სხდომას, ეთიოპიაში – აღის-აბებაში – გაიმართა) განსაკუთრებით სწო-

რედ „სამსახეობამ“ მოხიბლა (ნომინაციას ასე ჰქვია: „**ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა**“), ფეხზე ადგომით მიაგეს პატივი და ერთხმად მიანიჭეს ქართულ ანბანს ეს სტატუსი!.. ეს პარალელურ საინტერესოა – **სამი ქართველური ენის თანაარსებობა!** არა მგონია, ბევრი შემთხვევა იყოს მსოფლიოში **ერთი ხალხი სამ ენაზე რომ საუბრობდეს და ერთი დედაენა – სამწიგნობრო ენა, საღმრთო ენა – რომ ჰქონდეს!** (პირიქით კი საკმაოდ უნდა იყოს: ერთ ენაზე რამდენიმე ხალხი რომ ლაპარაკობს...).

რა გამოდის: ორთა გალავანი, თითოეული სამსახოვანი (სამება და ერთარსება!)

და ილიასეული „**სამი ღვთაებრივი საუნჯეც**“ გავიხსენოთ... გეთანხმები, ლევან, შემთხვევით არაფერი ხდება! ამას სწორად დანახვა, გაგება და დაფასება უნდა!...

სამების მაღლი ეწეოდეს საქართველოს!..

1995-1996 წლებში გაზეთში „ბურჯი ეროვნებისას“ (1998 წლამდე გაზეთი იყო, მერე ჟურნალად გადაკეთდა) შემოვიღეთ რუბრიკა „ენა და მწერალი“. შევადგინეთ კითხვარი და დავუგზავნეთ რამდენიმე მწერალს. ჩვენს „ანკეტას“ პასუხი გასცეს: ვახტანგ ჯავახაძემ („ბურჯი ეროვნებისას“ №3, 1995 წ.), გურამ ფანჯიკიძემ (№5, 1995 წ.), ემზარ კვიციანიშვილმა (№5, 1996 წ.), რევაზ მიშველაძემ (№6, 1996 წ.), ავთანდილ ადეიშვილმა (№9, 1996 წ.).

ცოტა მოგვიანებით მცირედით განსხვავებული შეკითხვები დავუსვი ნუგზარ შატაიძეს (დაიბეჭდა: „ბურჯი ეროვნებისას“ № 1-2, 2002 წ.)

ამ კითხვა-პასუხს ჩემთვის (და ალბათ სხვისთვისაც) მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, ამიტომ წინამდებარე წიგნში დანართის სახით წარმოვადგენთ.

ერთია: ფორმას შევცვლი მხოლოდ – ერთი და იმავე კითხვის პასუხებს ერთად გაგაცნობთ (ნ. შატაიძეს ცალკე წარმოვადგენ, რადგან მას, როგორც ვთქვით, მცირედით განსხვავებული ვარიანტი აქვს შეკითხვებისა).

1. შიპიტიხვიპს შპასუხეპინ მწერლები:

ვახტანგ ჯავახაძე, გურამ ფანჯიკიძე, ემზარ კვიციანიშვილი, რევაზ მიშველაძე, ავთანდილ ადეიშვილი

პირველი შიპიტიხვიპა – მ. ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინ-

ნარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“. თქვენი აზრი ამის თაობაზე.

ვახტანგ ჯავახიძე – დიას, ენა გახლავთ მწერლის მთავარი იარაღი. როგორც მომღერლისათვის აუცილებელია ხმა და სმენა, ასევე მწერლისათვის – ენის საიდუმლოების ცოდნა და სმენა. „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ქართული ენის საიდუმლოებას ყველაზე მეტად რუსთაველი ჩასწვდა.

გურამ ფანჯიკიძე – სხვა მოსაზრება არც შეიძლება გქონდეს ნორმალურ ადამიანს.

ემზარ კვიციანი – მიხეილ ჯავახიშვილის მოხდენილ გამონათქვამს იმის თაობაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მწერლისთვის ენა, საეჭვოდ ვერავინ გახდის. მწერლის ენის სიწმინდეს „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი ძალზე დიდ ყურადღებას აქცევდა. მასხოვს, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ (იგი მაშინ „ცისკრის“ რედაქტორი იყო) გვიამბო – მიხეილ ჯავახიშვილმა პირდაპირ ტყავი გამაძრო, ისეთი მკაცრი რეცენზია დამიწერაო. ბატონმა კონსტანტინემ იქვე დაატანა – ისე გამეტებული ვყავდი, ის რეცენზია სარედაქციო კოლეგიას ჯავახიშვილის ტომეულებში არ შევატანინეო (საუბარია მ. ჯავახიშვილის წერილზე „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ კ. ლორთქიფანიძისა“. წერილი დაცული იყო მწერლის არქივში. დაიბეჭდა 2001 წელს კრებულში „წერილები“, გვ. 835-838 – გ. გ.). მსგავსი რეცენზიები სხვაც ბევრი ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილს და, ალბათ, საჭიროა ამ მასალების გამომზეურება.

ოცდაათიან წლებში უბირი და გათავხედებული კრიტიკოსები თავს ესხმოდნენ მიხეილ ჯავახიშვილს, ენას უწუნებდნენ, უკიჟინებდნენ, რომ სტილი შეეცვალა. ხელისუფლების-

გან მოსასპობად გამეტებული მწერალი საგანგებოდ მისეულ „მოპაექრებს“ თავაზიანად უპასუხებდა, რომ სანამ ახალ სამოსელს მოირგებდა, ძველს ნუ გადააგდებდა. ენობრივი ქსოვილი, სტილი შემოქმედის სულიერი სამყაროს გამომხატველია და რამდენად უგუნური, უტიფარი უნდა იყო, რომ მწერალს მოსთხოვო, საკუთარი სტილი უკუაგდოს, შეიცვალოს.

მიხეილ ჯავახიშვილის არაერთ რომანსა თუ მოთხრობაში მოთხრობელი ჩრდილავს მხატვარს და ამ დროს, ვფიქრობ, ავტორი სრულად ვერ ავლენს თავისი საოცრად მოქნილი ენის აურწყავ სიმდიდრეს.

მხატვრული ქმნილების შემოქმედების ძალა გაცილებით დიდია, როცა მწერალი ენის სტიქიაში ღრმად იჭრება. ამის საუკეთესო მაგალითებად მიმაჩნია მიხეილ ჯავახიშვილის ორი მოთხრობა – „ტყის კაცი“ და „ლამბალო და ყაშა“.

რევაზ მიშველაძე – მწერლობა მოკლედ, ლამაზად და საინტერესოდ წერაა – სხვა არაფერი. მოკლედ და ლამაზად წერა მხოლოდ და მხოლოდ ენას უკავშირდება. ვერც საინტერესოდ დამწერ, თუ ენის წიაღში, როგორც იტყვიან, ყელამდე არ ხარ ჩაფლული. ათასი ვარიანტიდან ერთი – ყველაზე ზუსტი ფრაზა უნდა მოძებნო მოვლენის დასასურათხატებლად. ამას ტიტანური შრომა სჭირდება. მოკლედ და ლამაზად თქმა, იცით რა არის? მაგალითად, კაცი რომ ცხენზე შეჯდა, ცხენს დეზი ჰკრა, დასჭყვივლა, გაქუსლა მერანი, მტერს ერთ უტევანზე რომ მიუახლოვდა, ხმალი წინ გაიშვირა და წაგრძელებული ებგერა მტერს – ამას ზოგიერთი მწერალი, იქნებ, სამ გვერდზეც გაჭიმავდა, რუსთაველმა კი ერთ სტრიქონში ჩაატია: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“. ესაა ენის ზედმიწევნითი ცოდნის მაგალითი.

ავთანდილ ადეიშვილი – ენას აქვს უდიდესი შინაგანი ენერჯია, რომელსაც ძალუძს ყველა არსებითი სახელი ზმნური

გახადოს და პირიქით. ამიტომაც ენა მისტიურია და ღმერთისგან ბოძებული. ქართველთა გულში ქართული ენის ენერგიის მატარებელი სისხლია. თუ ამ აბსტრაქტულ გააზრებას ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ ქართული ენა ქართველ კაცთან ერთად გაჩნდა და იგი დღემდე სისხლითა და სისხლიდან მოედინება... საუკუნეების მანძილზე ქართველმა კაცმა კოსმიოსური „მე“-დან ჩამარხული ქართული სიტყვები ოქროს ზოდებად ამოგანდა, აშალაშინა, აჩუქურთმა ტკბილხმოვანებითა თუ ხატოვნებით და სიტყვათა წყობილებაში ქართული აზრი განფინა. საუკუნოვან ქართულ სიტყვაში კოდირებულია ქართული ენის გენოტიპური ნიშანი და შინაარსი, რამაც გადაარჩინა ჩვენი სულიერი თუ მატერიალური კულტურა. ქართული ენა თავისი ზმნური თვისებებით თავდაცვისუნარიანია და მოძალადე ენების ლაბირინთებში გავლენისას მეობას ინარჩუნებს და ყოველგვარ პოლიტიკურ გარემოში საკაცობრიო გენოტიპად რჩება. მიხეილ ჯავახიშვილის დებულება „ენა მწერლის ბალავარია...“ აქსიომატურია და დამტკიცებას არ საჭიროებს. მე არ მეგულება სხვა ისეთი ენა, რომელსაც შეეძლოს ქართველი ერის შინაგანი ენერგიის სრულად ამეტყველება, როგორც ჩვენს ენას. ამის საბუთია „ვეფხისტყაოსანი“. გენიალურმა რუსთაველმა ქართული ენის გენოტიპური დინამიკით შექმნა უკვდავი ნაწარმოები, რომელიც ყველა დროის ქართველისათვის შემეცნებითია, როგორც ენობრივი ქსოვილით, ასევე ფილოსოფიური აღქმითა და გააზრებით.

* * *

მეორე შიპიტიხვა: ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელი მწერალი მიგაჩნიათ სამაგალითოდ და რატომ?

ვანტანგ ჯავახაძე – რაკი ენა მთავარი და გადამწყვეტია, ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სამაგალითოდ ტრადიციული რიგი უნდა გავიმეოროთ: რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი. ამ შესანიშნავ შვიდეულს უნდა დავუმატოთ გიორგი ლეონიძე, მისი პოეზია და პროზა.

გურამ ფანჯიკიძე – (მე-2, მე-3 და მე-5 შეკითხვების პასუხები გააერთიანა. ამიტომ მათ მე-5 შეკითხვისას წარმოვადგენთ).

ემზარ კვიციანიშვილი – სანამ ამ კითხვას კონკრეტულ პასუხს გავცემდე, მინდა გამოვთქვა ერთი პირადი მოსაზრება: სასურველია, ქართველ მწერალს სიყრმიდანვე ძირფესვიანად ჰქონდეს შეთვისებული რომელიმე კუთხის დიალექტი, რაც იმთავითვე ქმნის საფუძველს, მომავალმა შემოქმედმა მძაფრად შეიგრძნოს ამა თუ იმ სიტყვის სურნელი, ფერი, ძალა, კეთილზმოვანება, მადლი და ამავე დროს ეს სრულიადაც არ შეუშლის ხელს, ასევე სრულყოფილად დაეუფლოს სალიტერატურო ენას.

„ქართული ენისადმი დამოკიდებულება“ ზომიერად და სწორად, ჩემის აზრით, აკაკი წერეთელმა გამოავლინა და სამაგალითოდაც, უპირველეს ყოვლისა, იგი მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ ილიას განუზომელი დვაწლი დაივიწყოს.

აკაკი სწორედ ამ „ოქროს შუალედის“ ანუ ზომიერების პრინციპს იცავს, რასაც საერთო სალიტერატურო ენის მიმართ უნდა იჩენდეს მწერალი. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ აკაკის ენას (მისი ლირიკა იქნება, პროზა თუ პუბლიცისტიკა) არქაულობის ან თუნდაც თვალშისაცემი კუთხურობის იერი ოდნავადაც არ დაჰკრავს, არც მოძველებული – დღევანდელ მეტყველებას ჰგავს. სრულებითაც არ ვფიქრობ,

რომ სხვა კლასიკოსთა (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა...) ენობრივი პოზიცია მცდარი იყო; სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, ვაჟას პროზა უბადლოა.

რევაზ მიშველაძე – შეუღარებელია შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია ბევრს ეცადა რუსთაველის ენა დაემახინჯებინა (მაგ., „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, ასე გადააკეთა: „იგი წარჰხდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“), მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა.

„ვეფხისტყაოსანს“ რომ კვითხულობ, შიში მიჰპრობს და წერის ხალისი მეკარგება. მრცხვენია, რომ მწერლად „ვისხენიები“. რუსთაველი ენობრივი თვალსაზრისითაც ვირტუოზია. ბრწყინვალედ ფლობენ ქართულს სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

ავთანდილ ადეიშვილი – ქართული ენისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე მაგალითი ისევ რუსთაველია. ამ გენიოსმა ქართული ენის გენოტიპურობიდან გამომდინარე დაამტკიცა, რომ ჩვენი ენა მარადიულია!

* * *

მუსაგვი შიკიტხვა: თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოვყოფდით ენის თვალსაზრისით?

ვანტანგ ჯავახაძე – თანამედროვეთაგან აშკარად გამოირჩევა გურამ ლონანაშვილი. ამდენი თავისუფლება არცერთ ქართველ მწერალს არ გამოუჩენია. სწორედ ენობრივი კანონების დაპირისპირების ხარჯზე აღწევს მწერალი ეფექტს, მისი წარმატების ლომის წილი (კარგი გაგებით) ენობრივი თვითნე-

ბობის ხარჯზეა მიღწეული. პოეზიაში ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტარიელ ჭანტურიას საინტერესო ექსპერიმენტები.

ემზარ კვიციანი – დავასახელებდი ორ (სამწუხაროდ, გადაცვლილ) მწერალს, რომელთა შემოქმედება სიტყვის გამძაფრებელი გრძნობისა და ხატვის იშვიათი ნიჭის გამო განსაკუთრებულად მნიშვნავს – ესენი არიან გიორგი ლეონიძე და რევაზ ინანიშვილი. მათზე სხვადასხვა დროს წერილები მაქვს გამოქვეყნებული და კვლავაც ვაპირებ დაწვერო, რათა უფრო ღრმად და ნათლად წარმოვაჩინო ჩემი (და არა მარტო ჩემი) აღტაცება და სიყვარული მათი დანატოვარის მიმართ.

აქვე მანსენდება ერთი მომენტიც – ფრანგული და მსოფლიო ლიტერატურის ისეთი გიგანტი, როგორც გუსტავ ფლობერი იყო, მოკრძალებით ამბობდა: სტილის სილამაზე და ოსტატობა ჩვენთან, მეორეხარისხოვან მწერლებთან უნდა ექვბოთ, დიდ შემოქმედს საამისოდ არ სცალიათ. ფლობერის ნათქვამი მთლად პირდაპირ არ უნდა გაიგოთ. მართალია, არაერთი დიდი შემოქმედი (ბალზაკი, დოსტოვესკი, სხვებიც) იმდენ ყურადღებას ვერ უთმობდა ნაწერათა ესთეტიკურ მხარეს, მაგრამ ისეთი მაგალითების მოტანაც უხვად შეიძლება (მათ შორის ერთი პირველთაგანია „სალამბოს“ და „მადამ ბოვარის“ ავტორი), როცა დიდი მწერლები გამორჩეულ ყურადღებას უთმობდნენ სტილის სინატიფეს, ტექსტის ენობრივად დახვეწას.

რევაზ მიშველაძე – თუ ცოცხალ მწერლებზე მეკითხებით, გამოვეყოფდი მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მერაბ ელიოზიშვილის, ლადო მრეველიშვილის, ლევან სანიკიძის ქართულს.

ავთანდილ ადგიშვილი – თანამედროვე მწერალთაგან ქართული ენის შინაგანი აღქმის თვალსაზრისით გამოვეყოფდი:

შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს და ოთარ ჭილაძეს, რომელნიც ქართული ენის სტრუქტურას შემოქმედებითად ავითარებენ. მათი სამწერლო ენა ამდიდრებს ქართული ენის სალაროს... ლექსიკას.

* * *

მეოთხე შიპითხვა: ფიქრობთ თუ არა, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

ვახტანგ ჯავახაძე – კარგა ხანია, საერთოდ ლიტერატურისადმი ინტერესი მინელდა და შესაბამისად – სალიტერატურო ენისადმი ინტერესიც. და ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, მწერლების ბრალია, მწერლები შემოქმედებითი ცხოვრებით აღარ ცხოვრობენ.

გურამ ფანჯიკიძე – თუ მწერალი ჭეშმარიტი მწერალია, როგორ შეიძლება დაკარგოს ინტერესი სალიტერატურო ენისადმი?!

ემზარ კვიციანიშვილი – სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ „მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა“. ვინც მუდმივად არ იჩენს ასეთ ინტერესს, იგი მწერლად ვერ ჩაითვლება. მდგომარეობა კი მართლაც სავალალოა – ერთობ მომრავლდა უსახურ გრაფომანთა რიცხვი, მწერლობის სახელს რომ ეფარებიან და ფრიად საეჭვო ნაყოფიერებას იჩენენ. მწერალი ენაა, მწერლის ენა კი მხოლოდ „გაგებინების საშუალება“ როდია, იგი ესთეტიკური ფუნქციითაც უხვად არის დატვირთული.

რევაზ მიშველაძე – დავიწყოთ იქიდან, რომ, საერთოდ, მკითხველის ინტერესი მინელდა მწერლობისადმი. რაც შეეხება მწერალს, ჭეშმარიტი მწერალი არ შეიძლება „სალიტერატურო ენისადმი ინტერესს“ ანელებდეს. ენა მისი უპირველესი

იარაღია და ნიადაგ იმის ცდაში უნდა იყოს, როგორ გააფხავოს ეს იარაღი. მე თვით ვარ მოწმე, როგორ წვალობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე სტილის დახვეწაზე. განუწყვეტლივ ეძებდა „იმ ერთადერთს“. გიჟდებოდა ერთი პროზაიკოსის სტილზე; ეს ოჯახაშენებული ერთი სიტყვის მაგივრად ოც სიტყვას წერსო.

ახალგაზრდა რომ ვიყავი, ერთ წერილში გატკბილებულად, გრძლად, მოსაწყენად წერის „ხელოვნება“ გავაკრიტიკე, ერთი მწერლის ასეთი ფრაზა მოვიტანე: „სასადილოში ადამიანები აქა-იქ შემოსხლოდნენ მაგიდებს და თავთავიანთ კერძებს შეექცოდნენ“. მწერალი ასე ან უნდა წერდეს, სასადილოში მაგიდებს მხოლოდ ადამიანები უსხედან და სწორედ რომ თავიანთ (და არა სხვის) კერძებს შეექცევიან-მეთქი. ასე რომ, ეს გრძელი წინადადება სამი სიტყვით უნდა დაწერილიყო, – „სასადილოში ხალვათობა იყო“-მეთქი.

ავთანდილ ადეიშვილი – ქართული სალიტერატურო ენისადმი ინტერესი არათუ მინელდა, საერთოდ დაიკარგა. მწერლის პასპორტი მშობლიური ენა უნდა იყოს. სალიტერატურო ენისადმი ლტოლვის დაკარგვა, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ მაგანს არ უსწავლია ქართულ სკოლაში, მის ოჯახში არ სუფევდა ჩვენი ენის ზეობა. ამგვარი აღზრდა კი ამახინჯებს მომავალ ლიტერატორს და მას აქცევს ღამურად, რომელიც, თავის გამოჩენის მიზნით, ქართულ სალიტერატურო ოჯახში უცხო მწერლურ ენობრივ სტრუქტურას მოათრევს, რითაც ზიანს აყენებს ქართულ ცნობიერებას. ქართული ენა გადანერგილი აზროვნებით და გულით ვერ იცოცხლებს, უნდა მოუფრთხილდეთ რუსთაველის გენიალოგიურ ხეს – დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, სულხან-საბა ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ილიას, აკაკის, გიორგი ლეონიძის, მიხეილ ჯა-

ვახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძისა და რევაზ ინანიშვილის ენობრივ აზროვნებას.

* * *

მეხუთე შეკითხვა: რა აზრისა ხართ სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე? როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება?“

ვახტანგ ჯავახიძე – ჭეშმარიტი მწერლისათვის სალიტერატურო ენის ნორმები არ არსებობს. ჭეშმარიტი მწერალი თვითონ ქმნის ნორმებს. ამდენად, მწერალს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც სრული ენობრივი თავისუფლება. თუმცა, გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა მწერალი ამ თავისუფლებას ბოროტად იყენებს, აჭარბებს ხოლმე.

გურამ ფანჯიკიძე – თუ შეიძლება, მე-2, მე-3 და მე-5 შეკითხვებს ერთად ვუპასუხებ.

ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისი არ არის ერთწახნაგოვანი. ჯერ ვიმსჯელოთ: ვის ვთვლით კარგ მოქართულედ?

ზოგს კარგ მოქართულედ ის მწერალი მიაჩნია, რომელსაც ძალზე მდიდარი ლექსიკა აქვს, უხვად ფლობს და იყენებს ქართულ იდიომებს.

გეთანხმებით, ასეთი მწერალი კარგი მოქართულეა, მაგრამ მართო ეს არ არის საკმარისი.

ენა ვითარდება, ვითარდება ძალიან სწრაფად. ანუ ენა მახინჯდება, მახინჯდება ძალიან სწრაფად! დღეს, როცა ამდენი გაზეთი გამოდის, დღეს, როცა ამდენი დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი ტელეკომპანია მუშაობს, დღეს, როცა ამდენი ჟურნალისტი ემსახურება პრესას და რადიო-ტელევიზიას, ენის დამახინჯების დაჩქარებული პროცესი ბუნებრივიცაა. ამ

რამდენიმე ათას ჟურნალისტში რამდენია ისეთი, რომელმაც კარგად იცის ენა? რამდენი გაზეთი გამოდის ისეთი, რომელიც ქართული ენის ცოდნის ნიშუშს იძლევა?

ხშირად ამბობენ, მწერლობა ენას ავითარებსო, შეიძლება ეს უწინ მართლაც ასე იყო. ახლა კი?

რაგინდ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ენას „ავითარებენ“ ეს უცოდინარები! ასეთები ძალზე ბევრია. მათი „ქართული“ ჩაგესმით ყველგან. ხალხს სჯერა პრესისა, ხალხს სჯერა რადიო-ტელევიზიისა და როდესაც ისინი კითხულობენ ან ისმენენ დამახინჯებულ ქართულს, ნელ-ნელა და საფუძვლიანად ითვისებენ მახინჯ ფორმებს, ქართული ენისათვის შეუგუებელ უცხოურ კონსტრუქციებს.

ეს პროცესი თანდათანობით უფრო გაძლიერდება. წიგნი ნელ-ნელა კარგავს მკითხველს. წიგნს ცვლის ტელევიზია. ხედვითი, ვიზუალური პროცესი გაცილებით იოლია და „ტეკავალი“. „ანა კარენინას“ წაკითხვას დღევანდელი დაძაბული ცხოვრების პირობებში ერთი თვე მაინც უნდა, თუ მეტი არა. ამ რომანის მიხედვით შექმნილი ფილმის ნახვას კი – სულ სამი საათი!

მწერლის სწორი ქართული კი ჰგავს თაროზე შემოდებული იმ კანონს, რომელსაც არავინ იყენებს. ბატონი ვახტანგ ჯავახიძე წერს: „ჭეშმარიტი მწერლისათვის სალიტერატურო ენის ნორმები არ არსებობს. ჭეშმარიტი მწერალი თვითონ ქმნის ნორმებს. ამჯერად მწერალს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ სრული ენობრივი თავისუფლება“

მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ პატივცემულ პოეტს, კარგი იქნებოდა მოეტანა ის ენობრივი ნორმები, რომლებიც ამა თუ იმ მწერალმა შექმნა და დაამკვიდრა. ბუნებრივია, ბატონი ვახტანგი ცალკეული გამოთქმების ან მივიწყებული სიტყვების დამკვიდრებასა და გაცოცხლებას არ გუ-

ლისხმობს. იგი ლაპარაკობს ქართული ენის ნორმების შექმნაზე.

ენის სფეროში მწერლის თვითნებობა, თუ იგი ქართული ენის ბუნებიდან არ გამოდინარეობს, მხოლოდ თვითნებობად, უკეთეს შემთხვევაში, მწერლის ინდივიდუალურ სტილად დარჩება. ასეთი თვითმიზნური ექსპერიმენტებით შექმნილი ნორმები ენაში ვერ დამკვიდრდება.

მე ვფიქრობ, დღეს ყველაზე კარგი მოქართულეა ის მწერალი, რომელიც გრძნობს ენის ევოლუციურ პროცესს და დროის მიერ მოტანილ სიახლეებს დაუმორჩილებს ქართული ენის ბუნებას.

ემზარ კვიციანიშვილი – სალიტერატურო ენის ნორმირება ფრიად საჭირო, მეტიც, აუცილებელი საქმეა. საამისოდ განკუთვნილი საგანგებო კრებულები ადრეულ წლებში უფრო ხშირად გამოდიოდა, ამჟამად კი, როგორც ყველაფერი, ესეც გაძნელებულია. ამ მხრივ ჩვენს ენათმეცნიერებს, გრამატიკოსებს, ლექსიკორაფებს ბევრი აქვთ გაკეთებული, მაგრამ ორთოგრაფიული ლექსიკონები, სადაც დროდადრო უნდა აისახებოდეს ენაში მომხდარი ცვლილებები, მეტისმეტად იშვიათად გამოდის.

ამ ხარვეზს ერთგვარად შეავსებს ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალი, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სისრულით შედგენილი, საფუძვლიანად შევსებული გამოცემა, იმედი უნდა ვიქონიოთ, მალე დაისტამბება და რამდენადმე მაინც შეიზღუდება ის ქაოსი, რაც ჩვენს ენაში, ჩვენს მწერლობაში და ეგზომ მოზღვავებული პრესის ფურცლებზე შეიმჩნევა.

მოულოდნელი და უჩვეულო არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მწერლის „ენობრივი თავისუფლება“ ზღვარდაუღებელი, უსამაზო არ უნდა იყოს. აქ მთავარია ისევ და ისევ ზომიერების

გრძნობა. მწერალს შეუძლია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებული ფორმები გამოიყენოს იმისდა მიხედვით, რომელი ვარიანტი მოუხდება კონტექსტს; მხატვრული ეფექტის მოსახლენად, შეუძლია ზოგჯერ გრამატიკის კანონებიდან გადაუხვიოს. სიტყვათქმნადობას ნაძალადეობის კვალი არ უნდა ეტყობოდეს. არ შეიძლება კომპოზიტივის შექმნა ახირებად გვექცეს. ეს დაავადებაა. ენას თავისი შინაგანი კანონები აქვს და ამას გუმანით უნდა გრძნობდეს ყველა, ვინც კალამს ჰკიდებს ხელს. ფრაზის აღნაგობაზე, ბგერით შედგენილობაზე შემოქმედი, ცხადია, საგანგებოდ უნდა ზრუნავდეს, მაგრამ უსაშველო და გადამეტებული არაფერი ვარგა. ამგვარმა მიდრეკილებებმა არაერთი დიდი მწერლის (ანდრე ბელი, ჯეიმს ჯოისი, სხვებიც) შემოქმედება მოაქცია ჩიხში.

რევაზ მიშველაძე – ჭეშმარიტი მწერალი თვით ქმნის თავის ენობრივ სტილს და, აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ რომ მისეულია. დღეს, პოლიგლოტებისა და სიტყვათა საშიში სესხება-გასესხების, თუ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო უამრავი ნეოლოგიზმის გაჩენის ეპოქაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია, დასხდნენ ჭკუადაძვდარი მეცნიერები და ენის ნორმა-წესები დაადგინონ. ოღონდ, ეს უნდა გაკეთდეს უაღრესად ფაქიზად და დელიკატურად. ენა ძალდატანებას, ტლანქ დამოკიდებულებას ვერ იტანს. დღეს, მაგალითად, მკაცრი „სტილისტი“ იმერიზმად მიიჩნევს სიტყვას „გამოსულარიან“, ესაო კუთხურ-პროვინციალურია და უფრო სწორია „გამოსულანო“. განა „გამოსულ არიან“ უძველესი ქართული „გამოსრულ არიან“ არ არის და „გამოსულან“ სწორედ მისგან არ წარმოსდგა? უნაპირო „ენობრივი თავისუფლების“ წინააღმდეგი ვარ. რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ შეშვენის. ვაჟას ჰქონდა უფლება, ფშაური დიალექტი უხვად შემოემვა თავის სწორუპოვარ

შემოქმედებაში, სხვამ კეთილი უნდა ინებოს და სალიტერატურო ქართულის ნორმები შეძლებისდაგვარად დაიცვას.

ავთანდილ ადგიშვილი – ღვთის წყალობით, დედამიწაზე არსებობს ჩვენი ენის ფენომენი – ქართული ზმნა. იგი, მზიური ენერგიის მსგავსად, ქართული ენის მაცოცხლებელი ძრავია და აზროვნებითი ენის წარმომშობელი, ამიტომაც იგი უნიტარულ „ნორმებში“ ვერ ჩაეტევა! ალბათ უპრიანი იქნება, ტერმინი „ენის ნორმები“ შეიცვალოს „ენის გენოტიპური დაცვით“. ყველა მწერალი თუ არამწერალი და განსაკუთრებით ენათმეცნიერი უნდა იცავდეს ქართული ენის გენოტიპურობას და მასზე დაყრდნობით ავითარებდეს ენობრივ თავისუფლებას. თუ არ ვცდები, **მეექვსე კითხვის პასუხი „მეზუთეში“** მოვაქციე.

* * *

მამიქსუმი შიკიტიხვა: როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში?

ვანტანგ ჯავახაძე – სალიტერატურო ენას უნდა მოუაროს თვითონ მწერლობამ. და მას უნდა დაეხმაროს სახელმწიფო. ხოლო ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფება და თითქმის არავითარი საშუალება არა აქვს მწერლობას დაეხმაროს, ამჯერად მწერლის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დიდია.

გურამ ფანჯიკიძე – ქართველი მწერლის ზეგავლენა ქართული ენის მოვლა-პატრონობაზე მცირდება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე უკვე ვილაპარაკე. ახლა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზზე მინდა მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება: დღევანდელმა გაჭირვებულმა ცხოვრებამ ხალხს წიგნი გადაავიწყა. ამ უბედურებას ისიც ემატება,

რომ წიგნები თითქმის აღარ გამოდის. ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანა კი, როგორც უკვე ვთქვით, ტელევიზიის ეპოქაში ლამის ანაქრონიზმად იქცა, ამიტომაც მწერლის შემოქმედების ძალა ძალზე შეიზღუდა, ეს მეტისმეტად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი მოვლენაა.

აი, ახლა შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში რესპუბლიკის პრეზიდენტი უდგას. ვფიქრობ, ქართველმა მწერლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მის საქმიანობაში, არამარტო აქტიური, არამედ წარმმართველი!

მაქვს ერთი წინადადებაც, რომელიც არაერთხელ მითქვამს და ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზეც განვაცხადე. საჭიროა, სასწრაფოდ შეიქმნას ხუთკაციანი „სწრაფი რეაგირების ჯგუფი“, რომელიც ტელევიზიით თვეში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს და ერთსა და იმავე დროს განიხილავს არა უნებლიე შეცდომებს, არამედ ქართული ენის დამახინჯების ლამის დაკანონებულ ფორმებს. ეს უნდა იყოს არა მიფუჩქებული, არამედ მთელი სერიოზულობით მომზადებული გადაცემები, რომლებიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება პროფესიონალებისათვის.

ემზარ კვიციანიშვილი – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა“ ყველაზე მეტად ისევ და ისევ მწერალს ეკისრება. მწერლის ქმნილება ნიმუში უნდა იყოს სიტყვასთან ფაქიზი, არტისტული დამოკიდებულებისა. ნიჭი, პატიოსნება, გემოვნება – ერთმანეთთან შერწყმულ-შეზავებული – იმის საწინდარია, რომ მდარე, წყალწყალა ნაწარმოებები ნაკლებად დაგროვდება, ასპარეზი ნამდვილ მწერლობას დარჩება, ეს კი, სიმდიდრის, სამწერლო ენის ჭირისუფლობა, „მოვლა-პატრონობა“ გამოვა.

რევაზ მიშველაძე – ენის ბატონ-პატრონი ერია, ენის მეზაირახტე და რჯულმდებელი მწერალია, ხოლო ენის კანონების მხრეკელ-დამდგენელი – მეცნიერი. რუსთაველი, ილია და გამსახურდია ენის რეფორმატორები არიან. მერე მოდის მეცნიერი და ამბობს: ამ სულკუროთხეულებმა ენის რეფორმა მოახდინესო.

არ დავმაღავ, ჩემთვის მიუღებელია ოთარ ჩხეიძის, ეთერ თათარაიძის და კიდევ ერთი ქართველი პროზაიკოსის ენობრივი პოზიცია (ამ უკანასკნელის გვარს მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ „სტილის ძიების“ გზაზე ერთ დროს ძალიან „გაუტია“, მაგრამ მალე მოეგო გონს და ამ ბოლო დროს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება წერას).

ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში მწერალი უმთავრეს როლს ასრულებს. მე ჩემს თავს და ჩემს უმრწემეს მეგობრებს ყოველთვის მოვუწოდებ – მეტი იმუშაონ ფრაზაზე, ფასი დასდონ, „კბილი გაუსინჯონ“ ყოველ სიტყვას.

მე იმერელი გახლავართ, მაგრამ ვინმემ „ქუთაისელი მწერალი“ რომ მიწოდოს, ქვას ვესვრი. თუ წაგიკითხავთ ჩემი ნოველები, შეამჩნევთ, რომ ჩემი პერსონაჟები კახურადაც უქცევენ, ქართლურადაც... და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფერეიდნულ ან ინგილოურ კილოზეც. დიალექტთა ლექსიკონები ჩემი სამაგიდო წიგნებია.

მარტო ლექსიკონებზე როდი გახლავართ მიჯაჭვული. სადაც უნდა ვიყო, ჩემი მოსაუბრის ლექსიკას ვაკვირდები და, თუ რასმე საგულისხმოს მოვკარი ყური, მაშინვე უბის წიგნაკში ვიწერ, გარდა ამისა – მე თვითონვე ვქმნი კომპოზიტებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალ სიტყვებსაც. არ ვიცი რამდენად გაიკაფავენ ისინი გზას.

* * *

მეშვიდე შიკითხვა: კ. გამსახურდიას აზრით: „ჩვენი კრიტიკა უგულებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას“. თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია?

ვახტანგ ჯავახაძე – ბატონი კონსტანტინე გამსახურდია წლების მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის. მისი პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორი გახლდათ. დასანანი ისაა, რომ თანამედროვეთაგან ასეთი აქტიური მებრძოლები არ ჩანან.

გურამ ფანჯიკიძე – ეს საკითხი იმდენად ნათელია და აღიარებული, რომ არ ღირდა კ. გამსახურდიას შეწუხება.

ემზარ კვიციანი – კონსტანტინე გამსახურდიას პრეტენზია ჩვენი კრიტიკის მიმართ რეალურ ვითარებას ასახავს, უთუოდ სწორია, მაგრამ თვით მის ამ ნააზრევში, სამწუხაროდ, ყურს გვჭრის ქართული ენის ბუნებასთან შეუთავსებელი, კალკირებული ფრაზები. მაგალითად: „იმის განსჯაში არ შედის...“ ასევე გაუძარტავად არის გამოთქმული დასკვნითი ნაწილი თავისთავად მართებული აზრისა: „... თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი... სწორ წერას“.

კონსტანტინე გამსახურდია ბევრ საგულისხმო რამეს წერდა ქართული ენის სიწმინდეზე, კრიტიკის დანიშნულებაზე და სასურველი იყო, მისი თვალსაზრისის ციტირებისას მეტი სიფრთხილე გამოგვეჩინა.

რევაზ მიშველაძე – რა თქმა უნდა, სწორია. ოღონდ კრიტიკა მარტო ენობრივ „დარღვევებზე“ კი არ უნდა მიგვი-

თითებდეს, იმასაც უნდა აღნიშნავდეს, რა სიახლე შეიტანა ამა თუ იმ მწერალმა ენის განვითარებაში.

დღეს ძალიან უჭირს ჩვენი ჟურნალისტიკის ენას. გაზეთების სტილი თითქმის აუტანელია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ კორექტორები, სტილისტები – ამ უაღრესად კეთილშობილი სამსახურის წარმომადგენლები, საერთოდ, გაქრნენ რედაქციებიდან.

თუ ვინმე რევენის ახალ ქართულს, სწორედ, რომ გაზეთები რევენთან (რა თქმა უნდა, ყველა გაზეთზე არ მოგახსენებთ).

2. შიკოთხვევს უპასუხებს მწერალი

ნუგზარ შატაიძე

– ბატონო ნუგზარ, ქართული ენა დღეს შველას ითხოვს; საფრთხეებმა იმატა, ყურადღება მოაკლდა... ვინ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი ქართული ენის მოვლა-პატრონობაში?

– მწერალი ენის მასაზრდოებელია, მისი წყალობით ინახება ქართული ენა, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. დღერთმა ნუ ქნას, მაგრამ ქართული რომ მკვდარ ენად გადაიქცეს, მისი რესტავრაცია მარტო რეზო ინანიშვილის ნაწარმოების მიხედვით შეიძლება. თუ მწერალმა ენა არ იცის, ემსგავსება მშენებელს, რომელსაც არ აქვს ცემენტი, აგური, ქვიშა და მაინც სახლს ამენებს... აუცილებლად დაინგრევა მისი ხუხულა. მწერალი ენაა, ენა...

– რა აზრის ხართ სალიტერატურო ენის ნორმების თაობაზე? როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება?“

– ენობრივი ნორმები ჭკვიანი ხალხის დადგენილია და ცივილიზებული კანონია, მაგრამ ზოგჯერ ნიჭიერი ადამიანი ამ კანონებს თვითონვე ქმნის. მაგალითად, გურამ დოჩანაშვილი ამკვიდრებს თავისებურ სტილს. ამით მის მწერლობას არაფერი აკლდება, პირიქით, უფრო საინტერესოა. ასეთ მწერალთან ენობრივი დოგმები იშლება. ვინც გ. დოჩანაშვილის სიმაღლეზე ვერ ავა და წერის პრინციპებს ვერ შეინარჩუნებს, მას მოეთხოვება მკაცრად დაიცვას ენობრივი თავისებურება.

– ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელ მწერალს გამოარჩევდით და რატომ?

– ჩემთვის იდეალია რეზო ინანიშვილი. რეზომ ისე ღრმად იცის ენა, დარწმუნებული ვარ, მისთვის წერა სიამოვნება იყო. არიან სხვა საინტერესო მწერლებიც. მომწონს ოთარ ჩხეიძის ენა. მისი შემოქმედება მყარად დგას ქართულ მიწაზე და ფესვები ღრმად აქვს გადგმული ჩვენს ტრადიციებში. არიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ ოთარ ჩხეიძის კითხვა და გაგება, ხელოვნურადაც მიიჩნევენ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ქართულ ენასთან მჭიდრო კავშირში არ არიან.

არავითარ შემთხვევაში ნაწარმოებები სატელევიზიო ქართულს არ უნდა დაუახლოვოთ. თუ ვილაცები სატელევიზიო ქართულით წერენ, ისინი მცდარ გზას ადგანან. სატელევიზიო ქართული არა მარტო ანგრევს ენას, არამედ შლის ჩვენს ცნობიერებასაც. თუ გვინდა შევინარჩუნოთ „მამული, ენა, სარწმუნოება“, ენის დაცვაზე უნდა ვიზრუნოთ.

– თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით?

– აუცილებლად მინდა გამოვყო აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი). ის შესანიშნავად წერს. ვფიქრობ, ერკვევა ქართული ენის ყველა ნიუანსში. იცის როგორც ქალაქური, ისე „სოფლური“ ენა... მაგრამ თუ მწერალი კუთხური კილოთი დაწერს და ისე ახლოს არ იქნება ენასთან, როგორც ოთარ ჩხეიძე და რეზო ინანიშვილი, არ გამოუვა. ბუნებრივი დიალექტი მოდის მიწიდან, წარსულიდან, წინაპრებიდან.

– ქართული სალიტერატურო ენისადმი მწერლის ინტერესი ხომ არ მინელდა?

– ამის დაშვება შეუძლებელია, რადგან მწერლობის საძირკველი ენაა, სალიტერატურო ენა კი სწორედ მეტყველებას გვასწავლის, არც მწერლის ინტერესი მინელა, მაგრამ მაინც მარტო მწერალი, რაც არ უნდა ეცადოს, ვერაფერს გა-

ხდება. ხომ შეიძლება ენის ხატოვანება წიგნის გარეშეც აღვიქვათ, მაგალითად: გავიაროთ ქუჩაში და მაღალი დიზანით შესრულებული უაზრო წარწერების ნაცვლად წავიკითხოთ: „ყვავილების ქვეყანა“ (ყვავილების მაღაზიის სახელწოდება), ეს პირდაპირ ქართულ სულს ეხება, ქართული ენა კი – თავისი მოქნილობით და მშვენიერებით ამის საშუალებას გვაძლევს.

... ხალხის განათლებაა ამისთვის მთავარი...

– კონსტანტინე გამსახურდიას აზრით... „არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში. მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბიცია რომელიმე მწერლისა, არამედ სიჯანსაღე ჩვენი ენის სიფაქიზის შენარჩუნება“. ამის მიხედვით როგორ გესახებათ სასკოლო სახელმძღვანელოებში წამოჭრილი ენის პრობლემა?

– იაკობ გოგებაშვილის ქვეყანაში ნამდვილი ქართული სახელმძღვანელო რომ არ გვაქვს, სირცხვილი. ეს ჩვენს დეგრადაციაზე მიგვანიშნებს.

კარგი წიგნის გამოცემისა და პროგრამის სწორად შერჩევას სწავლული კაცი სჭირდება. სამწუხაროდ, ვინ ზრუნავს ამაზე?! რაც შეეხება ნაწარმოებების ადაპტაციას და მის სწორად მიტანას ბავშვამდე, სპეციალისტების საქმეა და არა მოყვარულების. „პური მეპურეს გამოაცხობინე და ორი შაურით მეტი მიეციო“. დღესდღეობით ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც შესწორებას არ საჭიროებს. ამიტომ რაც გასასწორებელია, უნდა გასწორდეს, ეს აუცილებელია ბავშვის ასამეტყველებლად...

ზოგჯერ სახელმძღვანელოსთვის იწერება ესა თუ ის მოთხრობა. ისინი ზუსტად ჯდება ნორმებში და ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ, ე. ი. პირველ რიგში ენობრივად უნდა

გავმართოთ და იმ მწერლებს მოვუხმოთ, რომლებსაც ქართული ენის სრულფასოვანება სისხლში აქვთ გამჯდარი.

P.S. „მჯერა, სულ მალე გამოჩნდება ნიჭიერი მწერალი (შეიძლება ჯერ ხალხშია) და ნახავთ როგორი ქართულით ამეტყველდება“...

(„ბურჯი ეროვნებისა“
№ 1-2, 2002 წ.)

ღანართი II:

„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“

ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოებამ გამართა საღამო თემაზე: „**სახელმწიფო ენის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში**“. მომხსენებელი იყო აკადემიკოსი ავთანდილ არაბული. ვფიქრობდი, სამწერლობო ენის თაობაზე გამართულ დისკუსიაზე (მწერალთა სახლში!) სიმრავლე იქნებოდა მწერლებისა... მაგრამ მხოლოდ სამი მწერალი ესწრებოდა: ნინო ქუთათელაძე, თამაზ ხმალაძე და დავით შემოქმედელი (ლონისძიების ორგანიზატორი)... და მაშინ ამეკვიტა კითხვა – პერიფრაზი ცნობილი ლექსისა: „**სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?**“

ქართულ ენას რომ არც დღეს უღხინს დიდად, მოსაგვარებელი პრობლემა რომ მრავლადაა, ეს იმ საღამოზეც წარმოჩნდა...

კითხვები იჩენს თავს: „სად არიან მწერლები,“ რატომ არ იღებენ ხმას? რატომ არიდებენ თავს ამ პრობლემებზე მსჯელობას?..

არა მგონია, ვინმემ მკითხოს, რა შუაშია მწერალიო, მაგრამ მაინც ჩემი გულისტკივილის განსამარტავად ორ კლასიკოსს მოვიშველიებ: **მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას**. თავის დროზე ისინი ედგნენ სათავეში სამწერლობო ენის მოვლა-პატრონობის ეროვნულ საქმეს...

მოგვიწვევს თითქმის საუკუნის წინანდელი გაკვეთილების გამეორება... მოვუსმინოთ კლასიკოსებს...

* * *

დიახ, კლასიკოსთა აზრით, ქართული ენის პრობლემების მოგვარებაზე უპირველესად მწერლები უნდა ფიქრობდნენ და ზრუნავდნენო... ამონარიდებს მოვიყვან მათი წერილებიდან; კომენტარები, ვფიქრობთ, საჭირო არ იქნება...

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა, და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს, ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს“...

ანუ: „ქართველი მწერალი განუწყვეტლივ, დღედაღამ უნდა თავს დასტრიალებდეს ქართულ სიტყვას, თორემ უმაგისოდ ვისაც კარგი გამართული ქართული არა აქვს, მითქვამს და ვიძეორებ, გენიოსიც რომ იყოს, მისი გენიალობა განახევრდება“.

რადგანაც: „უკანასკნელ ხანებში ზოგი მწერლის დაუდევარი დამოკიდებულება ქართულს უკარგავს მუდმივობას, მოქნილობას და გამჭვირვალობას, ამის გამო ჩვენი ენის ბუნების ამღვრევა უდიდეს ხიფათს უქადის ჩვენს მწერლობას, ამიტომ ჩვენი მიმართულება დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ქართული ენის გადამგვარებელ ძალებს“;

და, რომ: „უკანასკნელ ხანებში ქართულ მწერლობაში მძლავრად შემოიჭრა ჟარგონი. ყველა ქართველი მწერალი მოვალეა, მკაცრად შეებრძოლოს ამ სამწუხარო მოვლენას.“

დედაენის საღარაჯოზე მიხეილ ჯავახიშვილის გვერდით კონსტანტინე გამსახურდია იღვა: „ჩვენ – ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავადო!“ რადგანაც, „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსაო!“...

ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების გზებსაც ხედავდა კონსტანტინე გამსახურდია: მწერლები-სა და ენათმეცნიერების შეთანხმებული საქმიანობააო საჭირო; აუცილებელია, „**მოვიწვიოთ მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენციაო**“.

იდეა ამგვარი კონფერენციის მოწვევისა კ. გამსახურდიამ 1928 წელს გააჟღერა („კომუნისტი“, 1928, 25 მარტი); იქვე ძირითადი პრინციპებიც წარმოადგინა; მოგვიანებით (1929 წელს) საგანგებო წერილიც მიუძღვნა („ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“); მწერლის აზრით, „დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში; ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდაო“... და სწორედ ეს ყალიბი იქნება „მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენციაო“.

იმედი ჰქონდა კოლეგების თანადგომისა... „კონფერენციაზე დიდი ენერგიის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობასო“...

პრობლემის სიმწვავეს, როგორც ვთქვით, მ. ჯავახიშვილიც გრძნობს, მაგრამ მოგვარების სხვა გზებს ხედავს და ღაპობენ, კამათობენ ამის თაობაზე მწერლები. მ. ჯავახიშვილი: „სადავო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა – დაიშალა მთლიანი ქართულიც და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევიო“ და განმარტავს, თუ რატომ: „ქართული ენა დულს; ეს პროცესი უნდა შენეღდეს, საერთო ქართული ბუნებრივად ჩამოყალიბდეს, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინღა ექნება აზრი და გამართლებაო“... ბჭობენ, ღავობენ, კამათობენ...

მაგრამ თანხმდებიან, რომ „ქართული მეტყველების ერთნაირი ყალიბის ხუროთმოძღვარი მწერლებისა და ენათმეცნიერების ერთობა უნდა იყოს“; იმაზეც მსჯელობდნენ, რა როლი უნდა შეასრულოს მწერალმა ამ საქმეში და რა – ენათმეცნიერმა; როგორ განაწილდება ფუნქციები მწერლებსა და ენათმეცნიერებს შორის; ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პრიორიტეტი მწერალს ეკუთვნის:

„ვერც ერთი გონიერი მწერალი ვერ უარყოფს იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებენ ამა თუ იმ ენის შესწავლის საქმეში ენათმეცნიერები და გრამატიკოსები, მაგრამ არც ერთ ხალხში, არც ერთ საუკუნეში ენათმეცნიერებს არ შეუქმნიათ ენა“.

და განაგრძობს კ. გამსახურდია: „ჩვენი ენათმეცნიერები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეჯერდნენ იმ საპატიო როლს, რომელიც მათ მიანიჭა განგებამ. ისინი ენის აგრონომებია და არა ბაღის გამშენებელნი. ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს. მწერალი ქმნის ახალსა და ახალ კომპოზიციებს. დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა. ენათმეცნიერი სწავლობს და ახარისხებს მწერლის მიერ მოპოვებულ მიღწევებს“...

ასე ფიქრობდნენ ენათმეცნიერებიც... მათ „ბაღის გამშენებლობაზე“ პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამთ... მეტიც, სრულიად გარკვევით, ერთმნიშვნელოვნად გამიჯნავენ მწერლისა და ენათმეცნიერის როლს სალიტერატურო ენის მიმართ. **არნოლდ ჩიქობავა** წერს: „**სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის...**“ ხოლო „**ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალებაო**“ და ასე შემდეგ...

ამ თემაზე საუბრის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება... ფაქტია:

ეს არ იყო ლოზუნგების დონეზე გაცხადებული იდეები მწერლებისა... **იმართებოდა დისკუსიები, შეკრებები; საჯარო განხილვები** ნაწარმოებებისა, სადაც ენობრივი პრობლემები იყო წინა პლანზე წამოწეული... უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები მწერლებთან მიდიოდნენ და იმათ უთანხმებდნენ ქართულ ენასთან დაკავშირებულ საკითხებს... ასე იყო არცთუ შორეულ წარსულშიც... 1978 წლის 14 აპრილი გახსოვთ? იმჟამად მწერალთა კავშირში ჩატარებული კრება გახსოვთ? ხელნაწერების სახით რომ ვრცელდებოდა ნოდარ წულეისკირისა და აკაკი ბაქრაძის სიტყვები, ესეც გემახსოვრებათ...

დიახ, **ეს იყო მე-20 საუკუნეში...** იმ საუკუნის გაკვეთილები ამ საუკუნისათვის... **დღეს? 21-ე საუკუნეში?...**

საუბედუროდ, არც დღეს უღხინს დიდად ქართულ ენას... მაგრამ...

„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“

P.S. ცოტა ადრე მწერალთა სახლის დარბაზში ილიასა და აკაკის სურათების დაბრუნების საკითხი დავსვი... განათლების სამინისტროშიც ჩამოხსნეს ილიასა და იაკობის სურათები („საქ. რესპუბლიკა“ 119-120)... მაშინაც ამეკვიატა ეს პერიფრაზი: „სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“... კერავის მივაწვდინე ხმა...

„საქართველოს რესპუბლიკა“, 8 დეკემბერი, 2021 წ.

ლიალოვის მონაწილენი:

ბიორგი ბოზოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1948 წელს 24 ივლისს სოფ. კურსებში (ტყიბული). 1966 წელს დაამთავრა ქუთაისის რკინიგზის მე-11 სკოლა. 1971 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი კავკასიურ ენათა განხრით.

1975 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ინსტიტუტის დირექტორი; ამჟამად რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

1978 წლიდან მუშაობს ენათმეცნიერების ინსტიტუტში. იყო მეცნიერ-მუშაკი (ყველა რანგისა), ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ამჟამად განყოფილების ხელმძღვანელია.

გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტურ-კრიტიკული ნაშრომი (მათ შორის 40-მდე წიგნი და წიგნაკი).

იყო დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალისა „ბურჯი ეროვნებისა“ (1994-2006 წლები); არის მთავარი რედაქტორი სამეცნიერო გამოცემებისა: „საენათმეცნიერო ძიებანი“, „პართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ და „დიალექტოლოგიური კრებული“...

არის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ბ. ჯორბენაძისა და ი. გოგებაშვილის საზოგადოებებისა...

დაჯილდოვებულია ი. გოგებაშვილის (2005 წ.) და ი. ჯავახიშვილის მედლებით (2018 წ.).

მიღებული აქვს ილია ჭავჭავაძის ფონდის პრემია („სავურამო“, 2012 წ.); არნ. ჩიქობავასა (20013 წ.) და ი. გოგებაშვილის (2015 წ.) სახელობის სამეცნიერო პრემიები.



პაატა ჩხეიძე

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დაიბადა 1955 წლის 19 ნოემბერს გორში.



დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1977 წელს.

1987-1992 წწ. ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას: 1977-1985 წწ. თორტიბას რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი; 1979-1985 წწ. გორის ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში ინგლისური ენისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის მასწავლებელი;

1985-1988 წწ. გორის ვრ. ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე; 1987 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად; 1990-1991 წწ. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1992-1995 წწ. საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი; 1997-2006 წწ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, უცხო ენების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წწ. ქალაქ გორის მერი; 2005-2006 წწ. აშშ-ის კათოლიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი ფულბრაიტის გაცვლითი პროგრამით; იყო აშშ-ის National Humanities Institute-ის წევრ-კორესპონდენტი საქართველოში; ილიას სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

არის მრავალი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი (მათ შორის 10-ზე მეტი წიგნისა).

ინგლისური ენიდან თარგმნა (როსტომ ჩხეიძესთან ერთად) ოცზე მეტი წიგნი...

მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საგურამო“ (2015 წ.).

დავით შემოქმედელი

დავით ტაკიძე – პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი... – ლიტერატურული ფსევდონიმით **დავით შემოქმედელი**.

დაიბადა 1953 წლის 8 აპრილს სოფ. შემოქმედში (ოზურგეთი).

1970 წელს დაამთავრა სკოლა.

1975 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.

ქართული კულტურის დესპანი.

ისრაელის ქართული კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ორგანიზაცია „ნერგების“ საპატიო პრეზიდენტი.

მიღებული აქვს: გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ნიკოლორთქიფანიძის, ივანე მაჩაბლისა და ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიები.

სხვადასხვა დროს იყო:

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

გამომცემლობა „დავითის“ დირექტორი.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორი.

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორი.

მისი წიგნები და ცალკეული ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

დღემდე გამოცემული აქვს, ლექსების, მოთხრობებისა და ესეისტური წერილების 23 წიგნი.



თამაზ ხმალაძე

დაიბადა სოფ. ნუკრიანში (სიღნაღი) 1946 წლის 29 აგვისტოს. სკოლა დაამთავრა სიღნაღში. 1966 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე; 1967 წლიდან პარალელურად სწავლობდა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე კინოხელოვნება-ტელევიზიის განხრით.



1972 წლიდან მუშაობდა საბიბლიოთეკო სისტემაში.

1979 წლიდან მუშაობდა საქტელერადიოკომიტეტში რადიოს ლიტერატურული პროგრამების რედაქციაში სვადასხვა თანამდებობაზე. 1993 წელს დაინიშნა საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორად.

სვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში; იყო თსუ სიღნაღის ფილიალისა და თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიოჟურნალისტიკის კათედრების გამგე.

1995 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქიზიყ-პერეთის განყოფილებას.

ავტორია ერთი რომანისა („დროის მკვლელები“) და მრავალი მოთხრობისა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ესპანურ, რუსულ და სომხურ ენებზე. მან ქართულად თარგმნა ჩეხური, იუგოსლავიური და ჩინური მოთხრობები და ესეები...

მიღებული აქვს პრემიები: საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა; საქართველოს ტელეჟურნალისტთა ასოციაციისა. ასევე ლიტერატურული პრემიები – ნიკო ლორთქიფანიძის, გურამ რჩეულიშვილის, გიორგი ლეონიძისა, ილია ჭავჭავაძისა... „ქუჯი“ – მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის.


დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და მედლით.

ლევან ბრეზაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1947 წლის 11 იანვარს ტყიბულში, 1965 წელს დაამთავრა ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლა. 1965-1971 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ქართულ ფილოლოგიასა და ჟურნალისტიკას.

ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (2003 წ.) იყო მწერალთა კავშირის აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების გამგე. ამჟამად ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ მთავარი რედაქტორია.



ავტორია 400-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა, 20-მდე წიგნისა (მათ შორის „ქართული ჟარგონის ლექსიკონისა“).

ინტერესთა სფეროები: ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურის ისტორია და თეორია, ჟურნალისტიკის ისტორია და თეორია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ლინგვისტიკა, ფოლკლორი.

მიღებული აქვს ლიტერატურული პრემიები: ვაჟა-ფშაველას პრემია(1993), საბა (2003, 2009, 2012), საგურამო (2007), გივი გაჩეჩილავის სახელობის პრემია (2012), აკაკი წერეთლის სახელობის პრემია (2017), პრემია „მანაბელი“ (2021). 2016 წელს დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით ლიტერატურის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის.

